

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ 2014 წლის 7 მაისის
სხდომაზე

დოკუმენტის ორიგინალის ტექსტის თარგმნას EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) უზრუნველყოფს მხოლოდ მკითხველის კომფორტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ EBRD-მ მიიღო გონივრული ზომები თარგმანის ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, იგი არ იძლევა გარანტიას, არც ახორციელებს თარგმანის სიზუსტის დამოწმებას. ნებისმიერი ასეთი თარგმანის გამოყენება ხორციელდება თავად მკითხველის რისკით. არც ერთ გარემოებაში EBRD, მისი თანამშრომლები ან აგენტები არ უნდა აგებდნენ პასუხს მკითხველის ან ნებისმიერ სხვა პირის წინაშე თარგმანის შინაარსში რაიმე უზუსტობაზე, შეცდომაზე, გამოტოვებაზე, ამოღებაზე, დეფექტზე და/ან რაიმე სახის ცვლილებაზე, მიზეზის და მისგან გამომდინარე ნებისმიერი ზიანის მიუხედავად. ინგლისურსა და თარგმნილ ვარიანტებს შორის ნებისმიერი განსხვავების ან წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

A. წინამდებარე პოლიტიკის მიზანი

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD ან ბანკი) მოწოდებულია ხელი შეუწყოს „გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებულ და მდგრად განვითარებას“ მისი საინვესტიციო და ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობის სრულ სპექტრში EBRD-ის დაარსების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.¹ ბანკი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური² მდგრადობა არის ფუნდამენტური ასპექტი იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც შეესაბამება მის საბაზრო ეკონომიკის რეჟიმში გადასვლის მანდატს და აღიარებს, რომ პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსდაცვით და სოციალურ მდგრადობას, ითვლება მისი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტად.
2. ამ პოლიტიკაში, ტერმინი „პროექტი“ გულისხმობს განსაზღვრულ ბიზნეს საქმიანობას, რომელზეც EBRD-ის დაფინანსების მისაღებად თხოვნის განაცხადია მიღებული კლიენტისგან, ან სადაც EBRD-ის დაფინანსება უკვე გამოყოფილია, ბიზნეს საქმიანობას, რომელიც განსაზღვრულია დაფინანსების ხელშეკრულებებში და დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს ან სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ.
3. წინამდებარე პოლიტიკა ასახავს, თუ როგორ უპასუხებს ბანკი მისი პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებას:
 - როგორც EBRD-ის, ასევე მისი კლიენტების შესაბამისი როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრით იმ პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებასა და ფუნქციონირებაში, რომლებიც შეესაბამება ამ პოლიტიკასა და სამოქმედო მოთხოვნებს;
 - სტრატეგიული მიზნის დასახვით, რათა უზრუნველყოს პროექტების მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებელი;
 - ყველა მის საქმიანობაში გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის საკითხების ჩართვით.

B. EBRD-ის ვალდებულებები

4. EBRD-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა იყოს სტრუქტურირებული, რათა დააკმაყოფილოს ამ პოლიტიკის მოთხოვნები.
5. EBRD მიიღო ის სპეციფიკური სამოქმედო მოთხოვნების (PR) ყოვლისმომცველი კომპლექტი, რომლებიც პროექტმა უნდა დააკმაყოფილოს. ბანკი მოელის თავისი კლიენტებისაგან, მართონ პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, რათა მოხდეს სამოქმედო მოთხოვნების დაკმაყოფილება გონივრულ ვადაში.

¹ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის დაარსების შესახებ შეთანხმების მუხლი 2.1 (vii).

² ამ პოლიტიკის მიზნისათვის, სოციალური ეხება იმ საკითხებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და მათ თემებს და მუშაკებს, და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან, დაუცველობასთან, გენდერულ იდენტობასთან, ადამიანის უფლებებთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან, შრომისა და სამუშაო პირობებთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასთან.

6. EBRD შეეცდება, თავისი მანდატის ფარგლებში, უზრუნველყოს თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების საშუალებით, რომ პროექტები დაიგეგმოს, განხორციელდეს და ფუნქციონირებდეს მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნების და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის (GIP)³ შესაბამისად. ამ მიდგომის ძირითადი ასპექტი მდგომარეობს შერბილების იერარქიის⁴ გამოყენებაში.
7. EBRD, როგორც გარემოს დაცვის ევროპული პრინციპების⁵ ხელმძღვრელი, მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროკავშირის გარემოსდაცვითი პრინციპების, მეთოდებისა და არსებითი სტანდარტების⁶ მიღებას EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტებით, იქ, სადაც ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის დონეზე, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. როდესაც მიმღები ქვეყნის რეგულაციები განსხვავდება ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტებისაგან, პროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს ის, რომელიც მათ შორის უფრო მკაცრია.
8. EBRD აღიარებს მისი მოქმედების ქვეყნების მიერ საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური შეთანხმებების, ხელშეკრულებებისა და კონვენციების რატიფიკაციას თავისი მანდატის ფარგლებში, EBRD შეეცდება იმ პროექტების სტრუქტურირებას, რომლებსაც იგი აფინანსებს, ისე, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი პრინციპებითა და არსებითი მოთხოვნებით. EBRD შეგნებულად არ დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ვალდებულებებს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების წინაშე, რაც გამოვლინდება პროექტის შეფასებისას.

³ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა ეხება პროფესიული უნარის, შრომისმოყვარეობის, სიმშვიდისა და წინდახედულობის განხორციელებას, რომელიც გონივრულად იქნება მოსალოდნელი გამოცდილი და კვალიფიციური პროფესიონალებისაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან იმავე ტიპის ვალდებულებებით, იმავე ან მსგავს გარემოებებში, გლობალურად ან რეგიონებში. ასეთი განხორციელების შედეგი უნდა იყოს ის, რომ პროექტი იყენებს ყველაზე შესაფერის ტექნოლოგიებს პროექტისათვის დამახასიათებელ გარემოებებში

⁴ შერბილების იერარქია მოიცავს ზომებს, რომლებიც მიღებულია იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების შექმნა განვითარების საქმიანობის დასაწყისიდანვე და იქ, სადაც ეს შეუძლებელია, და იმისათვის, რომ განვახორციელოთ დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს, შეარბილებს, და როგორც უკანასკნელი საშუალება აანაზღაურებს და/ან მოახდენს ნებისმიერი პოტენციური დარჩენილი უარყოფითი ზემოქმედების კომპენსირებას.

⁵ გარემოს დაცვის ევროპული პრინციპები (EPE) მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის, EBRD, ევროპის საინვესტიციო ბანკის, სკანდინავიური გარემოსდაცვითი საფინანსო კორპორაციისა და ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკის მიერ. EPE არის ინიციატივა, წამოწყებული იმ გარემოსდაცვითი პრინციპების, პრაქტიკისა და სტანდარტების გაზრდილი ჰარმონიზაციისაკენ მისწრაფების საპასუხოდ, რომელიც დაკავშირებულია პროექტების დაფინანსებასთან. EPE-ის ვალდებულებები აისახება PR-ში 1, 3, 4 და 10.

⁶ ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები შეტანილია ევროკავშირის მეორად კანონმდებლობაში, მაგალითად, რეგულაციებში, დირექტივებში და გადაწყვეტილებებში. პროცესუალური ნორმები, მიმართული წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი, ევროპული სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისპრუდენციისადმი, რომელიც ეხება წევრ ქვეყნებს, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ევროკავშირის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, გამოირიცხება ამ განსაზღვრებიდან.

9. EBRD აღიარებს კლიენტებისა და მათი ბიზნეს საქმიანობის პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების⁷ პატივისცემასთან დაკავშირებით და რომ ეს არის გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის განუყოფელი ასპექტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს ადამიანის უფლებათა პატივისცემას, სხვა ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილებას, და რეაგირებას ადამიანის უფლებებზე უარყოფით ზემოქმედებაზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მათმა ბიზნეს საქმიანობამ, ან რომელშიც მათ შეიძლება წვლილი შეიტანონ.
10. EBRD მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობა არის თანამედროვე, კარგად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ასპექტი. EBRD მოელის თავისი კლიენტებისაგან, რომ ისინი მოახდენენ ნებისმიერი პოტენციური გენდერულ საკითხთან დაკავშირებული და არაპროპორციული, უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირებას და აიღებენ ვალდებულებას შემუშაონ შემარბილებელი ღონისძიებები მათ შესამცირებლად. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტებს დაეკისრებათ ვალდებულება, გაზარდონ პროექტების პოზიტიური გავლენა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის შესაძლებლობათა თანასწორობისა და ქალთა სოციო-ეკონომიკურ გაძლიერების ხელშეწყობით, კერძოდ, ფინანსების, მომსახურებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.
11. EBRD შეაფასებს, თუ რა მოცულობით შეიძლება შეუქმნას პროექტებით გამოწვეულმა ტარიფის ცვლილებებმა მომსახურების ძირითადი დონის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები არახელსაყრელი პირობების მქონე და/ან დაუცველი მოსახლეობის ჯგუფებს⁸ და დარწმუნდება, რომ ამ საკითხთან მიმართებაში შემუშავებულია და ამოქმედებულია ეფექტური სქემები.
12. EBRD, ამ პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით, დაამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას კლიენტებთან, რათა ხელი შეუწყოს მათ თავისი საქმიანობისთვის ღირებულების გაზრდაში, გრძელვადიანი მდგრადობის გაუმჯობესებასა და მათი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შესაძლებლობის გაძლიერებაში.
13. EBRD აღიარებს მისი მოქმედების ქვეყნებში კლიმატის ცვლილების როგორც მიზეზების, ისე შედეგების მხედველობაში მიღების მნიშვნელობას. EBRD ჩაერთვება, ყველა შემთხვევაში როდესაც ეს საჭიროა, ინოვაციურ ინვესტიციებსა და ტექნიკურ ხელშეწყობაში უარყოფითი/დაბალი შემცველობის ნახშირბადის პროექტებში ინვესტიციების და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის

⁷ ამ პოლიტიკის მიზნებისათვის EBRD იხელმძღვანელებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რვა ფუნდამენტური კონვენციით..

⁸ ამ პოლიტიკის მიზნებისთვის, დაუცველი ჯგუფები ნიშნავს იმ ადამიანებს, რომლებიც, გენდერული იდენტობის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, უნარშეზღუდულობის, ეკონომიკურად არასახარბილო მდგომარეობის ან სოციალური სტატუსის ნიშნით, შეიძლება პროექტის უფრო მეტად არასახარბილო ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, ვიდრე სხვები, და რომლებსაც შეიძლება შეზღუდული უნარები ჰქონდეთ პრეტენზიის წარდგენის ან პროექტისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით. დაუცველი ადამიანები და/ან ჯგუფები შეიძლება ასევე შეიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ადამიანებით, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უმიწაწყლოებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს, რომლებიც უძღვებიან ოჯახს, დევნილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეთნიკურ უმცირესობებს, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ თემებს ან სხვა გადაადგილებულ პირებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცული ეროვნული და/ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

მხარდასაჭერად, აგრეთვე, განახორციელებს EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში ემისიების შემცირების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. EBRD ასევე მხარს დაუჭერს თავის კლიენტებს ადაპტაციის ზომების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს კლიმატზე მორგებულ ინვესტიციებს.

14. EBRD იქნება პრევენციული თავის მიდგომაში ბუნებრივი რესურსების დაცვის, კონსერვაციის, მართვისა და მდგრადი გამოყენების მიმართ და მოითხოვს შესაბამისი პროექტებისაგან, რომ ჩართონ ზომები, რათა დაიცვან და, სადაც შესაძლებელია, გააძლიერონ ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება, რომლებსაც ისინი მხარს უჭერენ.
15. EBRD ერთგულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრინციპებისა. ის მიმდინარე საფუძველზე გაასაჯაროებს შეჯამებულ ინფორმაციას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ბანკის საქმიანობის შესახებ და ჩაერთვება ბანკის დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციულ დიალოგში, EBRD-ის ინფორმაციის საჯაროობის შესახებ პოლიტიკის (PIP) შესაბამისად.
16. EBRD იმუშავებს სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად, ევროკავშირთან, ორმხრივ დონორებთან, გაეროს სააგენტოებთან და სხვა ორგანიზაციებთან ეფექტური ჩარევების კოორდინირებაზე გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის ხელშესაწყობად რეგიონულ ან სექტორულ დონეზე მისი მოქმედების ქვეყნებში. სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად პროექტების თანადაფინანსების შემთხვევაში, EBRD შეეცდება მათთან თანამშრომლობას საერთო მიდგომაზე შესათანხმებლად პროექტის შეფასებასთან, პროექტის მოთხოვნებთან და მონიტორინგთან დაკავშირებით.
17. EBRD-ის ქვეყნების სტრატეგიები, ისევე როგორც სექტორის სტრატეგიები და პოლიტიკა ასახავს ინფორმაციას შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევებისა და შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია EBRD-ის მიერ გათვალისწინებულ საქმიანობასთან.
18. EBRD, ტექნიკური თანამშრომლობისა და პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით, შეეცდება მოძებნოს საშუალებები გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განსახილველად და სამართავად მისი მოქმედების ქვეყნებში. EBRD ხელს შეუწყობს ხელსაყრელი გარემოს განვითარებას თავისი კლიენტებისთვის იმისთვის, რომ მიაღწიონ ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრად შედეგებს მათ პროექტებში.
19. თავის შიდა ოპერაციებში, EBRD გამოიყენებს GIP გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის მისაღწევად და შეეცდება იმუშაოს მიმწოდებლებთან და კონტრაქტორებთან, რომლებიც იცავენ ასეთივე მაღალ სტანდარტებს.

C. გარემოსდაცვითი და სოციალური მოსაზრებების ინტეგრირება პროექტის ციკლში

EBRD-ის როლი და პასუხისმგებლობები

20. EBRD-ის პასუხისმგებლობები შეესაბამება მისი, როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის როლს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტების საბანკო დაფინანსებას EBRD-ის რესურსების გამოყენებით, რომლებიც დადასტურებულია მისი

ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს ან სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ. ნებისმიერ კონკრეტულ ინვესტიციასა ან ტექნიკური თანამშრომლობის პროექტთან დაკავშირებით, EBRD-ის ჩართულობის დონე განისაზღვრება პროექტის ხასიათითა და მასშტაბით, დონორთა დაფინანსების ხელმისაწვდომობით, ისევე, როგორც კლიენტთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის სპეციფიკური გარემოებებით.

21. EBRD, შესაძლოა თავი შეიკავოს პროექტის დაფინანსებისაგან გარემოსდაცვითი ან სოციალური მოსაზრებებით. EBRD შეგნებულად არ დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც მოიცავს ან იწვევს იძულებით გამოსახლებას.⁹ გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე სახის საქმიანობა, რომელსაც EBRD არ აფინანსებს EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამონაკლისების სიის თანახმად, რომელიც მოცემულია ამ პოლიტიკის 1 დანართში.
22. EBRD ახდენს რიგი სპეციალური ფონდებისა და თანამშრომლობის ფონდების ადმინისტრირებას. პროექტები ან საქმიანობა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაფინანსებული სპეციალური ფონდებით ამ პოლიტიკას ექვემდებარება. ეს პოლიტიკა ასევე ვრცელდება თანამშრომლობის ფონდებზე; თუმცა, დონორების დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც ეხება გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებს, შეიძლება გამოიყენებოდეს, თუ ისინი შეესაბამება მოცემულ პოლიტიკას.

პროექტის სასიცოცხლო ციკლი

კატეგორიზაცია

23. EBRD კატეგორიზებად ანაწილებს თითოეულ პროექტს, იმისათვის, რომ განსაზღვროს მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების, ინფორმაციის საჯაროობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხასიათი და დონე. ეს პროექტის ხასიათის, ადგილმდებარეობის, მგრძნობიარობისა და მასშტაბის და მისი პოტენციური უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მნიშვნელობის პროპორციული იქნება. პროექტთან დაკავშირებული არსებული ობიექტების წარსული და აწმყო გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები და რისკები დაექვემდებარება გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას, კატეგორიზაციის მიუხედავად.

პირდაპირი ინვესტიციები¹⁰

⁹ ქმედებები და/ან უმოქმედობები, რაც მოიცავს ადამიანების, ჯგუფების ან თემების იძულებით ან არანებაყოფლობით გადაადგილებას მათი სახლებიდან და/ან მიწებიდან და საერთო საკუთრების რესურსებიდან, რომლებსაც იკავებდნენ ან რომლებზეც იყვნენ დამოკიდებული და, ამგვარად, აღმოფხვრის ან ზღუდავს ადამიანის, ჯგუფის ან თემის შესაძლებლობას, იცხოვროს ან იმუშაოს კონკრეტულ საცხოვრებელში, დასახლებაში ან ადგილზე, სამართლებრივი ან სხვა დაცვის შესაბამისი ფორმების უზრუნველყოფისა და წვდომის გარეშე. ეს არ ეხება გამოსახლების პროცესს, რომელიც ხორციელდება, როგორც კანონის თანახმად, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებების შესაბამისად.

¹⁰ EBRD-ის პროექტები იყოფა „პირდაპირ საინვესტიციო პროექტებად“ და „ფინანსურ საშუაშალო პროექტებად“. ფინანსური საშუაშალო პროექტების შემთხვევაში, კლიენტი არის ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი, საინვესტიციო ფონდი ან სხვა მსგავსი ორგანიზაცია. ყველა სხვა პროექტი მოხსენიებულია, როგორც პირდაპირი საინვესტიციო პროექტები.

24. პროექტი კატეგორიზაცია ხდება, როგორც A კატეგორიის პროექტისა, როდესაც მან შეიძლება გამოიწვიოს პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება, რომელიც კატეგორიზაციის დროს შესაძლოა ადვილად ვერ იყოს იდენტიფიცირებული და შეფასებული და რომელიც, შესაბამისად, მოითხოვს ფორმალიზებულ და კომბინირებულ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესს. A კატეგორიის პროექტების მისათითებელი ჩამონათვალი წარმოდგენილია ამ პოლიტიკის დანართში 2.
25. პროექტის კატეგორიზაცია ხდება, როგორც B კატეგორიის პროექტისა, როდესაც მისი პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება არის როგორც წესი, ადგილმდებარეობის სპეციფიკური და/ან ადვილად იდენტიფიცირებული და გადაჭრილი შემარბილებელი ღონისძიებების გზით. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მოთხოვნები შეიძლება იცვლებოდეს პროექტის მიხედვით და განსაზღვრული იქნება EBRD-ის მიერ თითოეული შემთხვევის საფუძველზე.
26. პროექტის კატეგორიზაცია ხდება, როგორც C კატეგორიის პროექტისა, როდესაც მოსალოდნელია, რომ პროექტს ექნება მინიმალური ან უარყოფითი პოტენციური უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება და ადვილად გადაიჭრება შეზღუდული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების საფუძველზე.
27. თავდაპირველი გარემოსდაცვითი და სოციალური გამოკვლევები (IESE) ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კატეგორიზაციის დროისთვის არ იქნება საკმარისი ინფორმაცია, რათა დადგინდეს შეფასების სათანადო კატეგორია და ფარგლები.

ფინანსური შუამავლები

28. პროექტის კატეგორიზაცია ხდება, როგორც „FI“ იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების სტრუქტურა მოიცავს კაპიტალის უზრუნველყოფას ფინანსური შუამავლების (FI) საშუალებით, რომლის დროსაც FI ¹¹ კისრულობს ქვეპროექტის შეფასებისა და მონიტორინგის ვალდებულებას.

საერთო მიდგომა პროექტის შეფასების მიმართ

29. ყველა პროექტი გაივლის გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას იმისათვის, რომ დაეხმაროს EBRD-ს, გადაწყვიტოს, დაფინანსდეს თუ არა პროექტი და დაფინანსების შემთხვევაში გადაწყვიტოს გზა, რომლითაც სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები უნდა გადაიჭრას მის დაგეგმვაში, განხორციელებასა და ფუნქციონირებაში. შეფასება იქნება პროექტის ხასიათისა და მასშტაბის შესაბამისი, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების დონის პროპორციული და შერბილების იერარქიის სათანადო გათვალისწინებით. შეფასება განსაზღვრავს, შესაძლებელია თუ არა პროექტის განხორციელება ამ პოლიტიკისა და მისი PR-ების შესაბამისად და მოიცავს თუ არა პოტენციური ფინანსური, სამართლებრივი და რეპუტაციის რისკების შეფასებას, ისევე, როგორც განსაზღვრავს

¹¹ ფინანსური შუამავლები (FI) მოიცავს, სხვათა შორის, კერძო საინვესტიციო ფონდებს, ბანკებს, სალიზინგო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებსა და საპენსიო ფონდებს.

პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ შესაძლებლობებს. სოციალური და გარემოსდაცვითი შეფასება ინტეგრირებულია EBRD-ის საერთო პროექტის შეფასებაში. EBRD-ს, შესაძლოა, ჰყავდეს მესამე მხარე, რათა დაეხმაროს სპეციალიზებული და ტექნიკური საკითხების შეფასებაში.

30. EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება მოიცავს სამი ძირითადი ელემენტის გათვალისწინებას: (i) პროექტთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და საკითხებს; (ii) კლიენტის უნარსა და ვალდებულებას, განხორციელოს პროექტი შესაბამისი PR-ის სათანადოდ; და (iii) შესაძლებლობების ფარგლებში დაწესებულებებსა და საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია პროექტთან, მაგრამ არ არის დაფინანსებული EBRD-ის მიერ. EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მასშტაბი განსაზღვრული იქნება თითოეული შემთხვევის საფუძველზე, და შესაძლოა აგრეთვე განხილული იქნეს პოტენციური რისკები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია უზრუნველყოფის სახით დაგირავებულ აქტივებთან.
31. კლიენტის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციის მიწოდება ისე, რომ ბანკს შეეძლოს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების განხორციელება ამ პოლიტიკის შესაბამისად. ბანკის ფუნქციაა: (i) განიხილოს კლიენტის ინფორმაცია; (ii) უზრუნველყოს ხელმძღვანელობა, რათა დაეხმაროს კლიენტებს იმ სათანადო ზომების შემუშავებაში, რომლებიც თავსებადია შერბილების იერარქიასთან გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედების გადასაჭრელად, რათა დააკმაყოფილოს შესაბამისი PR-ები; და (iii) დაეხმაროს დამატებითი გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის მომტანი შემთხვევების განსაზღვრაში.
32. EBRD აღიარებს, რომ პროექტებს, შესაძლოა, ბანკის მიერ მათი შეფასების განხორციელების დროისთვის ჰქონდეთ ხელმისაწვდომი ინფორმაციის სხვადასხვა დონე. ზოგიერთ შემთხვევაში, EBRD-ის ინვესტიციებიდან შემოსავლების შეთავაზებული გამოყენება და დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური კვალი ცნობილი და ფართოდ გააზრებულია ბანკის მიერ ინვესტირების გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც არის დამახასიათებელი ტრადიციული პროექტის დაფინანსებისას. სხვა შემთხვევებში, ბანკის ინვესტიცია შეიძლება არ იყოს მიმართული კონკრეტულ ფიზიკურ აქტივებზე, როგორცაა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება და ზოგიერთი სახის ინვესტიცია სააქციო კაპიტალში, ან გამოიწვიოს მომავალი ინვესტიციები. ასეთ პირობებში, შემოსავლების შემოთავაზებული გამოყენება და გარემოსდაცვითი და სოციალური კვალი დიდწილად განუსაზღვრელია EBRD-ის მიერ ინვესტირების გადაწყვეტილების მიღების დროს. ბანკი, შესაბამისად, (i) შეაფასებს ინვესტიციას, იმ რისკებსა და გავლენებზე დაყრდნობით, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული სექტორისათვის და ბიზნეს საქმიანობის კონტექსტისთვის, და (ii) შეაფასებს კლიენტის უნარს, განხორციელოს პროექტი PR-ის შესაბამისად.
33. როდესაც EBRD მიმართავენ პროექტის დაფინანსების თხოვნით რომელიც მზადების პროცესშია, ან თუ პროექტმა მიიღო ნებართვა მიმღები ქვეყნისგან, მათ შორის, თანხმობა ადგილობრივი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების განსახორციელებლად ბანკის შეფასება გაითვალისწინებს ხარვეზების ანალიზს პროექტის დიზაინს, განხორციელებასა და PR-ებს შორის, რათა

განსაზღვროს საჭიროა თუ არა რაიმე დამატებითი კვლევები და/ან შემარბილებელი ღონისძიებები EBRD-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

34. EBRD-ის შეფასება მოითხოვს კლიენტებისაგან იმ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, რომლებსაც, პოტენციურად, ეხებათ პროექტები და/ან რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიიღონ ინფორმაცია პროექტების შესახებ და გაამჟღავნონ საკმარისი ინფორმაცია ზემოქმედებისა და საკითხების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება პროექტებისგან და კონსტრუქციულად და კულტურის თვალსაზრისით მისაღები წესით გამართონ კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, EBRD მოითხოვს თავისი კლიენტებისგან, ითანამშრომლონ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების და დაინტერესების დონის პროპორციულად. ასეთ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა განხორციელდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასა და გარემოსდაცვით საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციის სულისკვეთებისა და პრინციპების გათვალისწინებით. იმ პროექტებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან ESIA-ს, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, რომ ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზემოქმედება საერთაშორისო საზღვრების მასშტაბით, ბანკი ხელს შეუწყობს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის გამოყენებას, მიუხედავად პროექტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა ან მისი პოტენციური ზემოქმედებისა. ბანკს შეუძლია, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩაატაროს საკუთარი საჯარო კონსულტაციები, რათა შეაფასოს დაინტერესებულ მხარეთა შეხედულებები. დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა და ჩართულობა შეიძლება ასევე იყოს ჩართული ბანკის ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობაში, საჭიროების შემთხვევაში.
35. ფინანსური შუამავალი (FI) პროექტებისათვის, EBRD მოახდენს FI-ს და მისი პორტფელის სათანადო შესწავლას, რათა შეაფასოს (i) FI-ის არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები და მისი უნარი განახორციელოს ისინი, (ii) გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია FI-ის არსებულ და სავარაუდო მომავალ პორტფელთან, და (iii) აუცილებელი ღონისძიებები, რათა გააძლიეროს FI-ის არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების სისტემა.

სამოქმედო მოთხოვნები

36. პროექტებმა უნდა დააკმაყოფილონ GIP, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით და სოციალურ მდგრადობასთან. ამის მიღწევაში კლიენტების და/ან მათ პროექტების დასახმარებლად ბანკმა განსაზღვრა საქმიანობისადმი კონკრეტული მოთხოვნები გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის უმთავრესი სფეროებისათვის, როგორც ჩამოთვლილია ქვემოთ:
- PR 1 - გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების შეფასება და მართვა
 - PR 2 - შრომისა და სამუშაო პირობები
 - PR 3 - რესურსების ეფექტურობა, დაბინძურების პრევენცია და კონტროლი
 - PR 4 - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

- PR 5 - მიწის შეძენა, იძულებითი განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება
- PR 6 - ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- PR 7 - მკვიდრი მოსახლეობა
- PR 8 - კულტურული მემკვიდრეობა
- PR 9 - ფინანსური შუამავლები
- PR 10 - ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

პირდაპირი ინვესტიციების პროექტები უნდა აკმაყოფილებდეს 1-დან 8-მდე და 10 PR-ებს; FI პროექტები უნდა აკმაყოფილებდეს 2, 9 PR-ებს და 4 PR-ის პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. თითოეული PR განსაზღვრავს მის ამოცანებში სასურველ შედეგებს, რომელსაც მოყვება კონკრეტული მოთხოვნები პროექტებისათვის, რათა დაეხმაროს კლიენტს ამ შედეგების მიღწევაში. ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა ყველა PR-ის განუყოფელი ნაწილია.

37. პროექტები, რომელიც მოიცავს ახალ ობიექტებს ან ბიზნეს საქმიანობას თავიდანვე იქნება შექმნილი ისე, რომ დააკმაყოფილოს სამოქმედო მოთხოვნები. თუ პროექტი შეიცავს არსებულ ობიექტებს და საქმიანობებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ PR-ებს საბჭოს მიერ დამტკიცების დროს, კლიენტს მოეთხოვება, მიიღოს EBRD-ისათვის დამაკმაყოფილებელი ზომები, რაც არის ტექნიკურად და ფინანსურად მისაღები და ხარჯეფექტური, რათა მიღწეულ იქნას ამ ობიექტების და საქმიანობების შესაბამისობა PR-ებთან EBRD-თვის მისაღები ვადების ფარგლებში. გარდა ამისა, EBRD იმუშავებს თავის კლიენტებთან გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად, რომლებიც შეესაბამება PR-ებს მათ სხვა ოპერაციებში, რომლებიც დაკავშირებულია, მაგრამ არ არის პროექტის ნაწილი.
38. თუ პროექტი მოიცავს საერთო კორპორაციულ ფინანსებს, საბრუნავ კაპიტალს ან საკუთარი კაპიტალით დაფინანსებას მრავალ ადგილზე განაწილებული კომპანიებისათვის, კლიენტს მოეთხოვება, შეიმუშაოს ზომები კორპორაციულ დონეზე (პროექტისათვის დამახასიათებელი დონისაგან განსხვავებით), რათა დააკმაყოფილოს PR-ები გონივრულ ვადაში. თუ შემოსავლების გამოყენება ხდება კონკრეტული ფიზიკური აქტივებისათვის, შემოსავლების გამოყენება დაექვემდებარება ფუნქციურ მოთხოვნებს. იმ შემოსავლების შემთხვევაში, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული ფიზიკურ აქტივებზე, გავრცელდება პუნქტი 32-ის ზემოთ მოყვანილი მოთხოვნები.

მესამე მხარის ფუნქციონირება

39. დროდადრო, პროექტის შესაძლებლობა დააკმაყოფილოს PR-ები დამოკიდებული იქნება მესამე მხარის საქმიანობაზე.¹² EBRD ცდილობს უზრუნველყოს, რომ პროექტებმა, რომლებსაც იგი აფინანსებს მიაღწიოს PR-თვის შესაბამის შედეგებს, მაშინაც კი, თუ შედეგები დამოკიდებულია მესამე მხარის ქმედებაზე. როდესაც მესამე მხარის რისკი არის მაღალი და კლიენტს აქვს კონტროლი ან ზეგავლენა მესამე მხარის ქმედებებსა და ქცევაზე, EBRD მოითხოვს კლიენტისაგან ითანამშრომლოს მესამე მხარესთან, რათა მიღწეულ იქნას PR-ის შესაბამისი შედეგები. განსაზღვრული

¹² მესამე მხარე, სხვათა შორის, შეიძლება იყოს სამთავრობო სააგენტო, კონტრაქტორი, მიმწოდებელი, რომელთანაც პროექტს/ კლიენტს აქვს არსებითი ჩართულობა, ან დაკავშირებული ობიექტის ან მომსახურების ოპერატორი.

იქნება კონკრეტული მოთხოვნები და ქმედებები თითოეული შემთხვევის საფუძველზე. მესამე მხარესთან დაკავშირებულმა გარკვეულმა რისკებმა შეიძლება შედეგად გამოიღოს ბანკის გადაწყვეტილება, თავი შეიკავოს პროექტის დაფინანსებისაგან.

გადაწყვეტილების მიღება

40. EBRD-ის დირექტორთა საბჭოს ან სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის პროექტის დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების აღწერას, არსებით ზემოქმედებასა და საკითხებს, განსაზღვრულ შემარბილებელ ღონისძიებებს და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შეჯამებას, და გზას, რომლითაც ეს ზემოქმედება და საკითხები არის ან იქნება გადაჭრილი კლიენტების მიერ. დირექტორთა საბჭო ან სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო გაითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების შენიშვნებსა და მოსაზრებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც პროექტის საერთო სარგებელისა და რისკების შეფასების ნაწილი.
41. EBRD-ის დირექტორთა საბჭოს აქვს დისკრეციული უფლება, საბჭოს თანხმობისა და დაფინანსების ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ დათანხმდეს (EBRD-ის მიერ დაფინანსების პირობის სახით) გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების გარკვეული ნაწილის განხორციელებას. საბჭო მხედველობაში მიიღებს შემოთავაზებული მიდგომის საერთო ზემოქმედებას, რისკებსა და უპირატესობებს. იქ, სადაც პროექტი დამტკიცებული იქნა ასეთი პირობების დაქვემდებარებაში, პროექტის საანგარიშო დოკუმენტი მოიცავს მიდგომის აღწერას.

იურიდიული დოკუმენტაცია

42. კლიენტებთან EBRD-ის დაფინანსების ხელშეკრულებები, რაც დაკავშირებულია პროექტთან, მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ასახავს EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებს. ეს მოიცავს შესაბამისობას ყველა შესაძლო PR-თან, აგრეთვე დებულებებს გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშგებასთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და მონიტორინგთან დაკავშირებით. იურიდიული დოკუმენტები ასევე მოიცავს, საჭიროების შემთხვევაში, უფლებებსა და/ან საშუალებებს ბანკისათვის იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან ინვესტიციის ობიექტი კომპანია ვერ განახორციელებს გარემოსდაცვით ან სოციალურ დებულებებს დაფინანსების ხელშეკრულებების მოთხოვნების შესაბამისად.

მონიტორინგი

43. EBRD იურიდიულ დოკუმენტაციაში მიმოიხილავს პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ფუნქციონირებას და გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებებთან შესაბამისობას, როგორც შეთანხმებულია სამართლებრივ დოკუმენტაციაში. მონიტორინგის მოცულობა იქნება პროპორციული იმ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია პროექტთან, რაც მოიცავს როგორც პირდაპირი ინვესტიციებს, ასევე FI პროექტებს. როგორც მინიმუმი, მონიტორინგის მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს ყოველწლიურ გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების განხილვას

პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მომზადებულია კლიენტების მიერ. EBRD შეიძლება ასევე პერიოდულად გადაამოწმოს კლიენტების მიერ მომზადებული მონიტორინგის ინფორმაცია ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტების და/ან დამოუკიდებელი ექსპერტების ადგილზე პროექტების ვიზიტების საშუალებით.

44. თუ კლიენტი ვერ ასრულებს მის სოციალურ და გარემოსდაცვით ვალდებულებებს, როგორც ეს განსაზღვრულია სამართლებრივი შეთანხმებებით, EBRD შეიძლება დაეთანხმოს გამოსასწორებელი ზომების მიღებას კლიენტის მიერ, შესაბამისობის მისაღწევად. თუ კლიენტი ვერ ასრულებს შეთანხმებულ შემარბილებელ ღონისძიებებს, ბანკს შეუძლია განახორციელოს ისეთი ქმედება და/ან განახორციელოს სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებები, რომლებიც შესულია იმ დაფინანსების ხელშეკრულებებში, როგორსაც ის საჭიროდ მიიჩნევს. EBRD კლიენტთან ერთად ასევე განიხილავს საქმიანობის გაუმჯობესების ნებისმიერ შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტებთან.

ოპერაციული ცვლილებები

45. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს პროექტის ხასიათსა და ფარგლებში EBRD-ის მიერ მისი დამტკიცებისა და დაფინანსების ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ. მსგავს ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური შედეგები. როდესაც მსგავსი არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, ბანკი განახორციელებს შესაბამისი ცვლილებების გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას ამ პოლიტიკის შესაბამისად და ნებისმიერ დამატებით შეფასებას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნებს და გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებები ჩართული იქნება მოდიფიცირებულ/რესტრუქტურირებულ საპროექტო დოკუმენტაციაში. თუ ოპერაციული ცვლილებები იწვევს საბჭოს მიერ დამტკიცებული სცენარისგან არსებითად განსხვავებულ გარემოსდაცვით და/ან სოციალურ სცენარს, მიმართ, ცვლილებას მოახსენებენ მართვის მაღალ ემელონებს და, საჭიროების შემთხვევაში, EBRD-ის კურსის შესაბამისად, წარუდგენენ საბჭოს წინაშე ინფორმაციისთვის ან დასამტკიცებლად.

D. EBRD-ის საჯარო ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება

46. EBRD გამოაქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის საკითხებზე, რომლებიც ეხება მისი საქმიანობას და ამ პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
47. EBRD-ს მიერ დაფინანსებული პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები შეჯამებული იქნება EBRD-ის პროექტის საანგარიშო დოკუმენტებში, ბანკის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის¹³ მოთხოვნის შესაბამისად
48. ბანკის შეფასების დეპარტამენტი აფასებს EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ზომებს, საჭიროების

¹³ PSD-ში ხელმისაწვდომი იქნება EBRD-ის პუბლიკაციების ბიუროდან და EBRD-ის ვებ საიტზე (www.ebrd.com).

შემთხვევაში, ბანკის შეფასების პოლიტიკისა და შესაბამისი სახელმძღვანელო შენიშვნების მიხედვით.

49. EBRD დააფუძნა პროექტის საჩივრების მექანიზმი (PCM), რათა შეაფასოს და განიხილოს საჩივრები ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით. PCM ანიჭებს ადგილობრივ პირებს, ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ჯგუფებს, რომლებიც ბანკის პროექტებს ზიანის მომტანად აღიქვამენ, საჩივრების წამოყენების და პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით დახმარების ძიების საშუალებას საბანკო ოპერაციებისაგან დამოუკიდებლად. იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკური პირების ან ჯგუფების მიერ, რათა წარადგინონ საჩივარი, იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევენ, რომ ბანკი არ დაემორჩილა PIP-ის პროექტისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს ან ამ პოლიტიკის მოთხოვნებს.

E. ინვესტიციების ხელშეწყობა მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლით, მათ შორის, სხვებთან პარტნიორობით მუშაობა

50. EBRD ხელს შეუწყობს პროექტებსა და ინიციატივებს, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მოსატანად. ეს მიდგომა მოიცავს:

- ტექნიკური თანამშრომლობის მიწოდებას EBRD-ის არსებული ან შემოთავაზებული პროექტების გასაუმჯობესებლად.
- ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესებას ტექნიკური თანამშრომლობითა და პოლიტიკური დიალოგით ისე, რომ EBRD კლიენტებს უკეთ შეეძლოთ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გადაჭრა.
- პრიორიტეტულ სფეროებში ავტონომიური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობას
- პროექტებში რესურსების ეფექტურობის ხელშეწყობას
- საპილოტო პროექტების დაფინანსებას, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის მქონე პოტენციური ახალი მიმართულებების ბიზნესის გამოვლენისათვის.

F. ინსტიტუციური და განხორციელების ღონისძიებები

51. იმაში დასარწმუნებლად, რომ ზემოთ აღწერილი სტრატეგიული მიმართულებები საკმარისადაა გადაჭრილი, EBRD დააწესებს პასუხისმგებლობებს და სათანადო რესურსებს ამ პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის. ბანკი გამოიყენებს ადეკვატურ საკადრო რესურსებს, რათა ზედამხედველობა გაუწიოს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებს და რათა ინიციატივა ჩაუყაროს და განავითაროს ეკოლოგიურად და სოციალურად მომგებიანი პროექტები.
52. ეს პოლიტიკა ძალაში შევა ექვსი თვის შემდეგ მისი დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ. პროექტები, რომლებიც ბანკის ხელმძღვანელთა¹⁴ მხრიდან მიიღებენ თავდაპირველ დამტკიცებას ამ პოლიტიკის ძალაში შესვლამდე, დაექვემდებარებიან პროექტის თავდაპირველი დამტკიცების დროს მოქმედ პოლიტიკას.

¹⁴ ამ პოლიტიკის მიღების დროს, ეს თავდაპირველი დამტკიცება მოხსენიებულია როგორც „კონცეპციის მიმოხილვა“.

53. EBRD შეიმუშავებს და შეინარჩუნებს გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებსა და შესაბამის სახელმძღვანელო შენიშვნებსა და ინსტრუმენტებს, რათა ხელი შეუწყოს ამ პოლიტიკის განხორციელებას და უზრუნველყოს, რომ თანამშრომლები გადიან სათანადო ტრენინგს ამ პოლიტიკის მოთხოვნებთან დაკავშირებით.
54. EBRD გააგრძელებს დახმარების მიღებას მისი გარემოსდაცვითი და სოციალური მრჩეველთა საბჭოს (ESAC) მხრიდან, რომლის შეხედულებები იქნება გათვალისწინებული პოლიტიკასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე და სექტორის პოლიტიკასა და სტრატეგიებზე მათ საბოლოო დასრულებამდე. მისი შეხედულებები შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია EBRD-ის პროექტებსა და საქმიანობასთან.
55. EBRD მონიტორინგს გაუწევს და შეაფასებს იმ პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ ფუნქციონირებას, რომლებსაც ის აფინანსებს ამ პოლიტიკის მიზნების შესაბამისად მიმდინარე საფუძველზე. პოლიტიკა განხილული იქნება მიმდინარე საფუძველზე და შეიძლება იყოს შესწორებული ან განახლებული დირექტორთა საბჭოს დამტკიცებით. გარდა ამისა, პოლიტიკა დაექვემდებარება დირექტორთა საბჭოს მიერ გადასინჯვას ყოველ ხუთ წელიწადში.

დანართი 1: EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამონაკლისების ჩამონათვალი

EBRD შეგნებულად არ დააფინანსებს, პირდაპირ ან არა პირდაპირ, პროექტებს, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- რაიმე პროდუქტის ან საქმიანობის წარმოება ან ვაჭრობა, რომელიც ითვლება არალეგალურად მიმღები ქვეყნის (ეროვნული) კანონების ან რეგულაციების, ან საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების ფარგლებში, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს ან წარმოებიდან ეტაპობრივ მოხსნას, როგორცაა:
 - პოლიქლორირებული ბიფენილების (პკბ – PCB) შემცველი პროდუქტების წარმოება ვაჭრობა¹⁵
 - ფარმაცევტული პრეპარატების, პესტიციდების/ჰერბიციდების და სხვა სახიფათო ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს ან წარმოებიდან ეტაპობრივ ამოღებას¹⁶
 - ოზონის დამშლელი ნივთიერებების წარმოება ვაჭრობა, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო წარმოებიდან ეტაპობრივ ამოღებას¹⁷
 - ველური ბუნებით ვაჭრობა ან ველური ბუნების იმ პროდუქტებით ვაჭრობა ან მათი წარმოება, რომლებიც რეგულირდება CITES-ით¹⁸
 - საერთაშორისო სამართლით აკრძალული ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება¹⁹
- აზბესტის თავისუფალი ბოჭკოს ან აზბესტის შემცველი პროდუქციის წარმოება ან გამოყენება ან ვაჭრობა

¹⁵ პკბ: პოლიქლორირებული ბიფენილები არის მაღალი ტოქსიკურობის ქიმიური ნივთიერებების ჯგუფი. პკბ სავარაუდოდ გვხვდება ზეთიან ელექტრულ ტრანსფორმატორებში, კონდესატორებსა და გამანაწილებლებში, 1950-1985 წლებიდან.

¹⁶ საცნობარო დოკუმენტებია - საბჭოს რეგულაცია (EEC) No 2455/92, დათარიღებული 1992 წლის 23 ივლისით, რომელიც ეხება ზოგიერთი საშიში ქიმიურ ნივთიერებების ექსპორტსა და იმპორტს, დროდადრო შესწორებით; გაერთიანებული ერების კონსოლიდირებული ჩამონათვალი იმ პროდუქტებისა, რომელთა მოხმარება და/ან გაყიდვა აკრძალულია, ამოღებულია, მკაცრად შეზღუდული ან არ არის დამტკიცებული მთავრობების მიერ; როტერდამის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი ინფორმირებული თანხმობის პროცედურის შესახებ“; სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული პესტიციდების კლასიფიკაცია საფრთხის მიხედვით.

¹⁷ ოზონის დამშლელი ნივთიერებები (ODS): ქიმიური ნაერთები, რომლებიც რეაქციაში შედის და შლის სტრატოსფეროს ოზონს და შედეგად მოაქვს ფართოდ გახმაურებული „ოზონის ხვრელები“. მონრეალის ოქმი „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებებთან შესახებ“ აქვეყნებს ოზონის დამშლელი ნივთიერებების ჩამონათვალს, მათ მიზნობრივ შემცირებასა და წარმოებიდან ამოღების ვადებს. ქიმიური ნაერთების ჩამონათვალი, რომელიც რეგულირდება მონრეალის ოქმით, რომელიც მოიცავს აეროზოლებს, სამაცივრო აგენტებს, ქაფის გენერატორებს, გამხსნელებსა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს, ხელმომწერ ქვეყნებზე დეტალური ინფორმაციითა და წარმოებიდან ამოღების ვადებთან ერთად ხელმისაწვდომია „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამიდან“.

¹⁸ CITES: კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. CITES-ში ჩამოთვლილი სახეობების სია ხელმისაწვდომია CITES-ის სამდივნოსგან.

¹⁹ საცნობარო დოკუმენტებია: რეგულაცია (EC) No1013/2006, დათარიღებული 2006 წლის 14 ივნისით ნარჩენების გადაზიდვაზე; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) საბჭოს გადაწყვეტილება C (2001)107/final, რომელიც ეხება აღდგენის ოპერაციებისათვის განკუთვნილი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლის შესახებ C (92) 39/Final გადაწყვეტილების გადასინჯვას; ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“.

- საქმიანობა, რომელიც აკრძალულია მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებით, რომლებიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების რესურსების ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან²⁰
- დრიფტერული ბადით საზღვაო გარემოში თევზჭერა 2.5 კმ-ზე მეტი სიგრძის ბადეების გამოყენებით
- ნავთობის ან სხვა სახიფათო ნივთიერებების გადაზიდვა ტანკერებით, რომლებიც არ შეესაბამება IMO მოთხოვნებს²¹
- საქონლით ვაჭრობას ექსპორტისათვის ან იმპორტისათვის საჭირო ლიცენზიის გარეშე ან ექსპორტის, იმპორტისა და საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიტის შესაბამისი ქვეყნებიდან ტრანზიტის ავტორიზაციის სხვა მტკიცებულების გარეშე.

²⁰ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები მოიცავს: „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენციას“ (ბონის კონვენცია); „კონვენციას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ (რამსარის კონვენცია); „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციას“ (ბერნის კონვენცია); „კონვენციას მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“; „კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“.

²¹ ეს მოიცავს: ტანკერებს, რომლებსაც არ აქვთ საყოველთაოდ საჭირო საერთაშორისო კონვენცია: „გემებიდან დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ“ (MARPOL), „ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ“ (SOLAS), სერტიფიკატები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის შესაბამისობა), ტანკერებს, რომლებიც ევროკავშირის მიერ შავ სიაშია შეტანილი ან აკრძალულია ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის შესახებ პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმით (პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმი) და ტანკერებს, რომლებიც MARPOL-ის 13G რეგულაციის საფუძველზე წარმოებიდან ეტაპობრივად უნდა მოიხსნას. არც ერთი კორპუსიანი ტანკერის 25 წელზე მეტი დროის განმავლობაში არ უნდა იყოს გამოყენებული.

დანართი 2: A კატეგორიის პროექტები

ეს ჩამონათვალი ეხება „ახალ პროექტებს“ ან დიდი მასშტაბის ან ტრანსფორმაცია-კონვერსიის პროექტებს ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში. მანიშნებელი ტიპის პროექტები, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი, წარმოადგენს იმ პროექტების მაგალითს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება და, შესაბამისად, მოითხოვონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. თითოეული პროექტის კატეგორიზაცია დამოკიდებული იქნება ნებისმიერი ფაქტობრივი ან პოტენციური უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების ხასიათსა და მნიშვნელობაზე, როგორც განისაზღვრება პროექტის ბუნების, მდებარეობის, მგრძობიარობის და მასშტაბის სპეციფიკით.

1. ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები (გარდა საწარმოებისა, რომლებიც ნედლი ნავთობისაგან მხოლოდ საპოხ მასალებს აწარმოებენ) და დანადგარები დღეში 500 ტონა ან მეტი ნახშირის ან ბიტუმიანი ფიქალის გაზიფიცირებისა და გათხევადებისათვის.
2. 300 მგვტ²² ან მეტი თბოგამოყოფის მქონე თბოელექტროსადგურები და წვის სხვა დანადგარები, ბირთვული ელექტროსადგურები და სხვა ბირთვული რეაქტორები, მათ შორის ასეთი სადგურების ან რეაქტორების დემონტაჟი და ექსპლუატაციიდან გამოყვანა (გარდა დაყოფადი და რეპროდუქციული მასალების კონვერსიისა და წარმოებისათვის განკუთვნილი კვლევითი დანადგარებისა, რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1 კილოვატთან უწყვეტ სითბურ დატვირთვას).
3. ჭირთვული საწვავის წარმოებისა და გამდიდრებისთვის, დასხივებული ბირთვული საწვავის გადამამუშავებისათვის, შენახვისა და საბოლოო მოცილებისათვის, ან რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის, მოცილების ან გადამამუშავებისათვის შექმნილი ნაგებობები.
4. ინტეგრირებული მუშაობა თუჯისა და ფოლადის თავდაპირველი დნობისთვის; დანადგარები ფერადი ნედლი ლითონების წარმოებისათვის მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორადი ნედლეულიდან მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროლიტური პროცესებით.
5. ინტეგრირებული ქიმიური დანადგარები: ქიმიური გარდაქმნის პროცესების გამოყენებით ნივთიერებათა სამრეწველო მასშტაბით წარმოებისათვის განკუთვნილი ის დანადგარები, რომელშიც რამდენიმე ერთეული მომიჯნავეა და ფუნქციურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და რომლებიც განკუთვნილია: ძირითადი ორგანული ქიმიური ნივთიერებების; ძირითადი არაორგანული ქიმიური ნივთიერებების; ფოსფორის, აზოტისა და კალიუმის შემცველი სასუქების (მარტივი და რთული სასუქები); ძირითადი მცენარეული პროდუქტებისა და ბიოციდების; ძირითადი ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების გამოყენებით; ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოებისათვის.
6. ავტომაგისტრალების, სწრაფი სატრანსპორტო გზებისა და საქალაქთაშორისო სარკინიგზო ხაზების მშენებლობა; აეროპორტები, 2,100 მეტრი ან მეტი სიგრძის ძირითადი ასაფრენი ბილიკით; ოთხი ან მეტი რიგის მქონე ახალი გზები, ან არსებული გზების გარდაქმნა და/ან გაფართოება, რათა უზრუნველყოს ოთხი ან მეტი

²² ორთქლისა და ერთი ციკლის გაზის ტურბინის ელექტროსადგურებისათვის 140 მგვტ მთლიანი ელექტრული გამოსავლის ეკვივალენტური.

რიგის არსებობა. სადაც ასეთი ახალი გზები, ან გარდაქმნილი და/ან გაფართოებული გზის მონაკვეთები იქნება 10კმ ან მეტი საერთო სიგრძის.

7. მილსადენები, ნავსადგურები და მათთან დაკავშირებული ობიექტები გაზის, ნავთობისა და ქიმიური ნივთიერებების ფართომასშტაბიანი ტრანსპორტირებისათვის.
8. ფართომასშტაბიანი საზღვაო პორტები, აგრეთვე შიდა სამდინარო გზები და პორტები შიდა საწყლოსნო მოძრაობისათვის; სავაჭრო პორტები, ნავმისადგომები დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის, რომლებიც უკავშირდება ხმელეთს ან გარე პორტებს (გარდა საბორნე ნავმისადგომებისა).
9. ნარჩენების გადამუშავებისა და განადგურების დანადგარები ნარჩენების დასაწვავად, საშიში, ტოქსიკური ან სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავება ან ნაგავსაყრელზე გატანა.
10. ფართომასშტაბიანი ნარჩენების განადგურების დანადგარები არასახიფათო ნარჩენების დასაწვავად ან ქიმიური დამუშავებისათვის.
11. დიდი კაშხლები²³ და სხვა წყალსაცავები, განკუთვნილი წყლის მუდმივი ან დროებითი შენახვისათვის.
12. მიწისქვეშა წყლების ამოსატუმბი საქმიანობა ან მიწისქვეშა წყლების ხელოვნური სქემები, იმ შემთხვევებში, სადაც წლიური მოცულობა იმ წყლისა, რომლის ამოღება ან ხელახლა ჩატვირთვა უნდა განხორციელდეს, უტოლდება 10 მლნ კუბურ მეტრს ან მეტს.
13. სამრეწველო ქარხნები: (i) ხე-ტყისაგან მერქნის მასის ან მსგავსი ბოჭკოვანი მასალების საწარმოებლად; ან (ii) ქაღალდისა და მუყაოს წარმოებისთვის, რომლის დღიური წარმოების მოცულობა აღემატება 200 ჰაერზე გამომშრალ მეტრულ ტონას.
14. ტორფის ფართომასშტაბიანი მიწისქვეშა მოპოვება, კარიერები და ღია სამთო მრეწველობა, და ლითონის მადნეულისა და ნახშირის დამუშავება.
15. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება კომერციული მიზნებისათვის.
16. ნავთობის, ნავთობპროდუქტების ან ქიმიური პროდუქტების შესანახი დანადგარები 200,000 ტონის ან მეტი მოცულობით.
17. ფართომასშტაბიანი ხასიათის, დიდი ტერიტორიების გაჩეხვა ან ხე-ტყის დამზადება.
18. მუნიციპალური წყალგამწმენდი ნაგებობი, 150,000-ზე მეტი მოსახლის ექვივალენტური მოცულობით.
19. ფართომასშტაბიანი მუნიციპალური მყარი ნარჩენების დამუშავებისა და გატანის ობიექტები.
20. ფართომასშტაბიანი ტურისტული და საცალო ვაჭრობის განვითარება.
21. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა.

²³ დიდი კაშხლების საერთაშორისო კომისია (ICOLD) დიდ კაშხლად განსაზღვრავს საძირკველიდან 15 მეტრის ან მეტი სიმაღლის მქონე კაშხალს. კაშხლები, რომელთა სიმაღლე 5-დან 15-მდე მეტრისაა და აქვს 3 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის ცყალსაცავი, ასევე კლასიფიცირდება როგორც დიდი კაშხლები.

22. მასშტაბური ქარის ენერგეტიკული დანადგარები ენერგიის წარმოებისათვის (ქარის ფერმები).
23. მიწის ფართომასშტაბიანი მელიორაცია და ზღვის გრუნტის ამოღების ოპერაციები.
24. ფართომასშტაბიანი პირველადი სოფლის მეურნეობა ან ტყის გაშენება, რაც მოიცავს ინტენსიფიკაციას, მიწათსარგებლობის ცვლილებას ან ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლებისა და/ან კრიტიკული ჰაბიტატების კონვერსიას.
25. ტყავებისა სათრიმლავი ქარხნები, სადაც წარმოების მოცულობა აღემატება 12 ტონა მზა პროდუქციას დღეში.
26. ფრინველის ან ღორის ინტენსიური მოშენების დანადგარები: (i) ბროილერისათვის 85,000-ზე მეტი ადგილით და ქათმისათვის 60,000-ზე მეტი ადგილით; (ii) 3,000-ზე მეტი ადგილით გოჭებისათვის (30კგ-ს ზემოთ); ან (iii) 900-ზე მეტი ადგილით ღორებისათვის.
27. პროექტები ²⁴ რომელიც დაგეგმილია განხორციელებისათვის ან სავარაუდოდ, საგრძნობ ზემოქმედებას მოახდენს საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის სენსიტიურ ადგილებზე, მაშინაც კი, თუ პროექტის კატეგორია არ ჩანს ამ ჩამონათვალში. ასეთი სენსიტიური ადგილები მოიცავს, სხვათა შორის, ბუნების დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც გამოყოფილია ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე, კრიტიკულ ჰაბიტატს ან სხვა ეკოსისტემებს, რომლებიც განამტკიცებენ ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებს, არქეოლოგიური და კულტურული მნიშვნელობის ტერიტორიებსა და მკვიდრი მოსახლეობისათვის ან სხვა დაუცველი ჯგუფებისათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს.
28. პროექტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური ზემოქმედება ადგილობრივ თემებსა და სხვა პროექტთან შეხებაში მყოფ სხვა მხარეებზე.
29. პროექტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს მნიშვნელოვან იძულებით განსახლებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას.

²⁴ მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ეკოლოგიურად და სოციალურად ორიენტირებული პროექტები (როგორიცაა განახლებადი ენერგია).

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 1:

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების შეფასება და მართვა

შესავალი

1. წინამდებარე მოთხოვნა საქმიანობისადმი (PR) აყალიბებს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა ¹ და საკითხების იდენტიფიცირებისათვის ინტეგრირებული შეფასების მნიშვნელობას, რომლებიც უკავშირდება პროექტებს და კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მართვას პროექტის არსებობის მანძილზე. წარმატებული და ეფექტური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) არის დინამური, უწყვეტი პროცესი, რომელსაც წამოიწყებს და მხარს უჭერს ხელმძღვანელობა და რომელიც მოიცავს: კონსტრუქციულ კომუნიკაციას კლიენტებს, მის თანამშრომლებსა და ადგილობრივ თემებს შორის, რომლებიც პროექტის და/ან კლიენტის სხვა საქმიანობის ზემოქმედებას განიცდიან და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ის მოითხოვს მეთოდურ სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, განხილვასა და შედეგებზე რეაგირებას სტრუქტურირებული გზით მართვის შესრულებაში უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით. ESMS პროექტის ხასიათისა და მასშტაბის შესაბამისად ხელს უწყობს უსაფრთხო და მდგრად გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას და შეუძლია გამოიწვიოს გაუმჯობესებული ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები.
2. ეს PR ხაზს უსვამს კლიენტის პასუხისმგებლობას პროექტთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების შეფასების პროცესში, და ამ ზემოქმედებისა და საკითხების მონიტორინგისა და მართვისათვის საჭირო პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაში. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა. PR 10, რომელიც ხაზს უსვამს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ მოთხოვნებს, წაკითხულ უნდა იქნეს ამ PR-თან ერთად.

ამოცანები

3. ამ PR-ის ამოცანებია:

- პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების იდენტიფიცირება და შეფასება
- შერბილების იერარქიის ² მიდგომის გამოყენება დასაქმებულებზე, შეხებაში მყოფ თემებსა, და გარემოზე საპროექტო საქმიანობით გამოწვეული

¹ ამ პოლიტიკის მიზნებისთვის, სოციალური ზემოქმედება გულისხმობს ზემოქმედებას ინდივიდებზე, თემსა და მომუშავეებზე, რომელიც გამომდინარეობს მხარდასაჭერი ბიზნეს საქმიანობიდან და იქიდან თუ რა ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მათ სამუშაო პირობებზე, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კულტურულ თვითმყოფადობაზე, ადამიანის უფლებებსა და/ან ჯანმრთელობაზე.

² შერბილების იერარქია მოიცავს მიღებულ ზომებს, რათა თავიდან ავიცილოთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შექმნა საქმიანობის განვითარების მომენტიდან და იქ, სადაც ეს შეუძლებელია,

უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების და საკითხების გადასაჭრელად

- კლიენტების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა მართვის სისტემების ეფექტური გამოყენების მეშვეობით
- პროექტის ხასიათზე მორგებული ESMS შემუშავება, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებისა და ზემოქმედების შეფასებისა და მართვისათვის, სათანადო PR-ის შესაბამისად.

გამოყენების სფერო

4. ეს PR ვრცელდება ყველა პროექტზე, რომელსაც EBRD უშუალოდ აფინანსებს. კლიენტი, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესების ფარგლებში, განახორციელებს ამ PR-ის შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირებას და იმის განსაზღვრას, თუ როგორ განხორციელდება ამ მოთხოვნების მართვა და გადაჭრა პროექტის დიზაინის, კონსტრუქციის, ოპერაციების და ექსპლუატაციიდან გამოსვლის ან დახურვისა და აღდგენის ფარგლებში პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის შესაბამისად.
5. PR-ების მიზნებისათვის, ტერმინი „პროექტი“ ნიშნავს განსაზღვრულ ბიზნეს საქმიანობას, რომლისთვისაც EBRD-ის დაფინანსება მოთხოვნილია კლიენტის მხრიდან, ან სადაც EBRD-ის დაფინანსება უკვე განხორციელდა, ბიზნეს საქმიანობების ერთობლიობა უკვე განსაზღვრულია დაფინანსების შეთანხმებებში და დამტკიცებულია EBRD-ის დირექტორთა საბჭოს ან სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ.

პროექტები, რომლებიც მოიცავს ახალ ობიექტებს ან ბიზნეს საქმიანობას, შემუშავებული უნდა იყოს იმისათვის, რომ თავიდანვე დააკმაყოფილოს PR-ბი. იქ სადაც პროექტი დაკავშირებულია არსებულ ობიექტებთან, ან სადაც პროექტი თავიდანვე არ აკმაყოფილებს PR-ს კლიენტს მოსთხოვენ, შეიმუშაოს და განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP),³ რომელიც მოიცავს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა, რომ ამ ობიექტებმა გონივრულ ვადებში მიაღწიონ PR-თან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მოთხოვნები

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება

6. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი დაფუძნებული იქნება უახლეს ინფორმაციაზე, მათ შორის პროექტის ზუსტ აღწერასა და განსაზღვრაზე

ავამოქმედოთ დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს, შეარბილებს და, უკიდურეს შემთხვევაში, დააბალანსებს და/ან კომპენსირებას გაუწევს ნებისმიერ პოტენციურ დარჩენილ უარყოფით ზემოქმედებას.

³ ESAP წარმოადგენს დაფინანსების ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს.

და კლიენტის პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, და სოციალური და ბუნებრივი გარემოს საბაზისო მონაცემებზე დეტალიზაციის სათანადო დონით. შეფასების პროცესმა ასევე უნდა განსაზღვროს: (i) შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები და იურისდიქციის მარეგულირებელი მოთხოვნები, რომელშიც მოქმედებს პროექტი, მათ შორის ის კანონები, რომლებიც ახორციელებს მიმღები ქვეყნის ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; და (ii) PR-ებით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები. მთავარია ამ მიდგომაში გამოყენებული იქნეს შერბილების იერარქია და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა (GIP).⁴ იმ პროექტებისათვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, კლიენტი, შეფასების პროცესის ფარგლებში, განსაზღვრავს, პროექტის დაინტერესებულ მხარეებს და შეიმუშავებს გეგმას მათთან კონსტრუქციული ჩართულობისათვის, რათა გაითვალისწინონ მათი შეხედულებები და პრობლემები პროექტის დაგეგმვაში, განხორციელებასა და ფუნქციონირებაში 10 PR-ის შესაბამისად.

7. შეფასების პროცესი იქნება პროექტის პოტენციური ზემოქმედებისა და საკითხების შესაბამისი და პროპორციული და მოიცავს, ინტეგრირებული გზით, პროექტის ყველა შესაბამის პირდაპირ და არაპირდაპირ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და საკითხებს, და პროექტის ციკლის შესაბამის ეტაპებს (მაგალითად, წინასამშენებლო, სამშენებლო, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ან დახურვისა და აღდგენის ეტაპები). შეიძლება კლიენტისათვის საჭირო იყოს მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შევსება შემდგომი კვლევით, რომელიც ფოკუსირებულია კონკრეტულ რისკებსა და ზემოქმედებაზე, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და გენდერული საკითხები.
8. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი ასევე განსაზღვრავს და დაახასიათებს, საჭიროების შემთხვევაში, პოტენციურად მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობასთან ან ობიექტებთან, რომლებიც არ არის პროექტის ნაწილი, მაგრამ შეიძლება პირდაპირ ან არა პირდაპირ იმყოფებოდეს პროექტის გავლენის ქვეშ, არსებობდეს მხოლოდ პროექტის გამო, ან შეიძლება პროექტისათვის რისკს წარმოადგენდეს. ეს დაკავშირებული საქმიანობა ან ობიექტები შეიძლება არსებითი იყოს პროექტის სიცოცხლისუნარიანობისათვის და ასევე შეიძლება იყოს კლიენტის კონტროლის ქვეშ ან მესამე მხარის მიერ ხორციელდებოდეს ან მესამე მხარეს ეკუთვნოდეს. იქ, სადაც კლიენტს არ შეუძლია კონტროლი ან გავლენის მოხდენა ამ საქმიანობაზე ან ობიექტებზე, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესმა უნდა განსაზღვროს ის შესაბამისი რისკები, რასაც ისინი წარმოადგენს პროექტისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრულია პოტენციურად

⁴ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა ეხება პროფესიული უნარის, შრომისმოყვარეობის, სიმშვიდისა და წინდახედულობის განხორციელებას, რომელიც გონივრულად იქნება მოსალოდნელი გამოცდილი და კვალიფიციური პროფესიონალებისაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან იმავე ტიპის ვალდებულებებით, იმავე ან მსგავს გარემოებებში, გლობალურად ან რეგიონებში. ასეთი პრაქტიკის შედეგი უნდა იყოს ის, რომ პროექტი იყენებს ყველაზე შესაფერის ტექნოლოგიებს პროექტისათვის დამახასიათებელ გარემოებებში.

მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მესამე მხარის საქმიანობასთან ან ობიექტებთან, კლიენტმა უნდა ითანამშრომლოს შესაბამის მესამე მხარესთან, რათა მართოს და შეარბილოს ეს რისკები. ანალოგიურად, იქ, სადაც არის შესაძლებლობები სარგებლის გასაზრდელად, კლიენტმა უნდა გამოიყენოს ბერკეტები და ზეგავლენა შესაბამის მესამე მხარეზე. გარდა ამისა, შეფასების პროცესი განიხილავს პროექტის ერთობლივ ზემოქმედებას სხვა შესაბამისი წარსულის, აწმყოს ან უახლესი განვითარებული მოვლენების ზემოქმედებასთან კომბინაციაში, ისევე როგორც, დაუგეგმავ, მაგრამ პროგნოზირებად იმ საქმიანობასთან ერთად, რომელიც დაშვებულია იმ პროექტის მიერ, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მოგვიანებით ან განსხვავებულ ადგილას.

9. A კატეგორიის პროექტებმა⁵ შეიძლება გამოიწვიოს პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი ეკოლოგიური და/ან სოციალური ზემოქმედებები მომავალში, რომელთა განსაზღვრა თუ შეფასება ადვილად არ შეიძლება და რომლებიც მოითხოვს კლიენტისგან, რომ განახორციელოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ყოვლისმომცველი შეფასება (ESIA – ბსგზშ). ESIA პროცესი მოიცავს პროექტის ფარგლების განსაზღვრის ეტაპს პროექტთან დაკავშირებული მომავალი პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების განსაზღვრისათვის.⁶ ESIA მოიცავს ასეთი ზემოქმედების წყაროს ტექნიკურად და ფინანსურად მისაღები ალტერნატივების შემოწმებას, მათ შორის არასაპროექტო ალტერნატივას და კონკრეტული შემოთავაზებული სამოქმედო კურსის შერჩევის დოკუმენტურ დასაბუთებას. ის ასევე განსაზღვრავს პოტენციური გაუმჯობესების შესაძლებლობებს და რეკომენდაციას გაუწევს საჭირო ღონისძიებებს უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის ან, სადაც თავიდან აცილება შეუძლებელია, შემცირებისა და შერბილებასათვის. შეიძლება საჭირო გახდეს, რომ ESIA განხორციელებული ან დამოწმებული იყოს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. ESIA-ის პროცესი, ასევე მოიცავს საჯარო განხილვისა და კონსულტაციების პროცესს, როგორც მითითებულია PR 10-ში.
10. B კატეგორიის პროექტებისათვის, სადაც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური უარყოფითი მომავალი ზემოქმედება არის როგორც წესი, ადგილმდებარეობისათვის სპეციფიკური და/ან ადვილია იდენტიფიცირება და გადაჭრა შემარბილებელი ღონისძიებების მეშვეობით, კლიენტი განახორციელებს პროექტის ხასიათის, ზომისა და ადგილმდებარეობის, ისევე როგორც პოტენციური ზემოქმედებისა და რისკების მახასიათებლების პროპორციულ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას. შეფასება დაახასიათებს პროექტთან დაკავშირებულ პოტენციურ მომავალ უარყოფით ზემოქმედებას, მოახდენს პოტენციური გაუმჯობესების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და რეკომენდაციას გაუწევს

⁵ A კატეგორიის პროექტების მისათითებელი ჩამონათვალი წარმოდგენილია EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დანართში 2.

⁶ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება განიხილავს პოტენციურ პირდაპირ, არაპირდაპირ და კუმულაციურ ზემოქმედებას პროექტთან დაკავშირებით, ისევე, როგორც პოტენციურ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას, სადაც შესაფერისია.

ნებისმიერ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან, სადაც თავიდან აცილება შეუძლებელია, მინიმუმამდე დასაყვანად და შესარბილებლად.

11. A და B კატეგორიის პროექტებისათვის, რომლებიც მოიცავს არსებულ ობიექტებს, საჭირო იქნება წარსული და მიმდინარე ოპერაციების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასება. ამ შეფასების მიზანი არის არსებულ საშუალებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული პოტენციური რისკების, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმდინარე სტატუსის დადასტურება და კლიენტის არსებული მართვის სისტემებისა და PR-თან მიმართებაში საერთო მოქმედების შეფასება. არსებული საშუალებების ნებისმიერი კვლევა უნდა განხორციელდეს ექსპერტების მიერ, რომლებიც დამოუკიდებლები არიან იმ ობიექტისგან, რომლის კვლევაც მიმდინარეობს.
12. C კატეგორიის პროექტებისათვის, რომლებსაც სავარაუდოდ აქვთ მინიმალური უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, ან საერთოდ არ აქვთ უარყოფითი ზემოქმედება, და რომელთა იდენტიფიცირება და გადაჭრა შემარბილებელი ღონისძიებებით ადვილადაა შესაძლებელი, კლიენტი განხორციელებს ამ PR-ის 14-22 მუხლების შესაბამისი ზემოქმედებისა და რისკების პროპორციულ გარემოსდაცვით და სოციალურ მართვის სისტემას (ESMS) და გაუწევს მონიტორინგს და წარმოადგენს ანგარიშს პროექტის PR-თან შესაბამისობაზე 1 PR-ის 23-28 მუხლების თანახმად.
13. იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტები, რომლებიც მრავალ ადგილას აწარმოებენ ოპერაციებს, ითხოვენ ზოგად კორპორაციული ფინანსების, საბრუნავი კაპიტალის ან სააქციო კაპიტალის დაფინანსებას, 7-დან 12-მდე პუნქტებში მითითებული შეფასება შესაძლოა არ იყოს სათანადო. ასეთ შემთხვევებში, კლიენტის მიმდინარე ESMS და წარსული და მიმდინარე საქმიანობა შეფასდება შესაბამის PR-ებთან მიმართებაში და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) შემუშავებული და განხორციელებული იქნება კორპორაციულ დონეზე (განსხვავებით ადგილმდებარეობისათვის სპეციფიკური მიდგომისაგან).

კორპორაციული დონის შეფასება:

- შეაფასებს კლიენტის უნარს მართოს და გადაჭრას ყველა შესაბამისი სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება და საკითხები, რომელიც დაკავშირებულია მის ქმედებებთან და საშუალებებთან PR-ებში აღწერილ მოთხოვნებთან მიმართებაში
- შეაფასებს კლიენტის შესაბამისობის ისტორიას სათანადო გარემოსდაცვით და სოციალურ მარეგულირებელი მოთხოვნებთან, იმ იურისდიქციის შესაბამისად, რომელშიც მოქმედებს პროექტი
- განსაზღვრავს კლიენტის მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმდინარე ღონისძიებებს.

კორპორაციული შეფასების ზუსტი ფარგლები განსაზღვრული იქნება თითოეული შემთხვევისთვის.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები

14. კლიენტები ვალდებულნი არიან დანერგონ და შეინარჩუნონ პროექტის ხასიათისა და მასშტაბისთვის სათანადო და GIP-ის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების დონის პროპორციული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა. ასეთი მართვის სისტემის მიზანია გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების განხორციელების ინტეგრირება სტრუქტურირებულ და კოორდინირებულ პროცესში და მისი ჩართვა კლიენტის მიერ ზემოქმედებისა და შედეგების შეფასების ძირითად საოპერაციო საქმიანობაში.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

16. კლიენტი შეიმუშავებს, საჭიროების შემთხვევაში, ყოვლისმომცველ პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს გარემოსდაცვით და სოციალურ ამოცანებსა და პრინციპებს, რომლებიც საშაულებას აძლევს პროექტს მიაღწიოს უსაფრთხო გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას. პოლიტიკა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჩარჩოს და PR-ების პრინციპებთან შესაბამის მართვის პროცესს.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

17. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის შედეგების და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შედეგების გათვალისწინებით, კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს სამოქმედო პროგრამას, რათა უპასუხოს დადგენილი პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და შედეგებს და საქმიანობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებს, რათა დააკმაყოფილოს PR-ები. პროექტის შესაბამისად, პროგრამა შეიძლება შედგებოდეს დოკუმენტირებული სამოქმედო პოლიტიკის, მართვის სისტემების, პროცედურების, გეგმების, პრაქტიკისა და კაპიტალდაბანდებების კომბინაციისგან, რაც ერთობლივად ცნობილია როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები (ESMP).
18. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა ასახავს შერბილების იერარქიას, და იქ, სადაც ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელია, ხელს შეუწყობს ზემოქმედების თავიდან აცილებასა და აღკვეთას – მინიმიზაციის, შერბილებისა ან კომპენსაციისაგან განსხვავებით, და უზრუნველყოფს, რომ პროექტის ყველა შესაბამისი ეტაპი სტრუქტურირებული იყოს ისე, რომ აკმაყოფილებდეს გამოსაყენებელ კანონებს, მარეგულირებელ მოთხოვნებს და PR-ებს. სადაც შეუძლებელია მყოფი ფიზიკური პირები, ან ჯგუფები განისაზღვრებიან, როგორც არახელსაყრელ

მდგომარეობაში მყოფნი ან დაუცველნი⁷ შეფასების პროცესში, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა გაითვალისწინებს დიფერენცირებულ ზომებს, იმისათვის, რომ უარყოფითი ზემოქმედება მათ არაპროპორციულად არ შეეხოთ და შემდგომ პროექტისაგან სარგებლის მიღება. სადაც შესაძლებელია, ESMP ასევე მოიცავს მესამე მხარისა და მიწოდების ჯაჭვის საკითხების მართვას.

19. ESMP-ის დეტალიზაციისა და სირთულის დონე იქნება პროპორციული პროექტის ზემოქმედებისა და საკითხებისა, რომლებიც ეხება პროექტისთვის დამახასიათებელ რისკებს, ზემოქმედებასა და შესაძლებლობებს. ESMP განსაზღვრავს სასურველ შედეგებს, როგორც გაზომვად ღონისძიებებს, შესაძლებლობის ფარგლებში, ისეთ ელემენტებთან ერთად, როგორიცაა მიზნები და შესრულების ინდიკატორები, რომლებზეც დაკვირვება შემდგომში განსაზღვრული პერიოდების შემდეგ. აღიარებს რა პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის დინამიკურ ხასიათს, ESMP-ში იქნება პროექტის გარემოებების ცვლილებების, გაუთვალისწინებელი მოვლენების, მარეგულირებელი ცვლილებების და მონიტორინგისა და მიმოხილვის შედეგების მიმართ მგრძნობიარე და დროდადრო დაექვემდებარება განახლებას.
20. ESMS-ში, მათ შორის, მათ მიერ დაწესებული ნებისმიერი სპეციფიკური მოთხოვნები და ქმედებები, გავრცელდება პროექტზე მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა პროექტი უშუალოდ კლიენტის, თუ კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მიერ. კლიენტის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ პროექტის ადგილმდებარეობებზე მომუშავე კონტრაქტორები აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნებს კონტრაქტორების მართვის სათანადო სისტემის მიღებისა და განხორციელების მეშვეობით. კონტრაქტორების ეფექტური მართვა მოიცავს:
 - საკონტრაქტო სამუშაოებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებას და სატენდერო დოკუმენტებში შესაბამისი ESMP-ის პირობების გათვალისწინებას. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესაბამისად კონტრაქტორებისაგან ამ სტანდარტების გამოყენების მოთხოვნას და შეუსაბამობის შემთხვევაში პრობლემების მოგვარების ზომების განხორციელებას
 - ზედამხედველობას, რომ კონტრაქტორებს აქვთ ცოდნა და უნარები, რომ შეასრულონ მათი საპროექტო ამოცანები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად
 - კონტრაქტორის კონტრაქტის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგს

⁷ ამ პოლიტიკის მიზნებისთვის, დაუცველი ჯგუფები გულისხმობს იმ ადამიანებს, რომლებიც, გენდერული იდენტურობის, სქესობრივი ორიენტაციის, რელიგიის, ეთნიკურობისა, მკვიდრი მდგომარეობის, ასაკის, უუნარობის, ეკონომიკური ხელმოკლეობის ან სოციალური სტატუსის ნიშნით, შესაძლოა, უფრო მეტად იყვნენ დაზარალებულნი პროექტის ზემოქმედებით, ვიდრე სხვები, და რომლებიც შესაძლოა შეზღუდულნი იყვნენ უნარში, რომ მოითხოვონ და ისარგებლონ პროექტის უპირატესობებით. დაუცველი პირები და/ან ჯგუფები ასევე შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, ადამიანებით, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უმიწაწყლოებს, ხანდაზმულებს, საოჯახო მეურნეობებს, რომლებსაც ქალები და ბავშვები უძღვებიან, ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეთნიკური უმცირესობებს, ბუნებრივი რესურსებზე დამოკიდებული თემებს და სხვა გადაადგილებულ პირებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცულნი ეროვნული კანონმდებლობითა და/ან საერთაშორისო სამართლით.

- ქვეკონტრაქტორების შემთხვევაში, კონტრაქტორებისაგან მათ ქვეკონტრაქტორებთან მსგავსი შეთანხმების მიღწევის მოთხოვნას.

მოთხოვნები, რომლებიც ეხება შტატგარეშე თანამშრომელთა შრომისა და სამუშაო პირობებს, ასახულია 2-ე PR-ში. მოთხოვნები ყველა თანამშრომლის პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოცემულია 4-ე PR-ში.

ორგანიზაციული შესაძლებლობა და ვალდებულება

21. კლიენტი ჩამოაყალიბებს, შეინარჩუნებს და გააძლიერებს, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს ფუნქციებს, პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებას, რათა განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) მიმდინარე შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ მოთხოვნებთან და PR-ებთან. კლიენტი დანიშნავს სპეციალურ პერსონალს, მათ შორის, მართვის წარმომადგენელს (წარმომადგენლებს), მკაფიო პასუხისმგებლობითა და უფლებამოსილებით ESMS-ის შენარჩუნებისა და განხორციელებისთვის. გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობას დაადგენენ და შეატყობინებენ შესაბამის პერსონალს. კლიენტი უზრუნველყოფს მიმდინარე საფუძველზე ადეკვატურ მხარდაჭერას და ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს ეფექტური და უწყვეტი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მისაღწევად.
22. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლები, რომელთაც აკისრიათ პროექტის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის განხორციელების პირდაპირი პასუხისმგებლობა სათანადოდ იყვნენ კვალიფიცირებულნი და მომზადებულნი.

მიწოდების ჯაჭვის მართვა

23. კლიენტს მოეთხოვება მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება. როდესაც კლიენტს შეუძლია გონივრულად განახორციელოს კონტროლი მის ძირითად მომწოდებლებზე, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი ასევე განიხილავს არის თუ არა დაკავშირებული გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან პირველადი მიწოდების ჯაჭვები, რომლებსაც პროექტის ძირითადი საოპერაციო ფუნქციების განხორციელებისათვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვთ. თუ საქმე გვაქვს ასეთ შემთხვევასთან, კლიენტი მიიღებს და განახორციელებს ამ მიწოდების ჯაჭვებისა და პროექტის ხასიათისა და მასშტაბის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სირთულის პროპორციულ მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემას. მართვის სისტემა მოიცავს პროცესებს ზომების მისაღებად, რათა ვუპასუხოთ მიწოდების ჯაჭვის შეფასების ან მიმდინარე მონიტორინგის დროს გამოვლენილ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს შემდეგის გათვალისწინებით: (i) თუ გამოიწვია, ან ხელი შეუწყო კლიენტმა ამ საკითხების წარმოშობას; (ii) კლიენტის მიმწოდებლების მიმართ არსებული ბერკეტები; (iii) თუ რამდენად გადამწყვეტია კლიენტისათვის

მიმწოდებელთან ურთიერთობა; (iv) საკითხების სერიოზულობა; და (v) მიმწოდებელთან ურთიერთობის შეწყვეტას ექნება თუ არა თავისთავად უარყოფითი შედეგები. მოთხოვნები მიწოდების ჯაჭვში შრომითი სტანდარტებისათვის მოცემულია 2-ე PR-ში; მოთხოვნები მიწოდების ჯაჭვებთან დაკავშირებული საარსებო ბუნებრივი რესურსებისთვის განსაზღვრულია 6-ე PR-ში.

პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

24. კლიენტი მონიტორინგს გაუწევს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხორციელებას. ეს მონიტორინგი მიზნად ისახავს: (i) დაადგინოს ხორციელდება თუ არა პროექტი PR-ების შესაბამისად; და (ii) მიიღოს გამოცდილება, გაანაწილოს რესურსები და მოახდინოს უწყვეტი გაუმჯობესებისათვის საჭირო შესაძლებლობების იდენტიფიცირება.
25. მონიტორინგის მოთხოვნები იქნება პროექტის ხასიათისა და მისი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების და შედეგების პროპორციული. მონიტორინგი შეეხება:
- გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის დროს გამოვლენილ ნებისმიერ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და შედეგებს
 - PR-ების შესაბამის ნაწილებს, განსაზღვრულს პროექტის შეფასების პროცესის და შემდგომი მონიტორინგის დროს, შესაბამისად
 - ESMP-ში ან ESAP-ში გათვალისწინებულ საქმიანობას, სადაც შესაბამისია
 - თანამშრომლებისა და გარე დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებულ საჩივრებს, და თუ როგორ იქნა ისინი გადაწყვეტილი
 - მონიტორინგისა და ანგარიშგების ნებისმიერ მარეგულირებელ მოთხოვნებს
 - სხვა მხარეების (მაგალითად, შემსყიდველები, ფინანსისტები ან სერტიფიცირების ორგანოები) მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ მონიტორინგს/ანგარიშგებას.
26. კლიენტი უზრუნველყოფს შესაბამისი სისტემების, რესურსებისა და პერსონალის არსებობას მონიტორინგის განსახორციელებლად. კლიენტმა უნდა განიხილოს მონიტორინგის შედეგები და, საჭიროებისამებრ, დაიწყოს მაკორექტირებელი ქმედებები. გარდა ამისა, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს მესამე მხარეები, როგორცაა დამოუკიდებელი ექსპერტები, ადგილობრივი თემები, ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რათა შეავსოს ან დაადასტუროს საკუთარი მონიტორინგის ინფორმაცია. სადაც შესაბამის ორგანოებს ან სხვა მესამე მხარეებს აქვთ სპეციფიკური ზემოქმედებისა და შედეგების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მართვის პასუხისმგებლობა, კლიენტი ითანამშრომლებს შესაბამის ორგანოებთან ან სხვა მესამე მხარეებთან, რათა ამგვარი შემარბილებელი ღონისძიებები დანერგოს და და კონტროლი გაუწიოს.

27. კლიენტი უზრუნველყოფს EBRD-ს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ რეგულარული ანგარიშებით, რაც მოიცავს ინფორმაციას PR-ებთან შესაბამისობის, ESMS-ის, ESMP-ის, ESAP-ისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, კლიენტი განსაზღვრავს და ასახავს ნებისმიერ საჭირო მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებს შესწორებულ ESMP-ში ან ESAP-ში, EBRD-თან შეთანხმებისამებრ. კლიენტი განახორციელებს შეთანხმებულ მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებს, და შემდგომ მოქმედებას ამ ზომების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
28. კლიენტმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს EBRD-ს ნებისმიერი გარემოსდაცვითი ან სოციალური სახის ინციდენტის ან შემთხვევის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია კლიენტთან ან პროექტთან, რომელსაც აქვს ან, სავარაუდოდ, ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა.
29. კლიენტმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს EBRD-ს ნებისმიერი ცვლილების შესახებ პროექტის მოცულობასთან, დიზაინსა ან მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ, არსებითად შეცვლის მის გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და შედეგებს. კლიენტი განახორციელებს ნებისმიერ დამატებით შეფასებას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას PR-ების შესაბამისად და დასკვნების შესაბამისად შესწორებას შეიტანს ESMP-ში ან ESAP-ში, EBRD-თან შეთანხმებისამებრ.
30. იმ პროექტებისათვის, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და შედეგები, კლიენტს შესაძლოა მოსთხოვონ, ჩართოს შესაბამისი გარე ექსპერტები, რათა შეასრულონ პროექტის პერიოდული დამოუკიდებელი მიმოხილვა, ან განახორციელონ სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მონიტორინგი. ამ სამუშაოს მასშტაბი და შემდგომი ქმედებები განსაზღვრული იქნება თითოეული შემთხვევის საფუძველზე.

EBRD-ის სამოქმედო მოთხოვნა 2:

შრომისა და სამუშაო პირობები

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ კლიენტებისა და მათი ბიზნეს საქმიანობისთვის სამუშაო ძალა მნიშვნელოვანი აქტივია და რომ საკადრო რესურსების კარგი მართვა და თანამშრომელსა და ხელმძღვანელს შორის ჯანსაღი ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების პატივისცემას. სამეწარმეო საქმიანობის მდგრადობის მთავარი შემადგენელი ნაწილია. თანამშრომლების მიმართ სამართლიანი მოპყრობით და მათთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების,¹ უზრუნველყოფით, კლიენტს შეუძლია შექმნას საგრძნობი სარგებელი, როგორცაა მათი ოპერაციების გაზრდილი ეფექტურობა და პროდუქტიულობა.

ამოცანები

2. ამ PR-ის ამოცანებია:

- პატივი სცეს და დაიცვას თანამშრომელთა ფუნდამენტური პრინციპები და უფლებები²
- ხელი შეუწყოს ღირსეული შრომის განრიგს,³ მათ შორის, თანამშრომლების მიმართ სამართლიან მოპყრობას, მათთვის არა დისკრიმინაციული გარემოსა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას
- დაამყაროს, შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს თანამშრომელსა და ხელმძღვანელს შორის ჯანსაღი ურთიერთობა
- ხელი შეუწყოს იმ ნებისმიერი კოლექტიურ შეთანხმებებთან შესაბამისობას რომელთა მხარე არის კლიენტი, შესაბამისობას შრომისა და დასაქმების ეროვნულ კანონებთან.
- დაიცვას და ხელი შეუწყოს მშრომელთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, განსაკუთრებით, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების ხელშეწყობით
- აღკვეთოს იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის გამოყენება (როგორც ეს განსაზღვრულია ILO-ის მიერ), რამდენადაც ეს ეხება პროექტის საქმიანობას.

¹ პროფესიული ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები მოცემულია 4-ე PR.

² შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები 29 და 105 (იძულებითი შრომა), 87 (გაერთიანების თავისუფლება), 98 (კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება), 100 და 111 (დისკრიმინაცია), 138 (მინიმალური ასაკი) 182 (ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები).

³ ღირსეული შრომა აჯამებს ადამიანთა მისწრაფებებს მათ სამუშაო ცხოვრებაში. ეს მოიცავს: შესაძლებლობებს მუშაობისათვის, რომელიც არის ნაყოფიერი და მოაქვს სამართლიანი შემოსავალი, სამუშაო ადგილის უსაფრთხოებას და სოციალურ დაცვას ოჯახებისთვის, პიროვნული განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის უკეთეს პერსპექტივებს, თავისუფლებას ადამიანებისათვის გამოხატონ საკუთარი პრობლემები, იმ გადაწყვეტილებების ორგანიზებას და მათში მონაწილეობას, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე და ყველა მამაკაცისა და ქალისათვის შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორობას.

გამოყენების სფერო

3. კლიენტი, როგორც მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ნაწილი, განსაზღვრავს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს, და იმას, თუ როგორ განხორციელდება მათი გადაჭრა და მართვა პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. იმ ქმედებების განხორციელების მართვა, რომლებიც აუცილებელია ამ PR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, განხორციელდება კლიენტის საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემისა (ESMS) და პროექტისათვის დამახასიათებელი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMPs) ფარგლებში. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მართვის მოთხოვნები მოცემულია 1 PR-ში.
4. მთელი ამ PR-ის მანძილზე, ტერმინი „თანამშრომელი“ გამოიყენება, რათა ასახოს კლიენტის თანამშრომლები, მათ შორის ნაწილობრივი დროით, დროებით, სეზონურად მომუშავეები და მიგრანტი თანამშრომლები. PR-ის გამოყენებადობა არა თანამშრომელი დასაქმებულებისათვის ჩამოყალიბებულია 21-23 პუნქტებში. მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული შრომის საკითხები ასახულია პუნქტებში 24-26.

მოთხოვნები

ზოგადი

5. პროექტებს მოეთხოვება, როგორც მინიმუმი, შესაბამისობა (i) ეროვნულ შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის და პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებთან, და (ii) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში გაცხადებულ⁴ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებთან.

თანამშრომლებთან ურთიერთობების მართვა

საკადრო პოლიტიკა

6. კლიენტი მიიღებს და/ან შეინარჩუნებს მისი ზომისა და სამუშაო ძალის შესაბამის საკადრო პოლიტიკას და მართვის სისტემებს ან პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრავს მის მიდგომას სამუშაო ძალის მართვისადმი ამ PR-ის მოთხოვნებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ეს პოლიტიკა და პროცედურები იქნება გასაგები და ხელმისაწვდომი თანამშრომლებისათვის და იქნება ძირითად ენაზე(ებზე), რომელზეც საუბრობენ თანამშრომლები.

შრომითი ურთიერთობები

7. კლიენტი დოკუმენტურად ასახავს და გასაცნობად წარუდგენს ყველა თანამშრომელს ეროვნული შრომითი და დასაქმების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მათ უფლებებს და ნებისმიერ შესაბამის კოლექტიურ

⁴იხ. სქოლიო 2 ზემოთ.

ხელშეკრულებებს, სამუშაო და დასაქმების პირობებს, მათ შორის მათ უფლებას ხელფასებზე, სამუშაო საათებზე, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობებზე და კომპენსაციაზე, და ასევე სხვა ნებისმიერ შეღავათებზე (მაგალითად, შვებულების, ავადმყოფობის მიზეზით სამსახურის გაცდების, დეკრეტულ შვებულების ან დღესასწაულის შემთხვევაში), და როდესაც ნებისმიერი არსებითი ცვლილებები მოხდება. ეს ინფორმაცია იქნება გასაგები და ხელმისაწვდომი თანამშრომლებისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ძირითად ენაზე(ებზე), რომელზეც საუბრობენ თანამშრომლები. ადამიანური რესურსების მართვის სისტემები დაიცავს თანამშრომელთა უფლებებს კონფიდენციალობასა და მონაცემთა დაცვაზე.

8. კომუნიკაციები უნდა ხდებოდეს იმ განზრახვით, რომ თანამშრომლები უზრუნველყოს: (i) ადეკვატური ინფორმაციით, კერძოდ, ინფორმაციით მოსალოდნელ ცვლილებებზე, რომლებსაც გავლენა ექნება სამუშაო ძალაზე და (ii) შესაძლებლობით, მიაწოდონ შენიშვნები უწყვეტი გაუმჯობესების ფარგლებში, მათ შორის, თუ როგორ უნდა წამოაყენონ საჩივრები, რაც დეტალურადაა აღწერილი 20-ე პუნქტში.

ბავშვთა შრომა

9. კლიენტი დაიცავს ყველა შესაბამის ეროვნული კანონმდებლობას ან შრომის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა დასაქმებას, და გამოიყენებს იმას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვის უფრო მაღალ ხარისხს არასრულწლოვანთა დასაქმების თვალსაზრისით.
10. კლიენტი არ დაასაქმებს ბავშვებს ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატატორულ ან, შესაძლოა, საზიანო, განათლებასთან შეუთავსებელ ან ბავშვის ჯანმრთელობისთვის მავნე, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური ან სოციალური განვითარების შემაფერხებელ სამუშაოზე. კლიენტი გამოავლენს 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს და არ დაასაქმებს მათ სახიფათო სამუშაოების შესასრულებლად. 18 წლამდე ასაკის ადამიანთა ყველა სამუშაო დაექვემდებარება სათანადო რისკის შეფასებას და ჯანმრთელობის, სამუშაო პირობებისა და სამუშაო საათების რეგულარულ მონიტორინგს.

იძულებითი შრომა

11. კლიენტი არ გამოიყენებს იძულებითი შრომის ფორმებს, რომელიც გულისხმობს ფიზიკური პირის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე მისგან შრომის ან მომსახურების შესრულებას, ძალის ან ჯარიმის მუქარის გამოყენებით. ეს მოიცავს იძულებით ან სავალდებულო შრომას, ისეთს, როგორიცაა მუშაობა შეგირდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებულებით უზრუნველყოფილი სამუშაო ან მსგავსი შრომითი ხელშეკრულები ან ტრეფიკინგით დაზარალებულ პირები.⁵

⁵ ტრეფიკინგი ადამიანებში განისაზღვრება, როგორც სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან პირის მიღება მუქარის საშუალებით, ან ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენებით, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ან უმწეო

დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანაბარი შესაძლებლობები

12. პროექტი იქნება შესაბამისობაში დასაქმებაში დისკრიმინაციულობის დაუშვებლობის შესახებ მოთხოვნებთან. კერძოდ, პროექტთან დაკავშირებით, კლიენტი განახორციელებს შემდეგს:

- არ მიიღებს დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებებს ისეთი პიროვნული მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა სქესი, რასა, ეროვნება, პოლიტიკური შეხედულებები, გაერთიანების კუთვნილება, ეთნიკური, სოციალური და ადგილობრივი წარმომავლობა, რელიგია ან რწმენა, მატერიალური ან ოჯახური სტატუსი, უნარშეზღუდულობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა, რაც არ უკავშირდება სამუშაოსთვის აუცილებელ მოთხოვნებს.
- დაამყარებს შრომით ურთიერთობებს თანაბარი შესაძლებლობებისა და სამართლიანი მოპყრობის პრინციპებზე დაყრდნობით და არ მოახდენს დისკრიმინაციას შრომითი ურთიერთობის არც ერთ ასპექტში რაც მოიცავს, თანამშრომელთა აყვანას და დაქირავებას, სამუშაოს დავალებას, კომპენსაციას (მათ შორის ხელფასებსა და სარგოს),⁶ სამუშაო და დასაქმების პირობებს, მათ შორის სამუშაო ადგილთან გონივრულ ადაპტირებას, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდულ შესაძლებლობებთან, ტრენინგების ხელმისაწვდომობას, დაწინაურებას, მუშაბის შეწყვეტას ან პენსიაზე გასვლას და დისციპლინას.
- მიიღებს ზომებს, რათა აღკვეთოს და რეაგირება მოახდინოს ძალადობაზე, რაც მოიცავს სექსუალურ ძალადობას, მუქარას, დაშინებას და/ან ექსპლუატაციას.

დისკრიმინაციად არ ჩაითვლება წარსულში დისკრიმინაციული გამოვლინების გამოსასწორებლად განხორციელებული სპეციალური დაცვისა დახმარების ზომები, ადგილობრივი კადრების დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა; სამუშაო პროფილის საფუძველზე შერჩევა, რაც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას.

მშრომელთა ორგანიზაციები

13. კლიენტი ხელს არ შეუშლის თანამშრომლებს წარმომადგენლების არჩევაში, მათ მიერ არჩეულ თანამშრომელთა ორგანიზაციების შექმნაში ან მათთან გაერთიანებაში ან კოლექტიურად მოლაპარაკების წარმოებაში. კლიენტი არ მოახდენს დისკრიმინაციას და არ მიიღებს საპასუხო ზომებს იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ როგორც წარმომადგენლები, მონაწილეობენ ან ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მსგავს გაერთიანებებში ან კოლექტიურ მოლაპარაკებებში. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად,

მდგომარეობით სარგებლობა, ან საზღაურის ან სარგებლის გაცემა ან მიღება თანხმობის მიღწევის მიზნით იმ პირისაგან, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე, ექსპლუატაციის მიზნით.

⁶ კლიენტი მხედველობაში მიიღებს თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს.

კლიენტი ითანამშრომლებს ასეთ თანამშრომელთა წარმომადგენლებთან ან გაერთიანებებთან და დროულად უზრუნველყოფს მათ მნიშვნელოვანი ინფორმაციით მოლაპარაკებების შინაარსიანად ჩასატარებლად. სადაც ეროვნული კანონმდებლობა არსებითად ზღუდავს მშრომელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ან ფუნქციონირებას, კლიენტი ჩამოაყალიბებს დამოუკიდებელ პროცესს, რათა თანამშრომლებმა გამოხატონ თავისი საჩივრები და დაიცვან მათი უფლებები სამუშაო პირობების და დასაქმების თვალსაზრისით, მისი ზომისა და სამუშაო ძალის შესაბამისად.

ხელფასები, შეღავათები და სამუშაო პირობები

14. შეთავაზებული ხელფასი, შეღავათები და სამუშაო პირობები (მათ შორის, სამუშაო საათები), საერთო ჯამში, უნდა შეესატყვისებოდეს შესაბამის ქვეყანაში/რეგიონში ამ სექტორში ეკვივალენტურ დამსაქმებელთა მიერ შეთავაზებულს.
15. როდესაც კლიენტი არის კოლექტიური შეთანხმების მხარე ან სხვაგვარად არის დავალდებული კოლექტიური შეთანხმებით, ასეთი შეთანხმება იქნება მხედველობაში მიღებული. როდესაც მსგავსი შეთანხმება არ არსებობს, ან არ პასუხობს სამუშაო პირობებსა და დასაქმების პირობებს, კლიენტი უზრუნველყოფს გონივრულ სამუშაო პირობებსა და დასაქმების პირობებს.
16. კლიენტი განახორციელებს მიგრანტ თანამშრომელთა იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს, რომ ისინი იმყოფებოდნენ არსებითად ეკვივალენტურ პირობებში არა მიგრანტ თანამშრომლებთან, რომლებიც იმავე სამუშაოს ასრულებენ.

პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

17. კლიენტები უზრუნველყოფენ თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი და პროექტები უნდა შეესაბამებოდეს 4-ე PR-ის დებულებებს.

თანამშრომლის საცხოვრებლით უზრუნველყოფა

18. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი უზრუნველყოფს თანამშრომლებს საცხოვრებლით, საცხოვრებელი უნდა შეეფერებოდეს მის ადგილმდებარეობას და იყოს სუფთა, უსაფრთხო და, როგორც მინიმუმი, უნდა აკმაყოფილებდეს თანამშრომელთა ძირითად საჭიროებებს. კერძოდ, საცხოვრებლით უზრუნველყოფა უნდა აკმაყოფილებდეს მოწინავე საერთაშორისო საწარმოო პრაქტიკას.⁷ თანამშრომელთა თავისუფალი გადაადგილების უფლება დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილიდან და უკან, არ უნდა იყოს უმიზეზოდ შეზღუდული.

⁷ EBRD/IFC სახელმძღვანელო მითითება “მომუშავეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა: პროცესები და სტანდარტები“, 2009.

კადრების შემცირება

19. სამსახურიდან ნებისმიერ კოლექტიურ გათავისუფლებამდე⁸ პროექტთან დაკავშირებით, კლიენტი განახორციელებს შტატების შემცირების ალტერნატივების ანალიზს. იმ შემთხვევაში, თუ ანალიზი არ მოახდენს შემცირების ეფექტიანი ალტერნატივების იდენტიფიცირებას, კლიენტმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს შემცირების გეგმა რათა შეაფასოს, შეამციროს და შეარბილოს მშრომელთა შემცირებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება, ეროვნული კანონმდებლობისა და მოწინავე საერთაშორისო საწარმოო პრაქტიკის შესაბამისად და ადისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებზე და კონსულტაციებზე დაყრდნობით. კადრების შემცირებისთვის შერჩევის პროცესი იქნება გამჭვირვალე, დამყარებული სამართლიან, ობიექტურ და შესაბამისად გამოყენებულ კრიტერიუმებზე და დაექვემდებარება საჩივრების განხილვის ეფექტურ მექანიზმს. კლიენტები მიაწვდიან დაინტერესებულ კავშირებს (არსებობის შემთხვევაში) და თანამშრომლებს და მათ წარმომადგენლებს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს დასაქმების პირობების ცვლილებების შესახებ გონივრულ გაფრთხილებას. ამ კონსულტაციის მიზანი იქნება სამუშაოს დაკარგვის პოტენციური უარყოფითი ეფექტის შემცირება და შერბილება თანამშრომლებისთვის. კონსულტაციების შედეგი ასახული იქნება კადრების შემცირების საბოლოო გეგმაში. ყველა გადაუხდელი სახელფასო დავალიანება, სოციალური დაცვის შეღავათები, საპენსიო შენატანები და შემწეობა იქნება გადახდილი: (i) თანამშრომლებთან სამუშაო ურთიერთობების შეწყვეტის დროს ან შეწყვეტამდე; (ii) საჭიროების შემთხვევაში, მომუშავეებთან ნებისმიერ კონკრეტულ დროს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე; ან (iii) გადახდა მოხდება კოლექტიური ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადების შესაბამისად.

საჩივრების განხილვის მექანიზმი

20. კლიენტი თანამშრომელთათვის (და, არსებობის შემთხვევაში მათი გაერთიანებებისათვის) უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის ეფექტურ მექანიზმს, რათა მათ შეძლონ სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საკითხების წამოყენება. კლიენტი შეატყობინებს თანამშრომლებს საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ მათი სამსახურში აყვანის დროს და უზრუნველყოფს ამ მექანიზმის დროულად გამოყენებას. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს მართვის სათანადო დონეს და დაუყონებლივ უნდა გადაჭრას პრობლემები გასაგები და გამჭვირვალე პროცესის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს დროულ გამომხატვრებას დაინტერესებული პირებისთვის, ყოველგვარი ანგარიშსწორების გარეშე. საჩივრების მექანიზმი ასევე უნდა იძლეოდეს კონფიდენციალური საჩივრების წამოყენებისა და გადაჭრის საშუალებას. ამ მექანიზმა ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას, რაც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს კანონის შესაბამისად ან არსებული არბიტრაჟის ან მედიაციის პროცედურების საშუალებით, ასევე, მან არ უნდა ჩაანაცვლოს

⁸ კოლექტიური გათავისუფლება განსაზღვრულია ევროკავშირის 98/59 დირექტივის 1 მუხლში.

პროფკავშირებისა და კოლექტიური შეთანხმებებით უზრუნველყოფილი საჩივრების განხილვის მექანიზმი.

შტატგარეშე თანამშრომლები

21. კონტრაქტორებისა ან სხვა შუამავლების საშუალებით პროექტის ობიექტებზე ან უშუალოდ პროექტით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოს შესასრულებლად კლიენტის მიერ დაქირავებული შტატგარეშე თანამშრომლების შემთხვევაში კლიენტი გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რომ: (i) დარწმუნდეს, რომ ხსენებული კონტრაქტორები ან შუამავლები არიან კარგი რეპუტაციის მქონე ლეგიტიმური კომპანიები; და (ii) მოითხოვოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ზემოთხსენებულ 6-18 და 20 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს. როდესაც კლიენტი პირდაპირ დებს ხელშეკრულებას შტატგარეშე თანამშრომელთან, კლიენტი გამოიყენებს ზემოთ მოყვანილი 6-დან 18-მდე და 20 პუნქტების მოთხოვნებს.
22. 1 PR-ის შესაბამისად, კლიენტი შეიმუშავებს მესამე მხარის დამქირავებლების საქმიანობის მართვისა და მონიტორინგისათვის საჭირო პოლიტიკასა და პროცედურებს პროექტთან და ამ PR-ის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, კლიენტი შეაფასებს და გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა ჩართოს ეს მოთხოვნები სახელშეკრულებო შეთანხმებებში ასეთი მესამე მხარის დამსაქმებლებთან და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს და განახორციელებს კონტრაქტორთა მართვის გეგმას.
23. კლიენტს მოეთხოვება შტატგარეშე თანამშრომლებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ შტატგარეშე თანამშრომლებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა საჩივრების განხილვის იმ ეფექტურ მექანიზმთან, რომელიც აკმაყოფილებს 2-ე PR -ის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე ვერ უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის მექანიზმს, კლიენტი უზრუნველყოფს საჩივრების ეფექტურ მექანიზმს მესამე მხარის მიერ ჩართული თანამშრომლებისათვის.

მიწოდების ჯაჭვი

24. 1 PR-ში ასახული მიწოდების ჯაჭვის შეფასების პროცესის მიხედვით, კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს პროექტის ძირითადი ფუნქციებისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საქონლისა და მასალების მიწოდების ქსელში (ძირითადი მიწოდების ჯაჭვები) ბავშვთა შრომის და იძულებითი შრომის⁹ გამოიყენების რისკებს.
25. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეიტყობს, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების დარღვევით, მისი ძირითად მიწოდების ქსელში ადგილი აქვს ბავშვთა შრომას ან იძულებით შრომას კლიენტი მიიღებს შესაბამის ზომებს ამ საკითხის გამოსასწორებლად ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნების შესაბამისად.

⁹ როგორც განსაზღვრულია ILO 138, 182, 29 და 105 კონვენციებში.

- ბავშვთა შრომის გამოვლენის შემთხვევაში, პრობლემის გამოსასწორებლად ან შესარბილებლად გონივრული ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული. კლიენტმა მიმწოდებლისაგან ასეთი საქონლისა და მასალების შესყიდვა უნდა გააგრძელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს დამაკმაყოფილებელ გარანტიას ან მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ მიმწოდებელი ვალდებულია კისრულობს განახორციელოს პროგრამა მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რათა აღმოფხვრას ზემოთხსენებული პრაქტიკა გონივრული ვადების ფარგლებში. კლიენტი რეგულარულად წარადგენს ანგარიშს ასეთი პროგრამის განხორციელების შესახებ
- რაც შეეხება იძულებით შრომას, კლიენტმა მიმწოდებლისაგან ასეთი საქონლისა და მასალების შეძენა უნდა გააგრძელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს დამაკმაყოფილებელ გარანტიას ან მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მიმწოდებელმა მიიღო შესაბამისი ზომები იძულებითი შრომის პირობების აღმოსაფხვრელად.
- იქ, სადაც გვხვდება ბავშვთა და/ან იძულებითი შრომის რისკი, კლიენტი მონიტორინგს გაუწევს მიწოდების ძირითად ჯაჭვს მიმდინარე საფუძველზე იმისათვის, რათა გამოავლინოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება მიწოდების ქსელში და ბავშვთა და/ან იძულებითი შრომის ახალი რისკები ან შემთხვევები.

გარდა ამისა, იქ სადაც გამოვლენილია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები ძირითადი მიწოდების ქსელის თანამშრომელთა შორის, კლიენტი შემოიღებს პროცედურებსა და შემარბილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს, რომ შესაბამისი მიმწოდებლები იღებენ ზომებს ამ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

26. კლიენტის უნარი, სრულად უპასუხოს ამ რისკებს, დამოკიდებული იქნება კლიენტის მიერ მის ძირითად მიმწოდებლებზე კონტროლისა ან გავლენის მართვის დონეზე. კლიენტი დროის შეთანხმებულ პერიოდში ჩაანაცვლებს ძირითადი მიწოდების დაზიანებულ ჯაჭვს მიმწოდებლებით, რომლებსაც შეუძლიათ უჩვენონ, რომ ისინი შეესაბამება ამ PR-ს.

მოთხოვნები უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის მიმართ

27. როდესაც კლიენტი იყენებს თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება თავისი პერსონალისა და საკუთრების დასაცავად, ის შეათანხმებს უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის პრაქტიკისა და ქცევის სტანდარტებს, იხელმძღვანელებს რა პროპორციულობის პრინციპითა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკით¹⁰ ასეთი პერსონალის დაქირავების, ქცევის წესების, ტრენინგების, აღჭურვისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. კლიენტი განახორციელებს სათანადო კვლევებს, რათა დარწმუნდეს, რომ უსაფრთხოების მოცემული კადრები არ არიან შემჩნეულნი წარსულ არამართლზომიერ ქმედებებში, რომ ისინი სათანადოდ ფლობენ

¹⁰ მაგალითად, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები.

ძალის გამოყენების ტექნიკას (და საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას), სათანადოდ ექცევიან თანამშრომლებსა და ადგილობრივ თემს და მოქმედებენ სამართლებრივი ნორმების ფარგლებში. კლიენტი არ გასცემს ნებართვას ძალის ნებისმიერ გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძალა გამოიყენება პრევენციული და თავდაცვითი მიზნებისთვის საფრთხის ხასიათისა და მასშტაბის პროპორციულად. კლიენტი შექმნის და შეინარჩუნებს საჩივრების განხილვის ეფექტურ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს დაზარალებულ თემსა და თანამშრომლებს გამოხატონ დამოკიდებულება უსაფრთხოების ზომებისა და უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის ქმედებების მიმართ, და აცნობებს თემებსა და თანამშრომლებს საჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ ამ PR-ისა და 10-ე PR-ის შესაბამისად.

28. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მზად არიან კლიენტი უზრუნველყონ უსაფრთხოების მომსახურებით, კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს პოტენციურ რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება მსგავსი პრაქტიკის გამოყენებით და აცნობებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს საკუთარ განზრახვას, რომ უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი მოქმედებდეს ზემოთხსენებული 27-ე პუნქტის შესაბამისად, და ხელს შეუწყობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გააცნონ საზოგადოებას კლიენტის ობიექტების უსაფრთხოების ზომები, უსაფრთხოების უმთავრესი მოსაზრებებიდან გამომდინარე.
29. კლიენტი გამოიძიებს ნებისმიერ ბრალდებას უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის უკანონო ან შეურაცხმყოფელ ქმედებაზე, მიიღებს ზომებს (ან მოუწოდებს შესაბამის მხარეებს, მიიღონ ზომები), რათა აღიკვეთოს ფაქტის განმეორება და მოახსენებს ხელისუფლების ორგანოებს უკანონო და შეურაცხმყოფელი ქმედებების შესახებ.

EBRD-ის სამოქმედო მოთხოვნა 3:

რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი

შესავალი

1. საქმიანობის მიმართ ეს მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობას და ურბანიზაციას შეუძლია გამოიწვიოს დაბინძურების გაზრდილი დონეები ჰაერში, წყალსა და ნიადაგზე და მოიხმაროს სასრული რესურსები ისე, რომ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანებსა და გარემოს ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. შესაბამისად, რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი არის გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის მნიშვნელოვანი ელემენტები და ამ მხრივ, პროექტებმა უნდა დააკმაყოფილონ ამ სფეროში არსებული მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა (GIP).
2. ეს PR აცნობიერებს საუკეთესი მეთოდებისა და GIP გამოყენების მნიშვნელობას რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციისათვის და გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის ეფექტიანი პრევენციისა და კონტროლისათვის.
3. ეს PR ასახავს პროექტის დონეზე მიდგომას რესურსების მართვისა და დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მიმართ, რომელიც დამყარებულია შერბილების იერარქიაზე, პრინციპზე, რომ გარემოსთვის ზიანის მიყენება, როგორც პრიორიტეტი, უნდა იყოს გამოსწორებული მის წყაროსთან და პრინციპზე „დამაბინძურებელი იხდის“. პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედება და რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ნარჩენების და ემისიების წარმოქმნა უნდა შეფასდეს პროექტის ადგილმდებარეობის და ადგილობრივი გარემო პირობების კონტექსტში.

ამოცანები

4. ამ PR-ის ამოცანებია:
 - განსაზღვროს პროექტთან დაკავშირებული შესაძლებლობები ენერგიის, წყლისა და რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ნარჩენების მინიმიზაციისათვის
 - მიიღოს შერბილების იერარქიის მიდგომა, რათა უპასუხოს პროექტის რესურსების გამოყენებისა და დაბინძურების გამოფრქვევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე წარმოქმნილ უარყოფით ზემოქმედებას,
 - ხელი შეუწყოს პროექტთან დაკავშირებული სათბურის გაზის ემისიის შემცირებას.

გამოყენების სფერო

5. კლიენტი, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში, განსაზღვრავს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს და იმას, თუ როგორ

მოხდება მათი გადაჭრა და მართვა პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ამ PR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ქმედებების განხორციელების მართვა მოხდება კლიენტის საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემისა (ESMS) და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP) თანახმად. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მართვის მოთხოვნები მოცემულია 1 PR-ში.

მოთხოვნები

რესურსების ეფექტურობა

6. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი განსაზღვრავს შესაძლებლობებსა და ალტერნატივებს პროექტთან დაკავშირებული რესურსების ეფექტურობისთვის GIP-ის შესაბამისად. ასეთი მოქმედებით, კლიენტი მიიღებს ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებად¹ და ეკონომიკურად ეფექტურ² ზომებს მოხმარების შემცირებისათვის და ენერგიის, წყლის და სხვა რესურსებისა და მატერიალური დანახარჯების გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის, ისევე როგორც ნარჩენი მასალების აღდგენისა და ხელახალი უტილიზაციისათვის პროექტის განხორციელების დროს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება საქმიანობაზე, რომელიც ითვლება პროექტისათვის ძირითად ფუნქციად, მაგრამ ასევე გათვალისწინებული იქნება მსგავსი შესაძლებლობები კლიენტის სხვა ბიზნეს საქმიანობაში, რომელიც არ წარმოადგენს პროექტის ნაწილს. იქ სადაც ხელმისაწვდომია შედარებითი მონაცემები, კლიენტის შეფასება შეადარებს მის ოპერაციებს GIP-ს, ეფექტურობის შედარებითი დონის დასადგენად.
7. კლიენტი გააერთიანებს რესურსების ეფექტურობის ზომებსა და უფრო სუფთა წარმოების პრინციპებს პროდუქტის პროექტირებისა და წარმოების პროცესებში ნედლეულის, ენერგიისა და წყლის კონსერვაციის ამოცანასთან და, ამავე დროს, გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის შემცირებასთან.

დაბინძურების პრევენცია და კონტროლი

8. კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი განსაზღვრავს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის სათანადო მეთოდებს,

¹ ტექნიკური განხორციელებადობა დამყარებულია შემოთავაზებული ზომებისა და ქმედებების განხორციელების შესაძლებლობაზე კომერციულად ხელმისაწვდომი უნარებით, აღჭურვილობითა და მასალებით, ისეთი ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა კლიმატი, გეოგრაფია, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, მართვა, შესაძლებლობების და საექსპლუატაციო საიმედოობა. ფინანსური განხორციელებადობა ეფუძნება კომერციულ მოსაზრებებს, მათ შორის ასეთი ზომების და ქმედებების მიღების დამატებითი ღირებულების სიდიდეს პროექტის საინვესტიციო, საექსპლუატაციო და შენარჩუნების ხარჯებთან შედარებით.

² ეკონომიკური ეფექტურობა განისაზღვრება კაპიტალური და საექსპლუატაციო ხარჯების და ღონისძიების ფინანსური სარგებლის მიხედვით ღონისძიების მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ PR-ის მიზნებისათვის, რესურსების ეფექტურობა ან სათბურის ეფექტის მქონე გაზების ემისიის (GHG) შემცირება ითვლება ხარჯთეფექტურად იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ უზრუნველყოფს რისკად შეფასებულ უკუგებას ინვესტიციიდან, რომელიც, მინიმუმ თავად პროექტის შესადარია.

ტექნოლოგიებსა და პრაქტიკას („მეთოდებს“), რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული პროექტის მიმართ. შეფასება მხედველობაში მიიღებს იმ საშუალებებისა და ოპერაციების მახასიათებლებს, რომლებიც პროექტის ნაწილს წარმოადგენს, პროექტის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და ადგილობრივ გარემო პირობებს. შეფასების პროცესი განსაზღვრავს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ტექნიკურად და ფინანსურად მისაღებ და ხარჯთეფექტურ მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მეტადაა მორგებული ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანისთვის. პროექტის მიმართ გამოყენებული მეთოდები ხელს შეუწყობს რისკებისა და ზემოქმედების პრევენციას ან თავიდან აცილებას – მინიმუმაციასა და შემცირებასთან შედარებით, შერბილების იერარქიის მიდგომის შესაბამისად და GIP-ის თანახმად და იქნება პროექტის უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების ხასიათის და მასშტაბის შესაბამისი.

9. კლიენტები შეიმუშავენ პროექტებს ისე, რომ დააკმაყოფილონ ევროკავშირის შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები, იქ, სადაც ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის დონეზე.³ გარკვეული პროექტები, მათი ხასიათისა და მასშტაბიდან გამომდინარე, დაექვემდებარება ევროკავშირის დირექტივას სამრეწველო ემისიების შესახებ და მოთხოვნებს, ევროკავშირის „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის“ (BAT) პრინციპის და დაკავშირებული ემისიისა და გაშვების სტანდარტების დაკმაყოფილება ადგილმდებარეობის მიუხედავად.
10. როდესაც პროექტის დონეზე არ არსებობს ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები, კლიენტი, EBRD-თან შეთანხმებით, განსაზღვრავს სხვა შესაბამის გარემოსდაცვით სტანდარტებს GIP-ის შესაბამისად. გარდა ამისა, პროექტები შეიმუშავებული იქნება ისე, რომ შეესაბამებოდეს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობას და მათი მართვა და განხორციელება მოხდება ეროვნული კანონმდებლობისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. როდესაც მიმღები ქვეყნის რეგულაციები განსხვავდება ევროკავშირის გარემოსდაცვით მოთხოვნებში წარმოდგენილი დონეებისა და ზომებისაგან, ან სხვა განსაზღვრული სათანადო ეკოლოგიური სტანდარტებისაგან, პროექტებმა უნდა დააკმაყოფილონ ის სტანდარტები, რომლებიც ამათგან უფრო მკაცრია.
11. პროექტები, რომლებიც მოიცავს ახალ დაწესებულებებსა და ოპერაციებს, თავიდანვე უნდა იქნას შესაბამისობაში მოყვანილი ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვით სტანდარტებთან ან სხვა შეთანხმებულ გარემოსდაცვით სტანდარტებთან და ეროვნულ მარეგულირებელ მოთხოვნებთან. პროექტებმა, რომლებიც მოიცავს არსებული საწარმოებისა და/ან ოპერაციების რეაბილიტაციას, გონივრულ პერიოდში უნდა დააკმაყოფილოს 9-ე და/ან 10-ე

³ამ PR-ის მიზნებისათვის, ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის დონეზე იქ, სადაც ევროკავშირის მეორადი საკანონმდებლო დოკუმენტი თავისთავად შეიცავს მკაფიო რაოდენობრივ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება პროექტის დონეზე (მაგალითად, გარემოში არსებულ დონესთან შედარებით).

პუნქტის მოთხოვნები რომელიც განისაზღვრება მათი საქმიანობის ოფიციალური შეფასებით შესაბამის სტანდარტებთან მიმართებაში.

12. რაც შეეხება პროექტებს, რომლებიც განლაგებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ევროკავშირის მიერთების პროცესში მყოფ ქვეყნებში, კანდიდატ და პოტენციურ კანდიდატ ქვეყნებში, რომლებიც მოიცავს არსებული საშუალებების რეაბილიტაციას და/ან ოპერაციებს და სადაც განსაზღვრულია ევროკავშირის შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები, ამ სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად განსაზღვრული ვადები უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ დონეზე შეთანხმებულ ნებისმიერ ვადებს. ყველა სხვა ქვეყანაში არსებული პროექტებისათვის, ევროკავშირის არსებით გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად განსაზღვრული ვადა უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ პირობებს და პროექტის განხორციელების ღირებულებას და თავსებადი უნდა იყოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან და ნებისმიერ ორმხრივ შეთანხმებებთან, ან ევროკავშირსა და შესაბამის მიმღებ ქვეყანას შორის შეთანხმებულ სამექმედო გეგმასთან.
13. პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, კლიენტი მიმართავს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება შერბილების იერარქიის მიდგომას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, იქამდე, სანამ ეს რჩება ტექნიკურად და ფინანსურად მისაღები და ხარჯთეფექტური. ეს ეხება რუტინული, არა-რუტინული და შემთხვევითი გარემოებების შედეგად გამოწვეული დამაბინძურებლების გამოთავისუფლებას.

სათბურის გაზები

14. კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესი განიხილავს ალტერნატივებს და განახორციელებს ტექნიკურად და ფინანსურად მისაღებ და ხარჯთეფექტურ ვარიანტებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი პროექტთან დაკავშირებული სათბურის ეფექტის მქონე აირების (GHG) ემისია პროექტის შემუშავებისა და მოქმედების პერიოდში. ეს ვარიანტები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტის ალტერნატიული ადგილმდებარეობებით, მეთოდებით ან პროცესებით, განახლებადი ან ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერგიის წყაროების მიღებით, სოფლის მეურნეობის, მეტყვევობისა და მეცხოველეობის მდგრადი მართვის პრაქტიკით, უკონტროლო ემისიებისა და გაზის დაწვის შემცირებით.
15. იმ პროექტებისთვის, რომლებიც ამჟამად აწარმოებენ, ან მოსალოდნელია რომ ინვესტირების შემდეგ აწარმოონ ყოველწლიურად 25,000 ტონაზე CO₂-ის ეკვივალენტი, კლიენტი განსაზღვრავს ამ ემისიების რაოდენობას EBRD-ის სათბურის ეფექტის მქონე აირების ემისიების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად. სათბურის ეფექტის მქონე გაზების შეფასების ფარგლები უნდა მოიცავდეს ყველა პირდაპირ ემისიას ობიექტებიდან, საქმიანობიდან და ოპერაციებიდან, რომლებიც ნაწილია პროექტის, ან სისტემისა, ისევე როგორც

არაპირდაპირ ემისიებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის ფარგლებში გამოყენებული ენერგიის წარმოებასთან. კლიენტი GHG ემისიების რაოდენობის განსაზღვრას აწარმოებს ყოველწლიურად და აცნობებს EBRD-ს.

წყალი

16. კლიენტები უნდა შეეცადონ მინიმუმამდე დაიყვანონ პროექტის ფარგლებში წყლის მოხმარება, და იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის განსახორციელებლად საჭიროა წყალმომარაგების სისტემის შემუშავება, კლიენტი შეეცდება შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენოს სასმელად უვარგისი წყალი ტექნიკური მიზნებისათვის.
17. წყლის მოხმარების მინიმიზაციისათვის, ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისათვის საჭირო ყველა ტექნიკურად და ფინანსურად მისაღები და ხარჯთეფექტური შესაძლებლობები GIP-ის შესაბამისად, უნდა იქნეს განსაზღვრული და მიჩნეული როგორც პროექტის შემუშავების ნაწილი.
18. იმ პროექტებისათვის, რომლებსაც აქვთ მაღალი მოთხოვნა წყალზე (დღეში 5,000 მ³ -ზე მეტი), შემდეგი უნდა იქნეს გამოყენებული:
 - უნდა შეიმუშაონ, შეინარჩუნონ წყლის დეტალური ბალანსი და ყოველწლიური მოხსენების სახით წარუდგინონ EBRD-ს
 - უნდა განისაზღვროს შესაძლებლობები წყლის გამოყენების ეფექტურობის თვალსაზრისით უწყვეტი გაუმჯობესებისათვის
 - უნდა შეფასდეს წყლის სპეციფიკური გამოყენება (იზომება ერთეულის წარმოებისათვის გამოყენებული წყლის მოცულობით)
 - ოპერაციები ორიენტირებული უნდა იყოს წყლის გამოყენების ეფექტურობის ხელმისაწვდომ საწარმოო სტანდარტებზე.
19. კლიენტს მოეთხოვება მხედველობაში მიიღოს წყლის ამოდების პოტენციური კუმულაციური ზემოქმედება მესამე მხარის მომხმარებლებსა და ადგილობრივ ეკოსისტემებზე. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი შეაფასებს მისი საქმიანობის ზემოქმედებას მესამე მხარის წყალმომარაგებაზე და მოეთხოვება აჩვენოს, რომ მის მიერ შემოთავაზებულ წყლის მიწოდების სისტემას არ ექნება უარყოფითი ზემოქმედება მესამე მხარეების ან მგრძნობიარე ეკოსისტემებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის წყლის რესურსებზე. კლიენტის გარემოსდავითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში, კლიენტი განსაზღვრავს და განახორციელებს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს უფრო რისკებისა და ზემოქმედების პრევენციას ან თავიდან აცილებას მინიმიზაციასა და შემცირებასთან შედარებით შერბილების იერარქიის მიდგომისა და GIP-ის შესაბამისად.

ნარჩენები⁴

⁴ ამ PR-ის მიზნებისათვის, ნარჩენები განისაზღვრება, როგორც აირისებრი, თხევადი და/ან მყარი ნივთიერებების/მასალების ჰეტეროგენული ნარევი, რომელიც უნდა იყოს დამუშავებული ადეკვატური ფიზიკური, ქიმიური და/ან ბიოლოგიური პროცესების გამოყენებით გარემოში უსაფრთხოდ გატანამდე.

20. კლიენტი თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს საზიანო და არასაზიანო ნარჩენების წარმოშობას და, შეძლებისდაგვარად, შეამცირებს მათ ზიანის გამომწვევ ფაქტორებს. სადაც ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ მინიმუმადეა დაყვანილი, კლიენტი ხელახლა გამოიყენებს, გადამუშავებს ან აღადგენს ნარჩენებს ან გამოიყენებს მათ როგორც ენერგიის წყაროს; სადაც ნარჩენების გადამუშავება ან ხელახალი მოხმარება შეუძლებელია, კლიენტი დაამუშავებს და გაიტანს მათ გარემოში ეკოლოგიურად უსაფრთხო გზით.
21. თუ წარმოქმნილი ნარჩენები საზიანოდ ითვლება, კლიენტი შეაფასებს ტექნიკურად და ფინანსურად მისაღებ და ხარჯთეფექტურ ალტერნატივებს მისი ეკოლოგიურად უსაფრთხო გატანისთვის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების მიმართ გამოყენებული შეზღუდვებისა და სხვა სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.
22. როდესაც ნარჩენების გატანა ხდება ტერიტორიის გარეთ ან ხორციელდება მესამე მხარეების მიერ, კლიენტი მიიღებს დოკუმენტაციას პასუხისმგებლობის შეცვლის შესახებ საბოლოო დანიშნულების ადგილამდე და გამოიყენებს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ლიცენზირებულ კონტრაქტორებს, რომლებიც წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე და კანონიერ სუბიექტებს. კლიენტმა ასევე უნდა დაადგინოს ხდება თუ არა ნარჩენების განთავსების ლიცენზირებული ადგილების მართვა შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად. იქ, სადაც ამას ადგილი არ აქვს, კლიენტი განიხილავს ნარჩენების განთავსების ალტერნატიულ ვარიანტებს, მათ შორის პროექტის ადგილზე აღდგენისა და გადამუშავების საკუთარი საშუალებების განვითარების შესაძლებლობას.

საშიში ნივთიერებების და მასალების უსაფრთხო გამოყენება და მართვა

23. ყველა საქმიანობაში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროექტთან, კლიენტი თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს სახიფათო ნივთიერებებისა და მასალების გამოყენებას და მხედველობაში მიიღებს ასეთი ნივთიერებებისა და მასალების ნაკლებად სახიფათო შემცვლელების გამოყენებას, ისე, რომ დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო მათი შესაძლო მავნე ზემოქმედებისაგან. სადაც თავიდან აცილება ან ჩანაცვლება არ არის მიზანშეწონილი, კლიენტი გამოიყენებს რისკების მართვის სათანადო ზომებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ან კონტროლი გაუწიოს ასეთი ნივთიერებების/მასალების გამოთავისუფლებას ჰაერში, წყალში და/ან მიწაზე, რაც გამომდინარეობს მათი წარმოებიდან, ტრანსპორტირებიდან, შენახვიდან, გამოყენებისა და განადგურებიდან საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებით.
24. კლიენტი თავიდან აიცილებს მავნე ნივთიერებებისა და მასალების წარმოებას, ვაჭრობასა და გამოყენებას, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებსა და წარმოებიდან მოხსნას მათი ცოცხალი ორგანიზმების მიმართ მაღალი ტოქსიკურობის, გარემოში გრძელვადიანი არსებობის, ბიოაკუმულაციის პოტენციალის, ან ოზონის შრის შემცირების შესაძლებლობის გამო.

პესტიციდების გამოყენება და მართვა

25. კლიენტები, რომლებიც ახორციელებენ პესტიციდების გამოყენებას ან მართვას, ჩამოაყალიბებენ და განახორციელებენ მავნებლების ინტეგრირებული მართვის (IPM) და/ან ვექტორების ინტეგრირებული მართვის (IVM) მიდგომებს კლიენტის IPM და IVM პროგრამები ითვალისწინებს მავნებლების და გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის კოორდინირებულ გამოყენებას მავნებლების კონტროლის ხელმისაწვდომ მეთოდებთან ერთად, მათ შორის კულტურულ პრაქტიკას, ბიოლოგიურ, გენეტიკურ და, როგორც უკიდურესი ზომა, ქიმიურ საშუალებებს, მავნებლების მიერ მიყენებული ზიანის მიუღებელი დონეების თავიდან ასაცილებლად. როდესაც მავნებლების მართვის საქმიანობა მოიცავს პესტიციდების გამოყენებას, კლიენტი ეცდება შეამციროს პესტიციდების ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და, ზოგადად, გარემოზე და, უფრო ზოგადად, მიაღწიოს პესტიციდების უფრო მდგრად გამოყენებას, ასევე, რისკების მნიშვნელოვან საერთო შემცირებას და პესტიციდების გამოყენებას, რომელიც შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო კულტურების აუცილებელ დაცვას.
26. პესტიციდების მდგრადი გამოყენება უნდა მოიცავდეს:
- ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე პესტიციდების ზემოქმედების თავიდან აცილებას ან, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე დაყვანას
 - მავნე აქტიური ნივთიერებების დონის შემცირებას უფრო სახიფათო ნივთიერების შედარებით უსაფრთხო (მათ შორის არა ქიმიური) ნივთიერებებით ჩანაცვლების საშუალებით
 - ისეთი პესტიციდების შერჩევას, რომლებიც ნაკლებად ტოქსიკურია, რომლებიც ცნობილია სამიზნე სახეობების მიმართ ეფექტური ზემოქმედებით და გააჩნიათ მინიმალური გავლენა არა სამიზნე სახეობებზე, მაგალითად, როგორიცაა დამმტვერავი მწერები და გარემოზე.
 - პესტიციდების მცირე რაოდენობის მოხმარებისა ან პესტიციდებისაგან თავისუფალი მიწათმოქმედების ხელშეწყობას
 - სამიზნე მავნებლების ბუნებრივი მტრების დაზიანების მინიმუმამდე დაყვანას და მავნებლებში წინააღმდეგობის განვითარების თავიდან აცილებას.
27. კლიენტი, GIP-ის შესაბამისად, განკარგავს, შეინახავს, გამოიყენებს და გაანადგურებს პესტიციდებს.

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 4:

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იმ უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების არიდების ან შერბილების მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია პროექტის საქმიანობასთან თანამშრომლების, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემებისა და მომხმარებელთა მიმართ.
2. საპროექტო საქმიანობამ, აპარატურამ და ინფრასტრუქტურამ შეიძლება გაზარდოს თანამშრომელთა და საზოგადოების პოტენციური შეხება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებსა და ზემოქმედებასთან, მათ შორის მათთვის, ვისაც კავშირი აქვს მშენებლობასთან, ოპერაციებთან და ექსპლუატაციიდან ამოღებასთან, ან ნედლიდა მზა მასალების ტრანსპორტირებასთან.
3. კლიენტებს ეკისრებათ ძირითადი ვალდებულება უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები მათი თანამშრომლებისათვის და განახორციელონ მათი ინფორმირება, მომზადება, ზედამხედველობა და კონსულტაციების გაწევა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა აქტიურად ითანამშრომლონ მათ დამსაქმებელთან და იზრუნონ საკუთარი და სხვების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.
4. თუმცა კლიენტი აცნობიერებს საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასა და ხელშეწყობაში შესაბამისი ორგანოების როლს, მას ეკისრება ვალდებულება, თავად განსაზღვროს, თავიდან აიცილოს, შეამციროს ან შეარბილოს ის უარყოფითი ზემოქმედება და რისკები შეხებაში მყოფი თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას პროექტიდან.

ამოცანები

5. ამ PR-ის ამოცანებია:
 - დაიცვას და ხელი შეუწყოს თანამშრომელთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველყოფით და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელებით, პროექტთან დაკავშირებული შესაბამისი რისკებისა და შედეგების შესაბამისად.
 - გაითვალისწინოს, შეაფასოს, თავიდან აიცილოს ან მინიმუმადე დაიყვანოს პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში პროექტის რუტინული და არარუტინული გარემოებებით თემებისა და მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ გამოწვეული რისკები და ზემოქმედება.

გამოყენების სფერო

6. კლიენტი, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში განსაზღვრავს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს, და იმას, თუ როგორ მოხდება მათი დაკმაყოფილება და მართვა პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. ამ PR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ქმედებების განხორციელება ხდება, როგორც განუყოფელი ნაწილი კლიენტის საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემისა (ESMS) და/ან პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმისა (ESMP), როგორც გათვალისწინებულია 1 PR-ში.
7. თანამშრომლებსა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე შესაძლო რისკები და ზემოქმედება შეიძლება იცვლებოდეს პროექტის ეტაპის მიხედვით, მათ შორის, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანის, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციიდან გამოსვლის ეტაპების მიხედვით. დაბინძურების გამო ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების პრევენციისათვის და კონტროლისათვის დეტალური მოთხოვნები აღწერილია 3 PR-ში; მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია შრომისა და სამუშაო პირობებთან, ასევე, თანამშრომელთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან, განხილულია 2 PR-ში.
8. ამ PR-ის ფარგლებში, ტერმინი „თანამშრომელი“ გამოიყენება, რათა ასახოს კლიენტის თანამშრომლები, მათ შორის არასრულ განაკვეთზე, დროებით, და სეზონურად მომუშავეები და მიგრანტი თანამშრომლები, და ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, რომლებიც ჩართულნი არიან კლიენტის მიერ კონტრაქტორების ან სხვა შუამავლების საშუალებით პროექტის ტერიტორიაზე სამუშაოდ ან სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პროექტის ძირითად ფუნქციებს.

მოთხოვნები

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის ძირითადი მოთხოვნები

9. კლიენტი მიიღებს ზომებს, რათა განსაზღვროს და თავიდან აიცილოს თანამშრომელთა და პროექტთან შეხებაში მყოფი თემების მიმართ უბედური შემთხვევები, ტრავმა და დაავადება, რაც წარმოიქმნება ან დაკავშირებულია ან ადგილი აქვს საპროექტო საქმიანობის მიმდინარეობისას. კლიენტი მოამზადებს და განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებსა და გეგმებს, რათა მართოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები შერბილების იერარქიის მიდგომისა და GIP-ის შესაბამისად.
10. კლიენტი უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და პროექტის შეხებაში მყოფ თემებს შესაბამისი ინფორმაციით, კონსულტაციებითა და ტრენინგებით ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების მიმართ საფრთხეების, რისკების, დამცავი და პრევენციული ზომებისა და საგანგებო ღონისძიებების ჩატარების შესახებ, რომლებიც აუცილებელია პროექტის ფარგლებში მათი უსაფრთხოებისთვის.

11. როდესაც რაიმე უბედური შემთხვევა, ტრავმა და დაავადება წარმოიშობა ან ადგილი ექნება პროექტთან დაკავშირებული სამუშაოების მიმდინარეობის დროს, ან არსებობს ასეთი შემთხვევის შესაძლებლობა, კლიენტი გამოიძიებს, დოკუმენტურად ასახავს და გააანალიზებს შედეგებს და მიიღებს ზომებს, რათა აღკვეთოს შემთხვევის განმეორება და კანონით მოთხოვნის შემთხვევაში, აცნობებს ამის შესახებ და ითანამშრომლებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან.

პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

12. კლიენტი უზრუნველყოფს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო ადგილით, მისი კონკრეტული სექტორისათვის დამახასიათებელი რისკებისა და საფრთხის სპეციფიკური კლასის გათვალისწინებით, რომელიც შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი. კლიენტი პროექტის ეტაპის, ზომისა და ხასიათის შესაბამისად განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს და დაცვის ღონისძიებებს ევროკავშირის პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებისა¹ და GIP-ის შესაბამისად. კლიენტი შეიმუშავებს პროექტთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ინტეგრირებული იქნება ESMS-ში.
13. კლიენტი განახორციელებს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს: (i) პრევენციულ და დაცვით ღონისძიებებს, მათ შორის, სახიფათო პირობების ან ნივთიერებების მოდიფიკაციას, შეცვლას ან აღმოფხვრას; (ii) აღჭურვილობას რისკების შემცირებისათვის და მისი გამოყენების მოთხოვნასა და გამოყენების აღსრულებას; (iii) პირად დამცავ აღჭურვილობას თამშრომელთათვის უფასოდ; და (iv) თანამშრომელთა ტრენინგს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურებისა და დამცავი მოწყობილობების გამოყენებისა და მათი დაცვის შესახებ. კლიენტი შტატგარეშე თანამშრომლებისაგან, კონტრაქტორებისაგან და პროექტის ტერიტორიაზე სამუშაოდ ან პროექტის ძირითად ფუნქციებთან უშუალოდ დაკავშირებული სამუშაოს შესასრულებლად ჩართული მესამე მხარისაგან მოითხოვს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმის შესრულებას.
14. ნებისმიერი სამუშაო საქმიანობის მიმდინარეობისას, კლიენტი დარწმუნდება, რომ ყველა მუშა-მოსამსახურე უზრუნველყოფილია მუდმივი და სათანადო ზედამხედველობით, რათა უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების ადეკვატური განხორციელება, შენარჩუნება და აღსრულება
15. კლიენტი განახორციელებს მისი თანამშრომლების ჯანმრთელობის მონიტორინგს; ასევე, კონსულტაციას გაუწევს და ხელს შეუწყობს მათ, რომ მიიღონ მონაწილეობა სამუშაო ადგილთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებში. ეს უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ

¹ ევროკავშირის პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები გულისხმობს არსებით მოთხოვნებს ევროკავშირის სამუშაოზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებში, რომლებიც განსაზღვრავს თანამშრომელთა დაცვისათვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს.

შემოიფარგლებოდეს შემთხვევის გამოძიებით, რისკის შეფასებითა და სამუშაოს შერჩევით.

16. თუ არსებობს გარკვეულ სამუშაო საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკები, რომელსაც შეუძლია იქონიოს უარყოფითი ზემოქმედება ისეთი სენსიტიურობის მახასიათებლების მქონე თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, როგორიცაა ასაკი, სქესი, უნარშეზღუდულობა, ან მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ჯანმრთელობის მდგომარეობა, კლიენტი შეაფასებს რისკებს და განახორციელებს ცვლილებებს ტრავმისა და ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად.

თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

17. კლიენტი მოახდენს პროექტთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირებასა და შეფასებას პოტენციურად დაზარალებული საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ და შეიმუშავებს ზემოქმედებისა და რისკების პროპორციულ და პროექტის ხასიათის, მასშტაბისა და ეტაპის შესაბამის დაცვის, პრევენციისა და შერბილების ზომებს. კლიენტი ითანამშრომლებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელ ღონისძიებებსა და გეგმებთან დაკავშირებით. ეს ღონისძიებები იქნება შერბილების იერარქიის მიდგომისა და GIP-ის შესაბამისი.
18. თემის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პროექტის ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების ღონისძიებები, შესაძლოა, იყოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა. ამ გარემოებებში, კლიენტი გაარკვევს მის როლსა და პასუხისმგებლობას შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობისა და მათთვის ინფორმაციის მიაწოდების შესახებ.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული მოთხოვნების მართვა

ინფრასტრუქტურის, შენობებისა და აღჭურვილობის დაპროექტება და უსაფრთხოება

19. კლიენტი ჩართავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს პროექტის სტრუქტურული ელემენტების ან კომპონენტების დაპროექტებაში, მშენებლობაში, ფუნქციონირებაში და ექსპლუატაციიდან ამოღებაში, GIP-ის შესაბამისად მესამე მხარისა და შეხებაში მყოფი თემის მიმართ უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით. სტრუქტურული ელემენტები დაპროექტებული და აგებული იქნება კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების მიერ. მესამე მხარის სიცოცხლის მიმართ და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შემოწმება უნდა განხორციელდეს, როგორც არსებული შენობებისათვის, რომლებიც კომუნალური მიზნებისათვის გამოიყენება, ასევე ახალი შენობებისათვის მათ ექსპლუატაციაში შეყვანის ან გამოყენების წინ.

20. კომუნალური მიწნებისათვის გამოყენებული შენობების აგება და კაპიტალური რემონტი (მაგ:გაწმენდა, მოწყობილობებით აღჭურვა და ა.შ.) უნდა დაპროექტდეს საყოველთაო წვდომის პრინციპის შესაბამისად.²
21. როდესაც ისეთი სტრუქტურული ელემენტები ან კომპონენტები, როგორიცაა კაშხლები, გამშვები კაშხლები, ნაცარშემკრებები მდებარეობს მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე და მათმა მოწყობიდან გამოსვლამ ან ფუნქციონირების დარღვევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანამშრომლებისა და თემების უსაფრთხოებას, კლიენტი ჩართავს ერთ ან მეტ კვალიფიციურ ექსპერტს, რომელსაც გააჩნია მსგავს პროექტებში მონაწილეობის სათანადო და აღიარებული გამოცდილება, ამ პროექტის დაპროექტებასა და მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირებისაგან დამოუკიდებლად, რათა განახორციელდეს გადასინჯვა რაც შეიძლება ადრე პროექტის შემუშავებისას და პროექტის დაპროექტების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და გაშვების ეტაპებზე.

საზიანო მასალების უსაფრთხოება

22. კლიენტი აღკვეთს ან მინიმუმამდე დაიყვანს თანამშრომლებისა და ადგილობრივი თემის შეხების შესაძლებლობას საზიანო მასალებთან, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას პროექტის ფარგლებში. იქ, სადაც არსებობს თანამშრომლებისა და შეხებაში მყოფი თემისათვის საზიანო მასალებთან შეხების ალბათობა, კლიენტი სათანადო გულისხმიერებით შეეცდება ზემოქმედების თავიდან აცილებას ან მინიმუმამდე შემცირებას საფრთხის გამომწვევი მდგომარეობის ან ნივთიერებების მოდიფიცირებით, ჩანაცვლებით ან განადგურებით.
23. თუ საზიანო მასალები პროექტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ან ოპერაციების ნაწილია, კლიენტი განახორციელებს სათანადო ზრუნვას პროექტის გაშვებისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის საქმიანობის განხორციელებისას, რათა აღკვეთოს თანამშრომელთა და შეხებაში მყოფ თემებთან მათი შეხება იქ, სადაც ასეთი მასალების გამოყენების არიდება შეუძლებელია, კლიენტი მიიღებს საჭირო ზომებს მათი განკარგვის, შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის GIP-ის შესაბამისად.
24. კლიენტი მიიღებს სათანადო ზომებს, რათა უზრუნველყოს ნედლი მასალისა და პროდუქტების უსაფრთხო ტრანსპორტირება, და ნარჩენების ტრანსპორტირება და გატანა, და განახორციელებს ღონისძიებებსადგილობრივი თემის ზემოხსენებულ მასალებთან შეხების თავიდან ასაცილებლად ან გასაკონტროლებლად.

პროდუქტის უსაფრთხოება

25. იქ, სადაც პროექტი ითვალისწინებს სამომხმარებლო პროდუქტების წარმოებას და/ან ვაჭრობას, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის უსაფრთხოება დაპროექტებისა და წარმოების მაღალი ხარისხის მეთოდების გამოყენებით,

² საყოველთაო წვდომა გულისხმობს თავისუფალ წვდომას ყველა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის სხვადასხვა სიტუაციასა და სხვადასხვა ვითარებაში.

ისევე როგორც ამ პროდუქტების სათანადო შენახვით, დამუშავებითა და ტრანსპორტირებით ამ პროდუქტის დისტრიბუციისთვის. დაცული უნდა იყოს მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის მოცემულ ბიზნეს სექტორში და ქვეყანაში პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებისა და ქცევის კოდექსებისათვის დამახასიათებელი ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნები.

26. კლიენტი პროექტის შეფასების პროცესის ფარგლებში განსაზღვრავს და შეაფასებს მისი პროდუქციის პოტენციურ რისკებსა და ზემოქმედებას მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. პროდუქტების უსაფრთხოების მიმართ მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს შერბილების იერარქიას და უზრუნველყოს მომხმარებლები პროდუქციის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ ადეკვატური ინფორმაციით. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტმა, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას, კლიენტი უზრუნველყოფს პროდუქტის უკან გაწვევას და პროდუქტის გაწვევის პოლიტიკისადა პროცედურების ამოქმედებას.

მომსახურების უსაფრთხოება

27. როდესაც პროექტი მოიცავს თემებისთვის მომსახურების გაწევას, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ასეთი მომსახურების უსაფრთხოება და ხარისხი სათანადო ხარისხის მართვის სისტემების საშუალებით, იმისათვის, რომ დარწმუნდეს, რომ ასეთი მომსახურება არ ქმნის რისკებსა და ზემოქმედებას თანამშრომელთა ან თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.
28. იქ, სადაც პროექტი მოიცავს საზოგადოებრივ მომსახურებას, კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს საყოველთაო წვდომის პრინციპი, რამდენადაც შესაძლებელია.

ტრანსპორტისა და საგზაო უსაფრთხოება

29. კლიენტი განსაზღვრავს, შეაფასებს და მონიტორინგს გაუწევს ტრანსპორტისა და საგზაო უსაფრთხოების პოტენციურ რისკებს თანამშრომლებისა და შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების მიმართ პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, და სადაც საჭირო იქნება, შეიმუშავებს ღონისძიებებსა და გეგმებს მათ საპასუხოდ. იმ პროექტებისათვის, რომლებიც საზოგადოებრივ გზებზე ამუშავებს მოძრავ ტექნიკას და სხვა სახის ინფრასტრუქტურას, კლიენტი შეეცდება ასეთი მოწყობილობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საზოგადოების წევრების მიმართ ინციდენტებისა და ტრავმების თავიდან აცილებას.
30. კლიენტი გაითვალისწინებს ევროკავშირის გზისა და მოძრაობის უსაფრთხოების მართვის შესაბამის სტანდარტებს,³ განსაზღვრავს საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს და პროექტის დიზაინში ჩართავს ტექნიკურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილ და ხარჯთეფექტურ საგზაო უსაფრთხოების კომპონენტებს, რათა შეამსუბუქოს საგზაო უსაფრთხოების პოტენციური

³ 2008 წლის 19 ნოემბრის 2008/96/EC საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მართვის შესახებ დირექტივის მიზნების შესაბამისი.

ზემოქმედება ადგილობრივ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებზე. საჭიროების შემთხვევაში, ჩაატარებს საგზაო უსაფრთხოების აუდიტს პროექტის თითოეული ეტაპისათვის და ჩვეულებისამებრ გაუწევს მონიტორინგს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების ანგარიშებს, უსაფრთხოების უარყოფითი ტენდენციების ან პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისათვის. სატრანსპორტო საშუალებების ან სატრანსპორტო საშუალებების ავტოპარკის მქონე (მფლობელობაში არსებული ან იჯარით აღებული) კლიენტები თანამშრომლებს უზრუნველყოფენ სათანადო ტრენინგით მძღოლის და სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების შესახებ. კლიენტი უზრუნველყოფს პროექტში არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალების პერიოდულ შეკეთებას.

ბუნებრივი კატასტროფები

31. კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს პროექტთან დაკავშირებული ისეთი ბუნებრივი კატასტროფების მიერ გამოწვეულ პოტენციურ ზემოქმედებასა და რისკებს, როგორიცაა მიწისძვრა, მეწყერი და წყალდიდობა.
32. კლიენტი თავიდან აიცილებს და/ან მინიმუმამდე შეამცირებს ბუნებრივი კატასტროფებით ან მიწის გამოყენების ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გამწვავებას, რომელშიც საპროექტო საქმიანობამ შეიძლება წვლილი შეიტანოს.

დაავადების საფრთხე

33. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს თანამშრომელთა და საზოგადოების დაავადების პერსპექტივა, დაუცველი ჯგუფების მაღალი მგრძნობელობისა და დაავადებასთან განსხვავებული შეხების გათვალისწინებით, კლიენტი შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავებს შერბილების შესაბამის ღონისძიებებს. კლიენტი მიიღებს ზომებს, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გადამდები დაავადებების გადაცემა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტის დროებითი და/ან მუდმივი თანამშრომლების შემოადინებასთან.
34. როდესაც პროექტთან შეხებაში მყოფ საზოგადოებისთვის კონკრეტული დაავადებები არის ენდემური, კლიენტი მოწოდებულია მოახდინოს შესაძლებლობების იდენტიფიცირება მთელი პროექტის საციცოცხლო ციკლის განმავლობაში, რათა გააუმჯობესოს პირობები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს დაავადებების სიხშირის შემცირებას, როგორც თანამშრომლებს, ასევე თემებს შორის. კლიენტი მიიღებს ზომებს, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გადამდები დაავადებების გადაცემა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტის დროებითი და/ან მუდმივი სამუშაო ძალის შემოადინებასთან.

საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება

35. კლიენტი მზად იქნება რეაგირება მოახდინოს ინციდენტებზე, უბედურ შემთხვევებსა და საგანგებო სიტუაციებზე პროექტთან დაკავშირებული საოპერაციო რისკებისათვის შესაფერისი ფორმით და მათი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის ან მინიმუმამდე შემცირების საჭიროებისა და ასევე შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.⁴

36. კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს მსხვილი ავარიების რისკებს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა თავიდან აიცილოს მსხვილი ავარიები ან შეზღუდოს მათი უარყოფითი ზემოქმედება თანამშრომლებზე, შეხებაში მყოფ თემებზე და გარემოზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანისა და გარემოს დაცვის მაღალი დონე თანმიმდევრული და ეფექტური გზით. ასეთი ზომები განსაზღვრული იქნება მსხვილი ავარიების პრევენციულ/საგანგებო მზადყოფნის პოლიტიკაში და სათანადო მართვის გეგმაში, რომელიც ინტეგრირებულია კლიენტის საერთო ESMS-თან. ეს გეგმა გააერთიანებს ორგანიზაციულ სტრუქტურებს, პასუხისმგებლობას, პროცედურებს, კომუნიკაციას, ტრენინგს, რესურსებსა და სხვა ასპექტებს, რომლებიც საჭიროა ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლიენტის შესაძლებლობა, მოახდინოს ეფექტური რეაგირება პროექტის საფრთხეებთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე, შემდეგი საერთო მიზნით:

- თავიდან აიცილოს, შეაჩეროს და კონტროლი გაუწიოს ავარიებს ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ეფექტი და შეზღუდოს ზიანის მიყენება ადამიანების, გარემოსა და საკუთრების მიმართ
- განხორციელოს მსხვილი ავარიების შედეგებისაგან ხალხისა და გარემოს დაცვისათვის საჭირო ზომები
- მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების შესაბამის სამსახურს ან ორგანოებს, ასევე პოტენციური შეხებაში მყოფ თანამშრომლებსა და საზოგადოებას
- მსხვილი ავარიების შემდგომ უზრუნველყოს გარემოს აღდგენა და დასუფთავება.

37. იმ პროექტებისათვის, სადაც არსებობს მსხვილი ავარიების რისკები, კლიენტი დახმარებას გაუწევს და ითანამშრომლებს შესაბამის ორგანოებთან და პროექტის შეხებაში მყოფ თემთან მათ მომზადებაში, რათა მოახდინონ ეფექტური რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს. თუ ადგილობრივ ორგანოებს ან რეაგირების ჯგუფებს საერთოდ არ გააჩნიათ ან არ აქვთ საკმარისი უნარი მოახდინონ ეფექტური რეაგირება, კლიენტი შეასრულებს აქტიურ როლს პროექტთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციებისათვის მომზადებაში და მათზე რეაგირებაში, და წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებას, რაც ადასტურებს გონივრულად პროგნოზირებად პირდაპირ თუ არა პირდაპირ შემთხვევებზე კლიენტის რეაგირების უნარს.

⁴ როგორც შემუშავებულია 2012 წლის 4 ივლისის ძირითადი შემთხვევის რისკების კონტროლის შესახებ დირექტივისა და ასევე საბჭოს 96/82/EC (EU SEVESO III Directive) სახიფათო ნივთიერებების, მათში ცვლილებების შეტანისა და შემდგომში გაუქმების შესახებ დირექტივის მიხედვით.

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 5:

მიწის შეძენა, იძულებითი განსახლება და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა შესავალი

1. იძულებითი განსახლება გულისხმობს როგორც ფიზიკურ გადაადგილებას (ადგილმდებარეობის შეცვლა ან თავშესაფრის დაკარგვა), ისე ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (აქტივების ან რესურსების დაკარგვა და/ან აქტივების ან რესურსების წვდომის დაკარგვა, რაც იწვევს შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვას), პროექტთან დაკავშირებული მიწის შეძენის¹ და/ან მიწის გამოყენების შეზღუდვის² შედეგად.
2. განსახლება ითვლება იძულებითად, როდესაც შეხებაში მყოფ ფიზიკურ პირებს ან თემებს არ აქვთ მიწის შესყიდვის ან მიწათსარგებლობის შეზღუდვების შეწინააღმდეგების უფლება, რასაც შედეგად მოყვება მათი გადაადგილება. ეს ხდება შემდეგ შემთხვევებში: (i) კანონიერი ექსპროპრიაცია ან შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე იძულებითი გასხვისების საფუძველზე;³ და (ii) მოლაპარაკებების გზით, რომელშიც მყიდველს შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციას ან დააწესოს სამართლებრივი შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე, თუ მოლაპარაკებები გამყიდველთან წარუმატებელი იქნება.
3. საქმიანობისადმი ამ მოთხოვნის (PR) გამოყენება მხარს უჭერს და შეესაბამება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემას და დაცვას, კონკრეტულად კი სათანადო საცხოვრებლის და საცხოვრებელი პირობების უწყვეტი გაუმჯობესების უფლებას.⁴ იმ შემთხვევებში, როდესაც გადაადგილებას უკვე ჰქონდა ადგილი კონფლიქტის შედეგად, ეს PR ხელმძღვანელობს შიდა იძულებითი გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპებით.⁵
4. თუ სწორად არ მოხდა პროცესის მართვა, იძულებითმა განსახლებამ შეიძლება გამოიწვიოს შეხებაში მყოფი პირებისა და თემების ხანგრძლივი გაჭირვება და სიღარიბე, ისევე, როგორც ეკოლოგიური ზიანი და უარყოფითი სოციო-ეკონომიკურ ზემოქმედება გარემოზე იმ ადგილებში, სადაც ხდება მათი

¹ მიწის ნაკვეთის შეძენა მოიცავს როგორც ქონების პირდაპირ შესყიდვებს, ისე წვდომის უფლებების შესყიდვებს, როგორცაა სარგებლობის უფლება და გასვლის უფლება.

² მაგალითები მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა წიაღისეულის წვდომის უფლების დაკარგვას ინდივიდუალური მალაროელების მიერ; საზღვაო თევზჭერის ადგილების წვდომის დაკარგვას საპროექტო საქმიანობის გამო; რესურსების წვდომის შეზღუდვას სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული გარიყულობის ზონების შიგნით, რომლებიც არაა შეძენილი კლიენტის მიერ; და სოფლის მეურნეობიდან, მეცხოველეობიდან, სატყეო მეურნეობიდან, ნადირობიდან და თევზჭერიდან შემოსავლის გამოხატულ შემცირებას პროექტთან დაკავშირებული დარღვევის და/ან დაბინძურების შედეგად.

³ ამგვარი შეზღუდვები შეიძლება შეიცავდეს ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, სამართლებრივად დაცული და საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების წვდომის შეზღუდვებს.

⁴ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

⁵ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი: იძულებითი გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპები.

გადაადგილება. ზოგიერთ შემთხვევაში, ცუდად შესრულებულმა იძულებითმა განსახლებამ შეიძლება კლიენტი სამართლებრივ ქმედებას დაუქვემდებაროს. ამ მიზეზების გამო, იძულებითი განსახლება თავიდან უნდა იქნეს აცილებული. თუმცა, როდესაც ეს გარდაუვალია, განსახლება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და შესაბამისი ღონისძიებები საგულდაგულოდ უნდა იყოს დაგეგმილი და განხორციელებული იძულებით გადაადგილებულ პირებზე და მასპინძელ თემებზე ⁶ უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კლიენტის პირდაპირმა ჩართვამ განსახლებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში და შეფასებამ პროექტის შემუშავების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, შეიძლება გამოიწვიოს ამ საქმიანობის ხარჯთეფექტური, ეფექტიანი და დროული განხორციელება და, აგრეთვე, ხელი შეუწყოს ინოვაციურ მიდგომებს საარსებო წყაროების და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების მიმართ განსახლებით დაზარალებულთათვის.

ამოცანები

5. ამ PR-ის ამოცანებია:

- იძულებითი განსახლების თავიდან აცილება, ხოლო, როდესაც ეს გარდაუვალია, მისი მინიმუმამდე დაყვანა, პროექტის დაგეგმვის ალტერნატივების შესწავლის მეშვეობით
- მიწის შეძენით ან შეხებაში მყოფი პირებისთვის აქტივების და მიწის გამოყენების ან წვდომის შეზღუდვებით გამოწვეული უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების შერბილება შემდეგის მეშვეობით: (i) აქტივების დაკარგვისთვის კომპენსაციის უზრუნველყოფა ჩანაცვლების ღირებულებით; ⁷ და (ii) განსახლების პროცესის განხორციელება ინფორმაციის სათანადო გამჟღავნებით, კონსულტაციებით და შეხებაში მყოფთა ინფორმირებული მონაწილეობით
- აღდგენა ან, სადაც შესაძლებელია გადაადგილებულ პირთა ⁸ საარსებო წყაროების ან ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება გადაადგილებამდე არსებულ დონემდე

⁶ მასპინძელი თემი არის ნებისმიერი თემი, რომელიც მიიღებს გადაადგილებულ პირებს.

⁷ როგორც წესი, ეს გამოითვლება, როგორც აქტივების საბაზრო ღირებულება პლუს ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი აქტივების აღდგენასთან. ჩანაცვლების ხარჯების გაანგარიშება რთულია მიწის, მიწის გამოყენების მოსარჩევეების პოტენციური სხვადასხვაობის და წევრ ქვეყნებში მიწის ბაზრის განვითარების სხვადასხვა დონის გამო. ამ მიზეზის გამო, კლიენტებმა უნდა განახორციელონ იდენტიფიცირება და კონსულტაციები ჩაატარონ ყველა პირთან და თემთან, რომლებიც გადაადგილდნენ მიწის შეძენის გამო, ასევე მასპინძელ თემებთან, რომლებმაც უნდა მიიღონ ისინი, ვინც უნდა განსახლდეს, რათა მიიღონ სათანადო ინფორმაცია მიწის საკუთრების, პრეტენზიების და გამოყენების შესახებ. შეფასების მეთოდი ჩანაცვლების ღირებულების განსასაზღვრად უნდა იყოს დოკუმენტირებული განსახლების და/ან საარსებო გარემოს აღდგენის შესაბამის გეგმებში. სადაც მიწის ბაზრები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა, კლიენტებმა შეფასება უნდა განახორციელონ შეფასების გარე დამოუკიდებელი პროფესიონალი ექსპერტების (ან, თუ არ არიან შეფასების პროფესიონალი ექსპერტები, EBRD-სა და კლიენტისთვის მისაღები, შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა პროფესიონალების) მეშვეობით. იხილეთ ასევე სქოლიოები 12 და 14, ქვემოთ.

⁸ ეს შეიძლება მოიცავდეს მათ, ვისაც აქვს იურიდიულად ცნობადი უფლებები ან პრეტენზიები მიწაზე, ვისაც აქვთ ჩვეულებითი პრეტენზიები მიწაზე, ვისაც არა აქვს იურიდიულად ცნობადი უფლებები ან

- ფიზიკურად გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ადეკვატური საცხოვრებლის უზრუნველყოფის მეშვეობითა ⁹ და განსახლების ადგილებში საცხოვრებელზე გარანტირებული უფლებით.¹⁰

გამოყენების სფერო

- ეს PR ვრცელდება ფიზიკურ ან ეკონომიკურ გადაადგილებაზე, რომელიც შეიძლება იყოს სრული, ნაწილობრივი, მუდმივი ან დროებითი, შემდეგი სახის ოპერაციებიდან გამომდინარე:
 - მიწაზე უფლებები ან მიწათსარგებლობის უფლებები პროექტისთვის, რომლებიც შეძენილია ექსპროპრიაციის ან სხვა იძულებითი პროცედურებით
 - მიწაზე უფლებები პროექტისთვის, რომლებიც შეძენილია მოლაპარაკებების გზით მესაკუთრეებთან ან მიწაზე იურიდიული უფლებების მქონე პირებთან, მათ შორის, ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებებით, რომლებიც აღიარებულია ან ექვემდებარება აღიარებას ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ექსპროპრიაციას ან სხვა იძულებით პროცესს მოლაპარაკების მარცხის შედეგად
 - შეზღუდვების დაწესება, რასაც შედეგად მოყვება ადამიანების მიერ ფიზიკური აქტივების ან ბუნებრივი რესურსების წვდომის დაკარგვა, განურჩევლად იმისა, შეზღუდვის ასეთი უფლებები მიღებულია მოლაპარაკებების, ექსპროპრიაციის, სავალდებულო შესყიდვის გზით თუ სამთავრობო რეგულაციის მეშვეობით.
- დაკავებულ მიწაზე იურიდიულად აღიარებული უფლების ან პრეტენზიის არმქონე ადგილნაცვალი პირების მოთხოვნები და მოვალეობები ჩამოყალიბებულია პუნქტებში 18, 32 და 37.
- ეს PR არ ვრცელდება განსახლებაზე, რომელიც წარმოადგენს მიწასთან დაკავშირებით წარმოებული ნებაყოფლობითი გარიგებების შედეგს (საბაზარო ოპერაციები, რომლებშიც გამყიდველი არ არის ვალდებული გაყიდოს და

პრეტენზიები მიწაზე, სეზონური რესურსების მომხმარებლები, როგორებიც არიან მეჯოგეების / მეთევზეების ოჯახები, მონადირეები და შემგროვებლები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობები საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულ თემებთან.

⁹ ადეკვატური საცხოვრებელი და თავშესაფარი შეიძლება განისაზღვრებოდეს ხარისხით, უსაფრთხოებით, ხელმისაწვდომობით, დასახლებულობით, კულტურული შესაბამისობით, წვდომის სიადვილით და ადგილმდებარეობის მახასიათებლებით. ადეკვატური საცხოვრებელი დასაქმების შესაძლებლობების, ბაზრების და ძირითადი ინფრასტრუქტურული სამსახურების, როგორიცაა წყალი, დენი, სანიტარული სისტემა, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებები, წვდომის საშუალებას იძლეოდეს. კლიენტებმა უნდა უნდა ჩართონ ადეკვატური საცხოვრებლის ეს ასპექტები, რათა შესთავაზონ ცხოვრების გაუმჯობესებული პირობები განსახლების ადგილზე, განსაკუთრებით, მათთვის, ვისაც არა აქვს ცნობადი იურიდიული უფლებები ან პრეტენზიები მათ მიერ დაკავებულ მიწაზე.

¹⁰ განსახლების ადგილი სთავაზობს უვადო სარგებლობის უფლებას, თუ იგი იცავს, მაქსიმალური შესაძლო მასშტაბით, ჩამოსახლებულ პირებს იძულებით გამოსახლებისგან.

მყიდველს არ შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციას ან სხვა სავალდებულო პროცედურებს, თუ მოლაპარაკებები ვერ შედგება) და სადაც ასეთი გარიგება გავლენას ახდენს მხოლოდ მათზე, ვისაც იურიდიული უფლებები აქვს.

9. ამ PR-ის გამოყენებადობა განისაზღვრება გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში ზემოთ მოყვანილ 6–8 პუნქტებში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. სადაც იძულებითი განსახლება უკვე მოხდა, შეფასება გამოავლენს: (i) ნებისმიერ ხარვეზს; და (ii) მაკორექტირებელ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ამ PR-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შემდეგ უნდა შეთანხმდეს სამოქმედო გეგმა.

მოთხოვნები

10. კლიენტებს ურჩევნია, რომ მიწაზე უფლებები მოლაპარაკებების გზით მოიპოვონ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ გამყიდველის თანხმობის გარეშე აქვთ მიწის წვდომაზე სამართლებრივი საშუალებები. მოლაპარაკებების გზით დარეგულირება ხელს უწყობს ექსპროპრიაციის თავიდან აცილებას, საჭირო აღარ ხდება სამთავრობო ორგანოს ჩარევა და ადამიანების იძულებითი გაყვანა ტერიტორიიდან. მოლაპარაკებების გზით დარეგულირება, როგორც წესი, მიიღწევა სამართლიანი და სათანადო კომპენსაციის და სხვა წახალისების ან შეღავათების უზრუნველყოფით შეხებაში მყოფი პირებისა ან თემებისთვის, ასევე, ინფორმაციის და მოლაპარაკებისას ძლიერი პოზიციის ასიმეტრიის რისკების შერბილებით.

გადაადგილების თავიდან აცილება ან შემცირება

11. კლიენტი მხედველობაში მიიღებს შესაძლებელ ალტერნატიულ პროექტებს, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადაადგილება და ამავდროულად დააბალანსებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ხარჯებსა და სარგებელს.

კონსულტაცია

12. ადრეული ეტაპებიდან და განსახლებასთან დაკავშირებული საკმიანობის მთელი დროის განმავლობაში, კლიენტი ჩართავს შეხებაში მყოფ მამაკაცებსა და ქალებს, მათ შორის, მასპინძელ თემებში. ეს ხელს შეუწყობს მათ ადრეულ და ინფორმირებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გადასახლებასთან დაკავშირებით დე 10 PR-ში:
 - პროექტთან შეხებაში მყოფ პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობაში იმონ მოლაპარაკებებში, რომელიც უკავშირდება დასაშვებობის კრიტერიუმებს, კომპენსაციის პაკეტის შესახებ მოლაპარაკებებს, განსახლებასთან დაკავშირებით დახმარებას, განსახლების შემოთავაზებული ადგილების შესაბამისობას და შემოთავაზებულ ვადებს.

- დამატებითი მოთხოვნები მიესადაგება კონსულტაციებს, რომლებშიც ჩართულია მკვიდრი მოსახლეობა (როგორც მოცემულია 7 PR-ში), ასევე პირები, რომლებიც დაუცველ ჯგუფებს მიეკუთვნებიან¹¹
- კონსულტაცია გაგრძელდება კომპენსაციის გადახდის და განსახლების განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების განმავლობაში, რათა მიღწეულ იქნეს შედეგები, რომლებიც შეესაბამება ამ PR-ის ამოცანებს.

13. კლიენტი მხედველობაში მიიღებს ნებისმიერ ფიზიკურ პირებს ან ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ უნარშეზღუდულნი და დაუცველნი. კერძოდ, კლიენტი მიიღებს აუცილებელ ზომებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაუცველი ჯგუფები არ აღმოჩნდნენ არასახარბიელო მდგომარეობაში განსახლების პროცესში, სრულად იყვნენ ინფორმირებულნი, იცოდნენ საკუთარი უფლებები და შეეძლოთ თანაბრად ისარგებლონ განსახლების შესაძლებლობებითა და შეღავათებით. ეს ჯგუფები უნდა განისაზღვროს გარემოსდაცვითი და სოციალურ შეფასების პროცესში (როგორც მოცემულია 1 PR-ში).

სოციო-ეკონომიკურ შეფასება და მოსახლეობის აღწერა

14. კლიენტი განახორციელებს პროექტის შეხებაში მყოფი ადამიანების სოციო-ეკონომიკურ საბაზისო შეფასებას, მიწის შეძენასა და მიწის გამოყენების შეზღუდვებთან დაკავშირებული ზემოქმედებების ჩათვლით. შეფასება გამოავლენს ზემოქმედებას პროექტის სოციალური კონტექსტის ფარგლებში და შეხებაში მყოფი ადამიანების საჭიროებებსა და უფლებებს და შეიმუშავებს შესაბამის ქმედებებს განსახლების ზემოქმედებების შემცირებისა და შერბილებისთვის.
15. კლიენტი განახორციელებს შემდეგის დეტალურ აღწერას: (i) ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც პროექტის მიხედვით დაექვემდებარებიან გადაადგილებას; (ii) განსაზღვრა, თუ ვინ დაექვემდებარება კომპენსაციას და დახმარებას; და (iii) შეხებაში მყოფი მიწის და ქონების ინვენტარიზაცია. მოსახლეობის აღწერა უნდა ითვალისწინებდეს სეზონური რესურსების მომხმარებლების საჭიროებებს, რომლებიც შეიძლება არ იმყოფებოდნენ პროექტის ზონაში აღწერის დროს.
16. ეროვნული ხელისუფლების კონკრეტული პროცედურების არ არსებობის შემთხვევაში, კლიენტი დაადგენს დასაშვებობის ამოწურვის ვადას, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ითვალისწინებს ამას მოქმედი კანონმდებლობა და

¹¹ ამ პოლიტიკის მიზნებისთვის, დაუცველი ჯგუფები ნიშნავს იმ ადამიანებს, რომლებიც, გენდერული იდენტობის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, უნარშეზღუდულობის, ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობის ან სოციალური სტატუსის ნიშნით, შეიძლება პროექტის უფრო მეტად არასახარბიელო ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, ვიდრე სხვები, და რომლებსაც შეიძლება შეზღუდული უნარები ჰქონდეთ პრეტენზიის წარდგენის ან პროექტისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით. დაუცველი ადამიანები და/ან ჯგუფები შეიძლება ასევე შეიცავდეს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უმიწაწყლობებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს, რომლებიც უძღვებიან ოჯახს, დევნილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეთნიკურ უმცირესობებს, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ თემებს და სხვა გადაადგილებულ პირებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცული ეროვნული და/ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

პროექტის ვადები, შესაბამისად. ხშირად, ამოწურვის ყველაზე პრაქტიკული ვადა არის დროს საბაზისო შეფასება ან აღწერა. ინფორმაცია, რომელიც ეხება ამოწურვის ვადას იქნება ასევე დოკუმენტურად გაფორმებული და მიეწოდება საპროექტო ზონაში. ამოწურვის ვადის დაწესება უზრუნველყოფს გასაგებობას კომპენსაციის და დახმარების უფლებასთან დაკავშირებით. ადამიანებს, რომლებიც შედიან პროექტის ადგილმდებარეობაზე ამოწურვის ვადის შემდეგ, არა აქვთ უფლება კომპენსაციაზე ან სხვა სახის დახმარებაზე.

კომპენსაცია გადაადგილებულ პირთათვის

17. კლიენტი შესთავაზებს იძულებით გადაადგილებულ პირებს და თემებს კომპენსაციის აქტივების დაკარგვისთვის ჩანაცვლების სრული ღირებულებით¹² და სხვა დახმარებას. ეს მიზნად ისახავს გადაადგილებულ პირთა ცხოვრების სტანდარტების და/ან საარსებო წყაროების¹³ აღდგენას და, პოტენციურად, გაუმჯობესებას გადაადგილებამდე არსებულ დონემდე. ღონისძიებები შეიძლება დაფუძნებული იყოს მიწაზე, რესურსებზე, ხელფასებზე და/ან ბიზნეს საქმიანობაზე. კომპენსაციის სტანდარტები იქნება გამჭვირვალე და თანმიმდევრული პროექტის ფარგლებში. კომპენსაცია უზრუნველყოფილი იქნება გადაადგილებამდე ან წვდომის შეზღუდვის დაკისრებამდე. სადაც გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროები დაფუძნებულია მიწაზე, ან სადაც მიწა კოლექტიურ მფლობელობაშია, კლიენტი შესთავაზებს, სადაც ეს შესაძლებელია, მიწაზე დაფუძნებულ კომპენსაციას, სეზონური და სასოფლო-სამეურნეო დროის მოთხოვნების გათვალისწინებით. კლიენტი უზრუნველყოფს შესაძლებლობებს გადაადგილებულ პირთათვის და თემებისთვის, მიიღონ განვითარების შესაბამისი სარგებელი პროექტიდან.
18. გადაადგილებული პირების კლასიფიცირდება შეიძლება როგორც პირებისა: (i) ვისაც აქვს ფორმალური იურიდიული უფლებები მიწაზე (მათ შორის ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებები, რომლებიც აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად); (ii) ვისაც არ აქვს ფორმალური იურიდიული უფლებები მიწაზე აღწერის დროისთვის, მაგრამ აქვს პრეტენზია მიწაზე, რომელიც აღიარებული ან აღიარებადია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; ან (iii) ვისაც არა აქვს რაიმე სახით აღიარებადი იურიდიული უფლება ან პრეტენზია მიწაზე, რომელიც დაკავებული აქვთ.
19. დოკუმენტაცია საკუთრების ან იჯარის შესახებ, როგორიცაა უფლების დამადასტურებელი და საიჯარო ხელშეკრულებები (მათ შორის, საბანკო ანგარიშები კომპენსაციის გადახდისთვის) უნდა იყოს გაცემული ორივე მეუღლის ან ოჯახის ერთი უფროსის სახელზე, როგორც შეესაბამება. სხვა

¹² დაკარგული აქტივებისთვის კომპენსაციის განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს ჩანაცვლების ღირებულებით ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. დანაკარგებისთვის, რომლებიც ადვილად ვერ იქნება შეფასებული და რომელთა კომპენსაცია ვერ მოხდება ფულით, ნატურალური კომპენსაცია შეიძლება იყოს შესაბამისი. თუმცა, ეს კომპენსაცია უნდა განხორციელდეს საქონლით ან რესურსებით, რომლებიც ეკვივალენტური ან მეტი ღირებულებისაა და კულტურულად შესაბამისია. იხ. შენიშვნები 7 და 14.

¹³ საარსებო წყაროები შეიძლება შედგებოდეს ხელფასზე დაფუძნებული შემოსავლების და/ან შემოსავლებისგან, რომლებიც მიიღება პირების, ოჯახების და/ან თემების მიერ რესურსების ათვისების მეშვეობით.

დახმარება განსახლებასთან დაკავშირებით, როგორიცაა უნარების ტრენინგი, კრედიტის წვდომა და სამუშაო ადგილები, თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქალებისა და მამაკაცებისთვის და ადაპტირებული უნდა იყოს მათ საჭიროებებთან.

20. კლიენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს კომპენსაციის ალტერნატიული მეთოდებს და/ან პირობების შეთავაზება, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში და რეგიონებში, სადაც ნაკლებად სავარაუდოა ქალების მიერ ფორმალური ფინანსური ინსტიტუტების წვდომა და/ან საბანკო ანგარიშების ფლობა. ისეთ გარემოებებში, სადაც ეროვნული კანონმდებლობა და მფლობელობის სისტემები არ აღიარებს ქალთა უფლებებს ფლობდნენ ან გაცვალონ ქონება, უნდა იყოს დებულება იმაში დასარწმუნებლად, რომ, შეძლებისდაგვარად, ქალებს უძრავის ქონების უსაფრთხოდ ფლობის საშუალება აქვთ.

გასაჩივრების მექანიზმი

21. კლიენტი შეიძულებს საჩივრების ეფექტურ მექანიზმს, რაც შეიძლება ადრე ამ პროცესში. ის ამ PR-ის და 10 PR-ის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისი იქნება, რათა მიიღოს და დროულად მოახდინოს რეაგირება კონკრეტულ პრობლემებზე კომპენსაციისა და ადგილმდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლებიც წამოჭრილია გადაადგილებული პირების და/ან მასპინძელი თემების წევრების მიერ. იგი მოიცავს დავების მიუკერძოებლად გადასჭრელად შექმნილ მექანიზმს.

განსახლების და/ან საარსებო წყაროების აღდგენის ჩარჩო

22. განსახლებისა და/ან საარსებო წყაროების აღდგენის ჩარჩო შემუშავებული იქნება, სადაც პროექტთან დაკავშირებული მიწის შეძენის და მიწის გამოყენების შეზღუდვების, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადაადგილება, ზუსტი ბუნება და მასშტაბი უცნობია პროექტის განვითარების ეტაპის გამო. ამ ჩარჩოში მითითებული იქნება ზოგადი პრინციპები, პროცედურები და უფლებების ფარგლები, ამ PR-ის შესაბამისად. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება პროექტის ცალკეული კომპონენტები და საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება, ჩარჩო იქნება განსახლების დეტალური სამოქმედო გეგმის (RAP) და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის (LRP) საფუძველი ქვემოთ მოყვანილი 26–39 პუნქტების შესაბამისად.

მონიტორინგი

23. განსახლებისა და საარსებო წყაროების აღდგენის პროცესის მონიტორინგი განხორციელდება 1 PR-ის შესაბამისად და უნდა მოიცავდეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, როგორიცაა შეხებაში მყოფი თემები, მონაწილეობას.
24. პროექტის განსახლების მასშტაბზე დამოკიდებულებით, შეიძლება, კლიენტისთვის შესაბამისი იყოს RAP/LRP შესრულების შესახებ გარე ანგარიში, იმის დასადგენად, რომ დებულებები შესრულებულია. შესრულების შესახებ

ანგარიში უნდა განხორციელდეს პროცესში ყველა წვლილის, მათ შორის, განვითარების ინიციატივების, შესრულების შემდეგ. ანგარიში შეიძლება განსაზღვრავდეს შემდგომ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს კლიენტის მიერ. უმრავლეს შემთხვევაში, შესრულების ანგარიშით განსაზღვრული მაკორექტირებელი ქმედებების შესრულება უნდა გულისხმობდეს კომპენსაციის, საარსებო წყაროების აღდგენის და განვითარების სარგებლის თვალსაზრისით კლიენტის ვალდებულებების დასრულებას.

გადაადგილება

25. პროექტთან დაკავშირებული მიწის შეძენა და/ან მიწის გამოყენების შეზღუდვები ხშირად იწვევს ადამიანების როგორც ფიზიკურ, ისე ეკონომიკურ გადაადგილებას. ამდენად, ამ PR-ის მოთხოვნები ფიზიკურ და ეკონომიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებით, შეიძლება ერთდროულად იყოს გამოსაყენებელი. ასეთ შემთხვევაში, სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც ეხება ეკონომიკურ გადაადგილებას და მოცემულია პუნქტებში 36–39 უნდა შევიდეს განსახლების სამოქმედო გეგმებში ან ჩარჩო დოკუმენტებში, შესაბამისად.

ფიზიკური გადაადგილება

26. ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, რომლებიც, როგორც აღწერილია 6 პუნქტში, გულისხმობს ადამიანთა ფიზიკურ გადაადგილებას, კლიენტი შეიმუშავებს RAP-ს, რომელიც მოიცავს, როგორც მინიმუმი, წინამდებარე PR-ის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანია დაზარალებული. შემუშავებული იქნება გეგმა გადაადგილების უარყოფითი გავლენის შესარბილებლად, პოტენციური სარგებლის განსასაზღვრად და დაზარალებული პირების (მათ შორის მასპინძელი თემების) ყველა კატეგორიის უფლებების დასადგენად, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით დაუცველთა საჭიროებებისთვის. ეს გეგმა დოკუმენტურად დაასაბუთებს ყველა პროცედურას მიწაზე უფლებების შესაძენად, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებებს და ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დაადგენს პროცედურებს განსახლებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის და მაკორექტირებელი ქმედების განხორციელებისთვის, საჭიროებისამებრ.
27. RAP-ის მოცულობა და დეტალიზაციის დონე შეიცვლება გადაადგილების მასშტაბების და ზემოქმედების შესამსუბუქებლად საჭირო ღონისძიებების სირთულის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში, ის აღწერს გზებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობით მიღწეული იქნება ამ PR-ის ამოცანები.
28. RAP უნდა მოიცავდეს ზომებს იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების უზრუნველსაყოფად რათა საშუალება მისცეს შეასრულონ ადმინისტრაციული მოთხოვნები მიწის შეძენამდე და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით მოიპოვონ კომპენსაცია.

29. კლიენტი ვალდებულია კონსულტაციები ჩაატაროს დაზარალებულ პირებთან RAP-ის მომზადებისას და უნდა შეაჯამოს RAP-ში მოცემული ინფორმაცია საჯარო განხილვისთვის, რათა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულ ადამიანებს ესმით კომპენსაციების გაცემის პროცედურები და იციან, რას ელოდონ პროექტის სხვადასხვა ეტაპზე (მაგალითად, როდესაც მათთვის შეთავაზება მოხდება, რამდენი დრო ექნებათ რეაგირებისთვის, საჩივრების განხილვის პროცედურები, სამართლებრივი პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს, თუ მოლაპარაკებები წარუმატებელი იქნება).
30. თუ უნდა მოხდეს ადამიანების, რომლებიც ცხოვრობენ პროექტის ტერიტორიაზე, გადაადგილება სხვა ადგილას, კლიენტი განახორციელებს შემდეგს: (i) შესთავაზებს გადაადგილებულ პირებს არჩევანს შესაძლებელი განსახლების ვარიანტებს შორის, რაც მოიცავს ადეკვატურ ჩანაცვლებას საცხოვრებლით ან ფულად კომპენსაციას, შესაბამისობის შემთხვევაში; და (ii) უზრუნველყოფს დახმარებას ადგილმონაცვლეობისას, რომელიც შეეფერება იძულებით გადაადგილებულ პირთა თითოეული ჯგუფის საჭიროებებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ღარიბების და დაუცველების საჭიროებებს. ალტერნატიული საცხოვრებელი და/ან ფულადი კომპენსაციის ხელმისაწვდომი იქნება ადგილმონაცვლეობამდე. განსახლების ახალი ადგილები, რომლებიც აშენებულია გადაადგილებულ პირთათვის, შესთავაზებს, როგორც მინიმუმ, გადაადგილებამდე არსებულ საცხოვრებელ პირობებს და, სადაც შესაძლებელია ამის მიღწევა, მდგრად და ეფექტურ შესაძლებლობებს ცხოვრების სტანდარტის გასაუმჯობესებლად.
31. ფიზიკურად იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში, პუნქტი 18 (i) ან (ii), კლიენტი შესთავაზებს ჩანაცვლების ქონების არჩევანს თანაბარი ან უფრო მაღალი ღირებულებით, ან ფულად კომპენსაციას ჩანაცვლების სრული ღირებულებით, სადაც შეესაბამება.¹⁴
32. ფიზიკურად იძულებით გადაადგილებულ პირების შემთხვევაში, პუნქტი 18 (iii), კლიენტი შესთავაზებს ადეკვატური საცხოვრებლის არჩევანს მიწის მფლობელობის უსაფრთხოებით ისე, რომ მათ შეეძლოთ განსახლება ლეგალურად, იძულებითი გამოსახლების რისკის გარეშე.
- სადაც შესაძლებელია, ფულადი კომპენსაციის ნაცვლად შესთავაზებენ ნატურალურ კომპენსაციას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია 14-ე სქოლიოში აღწერილი პირობების არსებობის ჩვენება. ეს ეხება მათ, ვისი ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებები აღიარებულია ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად; მოსარჩელებს, რომლებსაც, ვადის ამოწურვამდე, არა აქვთ ფორმალური იურიდიული

¹⁴ ფულადი კომპენსაციის გადახდა დაკარგული აქტივებისთვის შეიძლება შესაბამისი იყოს, სადაც: (i) საარსებო წყაროები არაა მიწაზე დაფუძნებული; (ii) საარსებო წყაროები მიწაზეა დაფუძნებული, მაგრამ პროექტისთვის აღებული მიწა დაზარალებული აქტივის მცირე ნაწილია და მიწის ნარჩენი ნაწილი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია; ან (iii) არსებობს მიწის, საცხოვრებლის და შრომის აქტიური ბაზრები, გადაადგილებული პირები იყენებენ ასეთ ბაზრებს, და მიწის და საცხოვრებლის საკმარისი მიწოდებაა. ფულადი კომპენსაციის დონეები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ჩანაცვლოს დაკარგული მიწა და სხვა აქტივები ჩანაცვლების სრული ღირებულებით ადგილობრივ ბაზრებზე. იხილეთ ასევე შენიშვნები 7 და 12.

უფლებები მიწაზე, მაგრამ, რომლებსაც აქვთ პრეტენზია ასეთ მიწაზე ან აქტივებზე, მაგალითად, უარყოფითი ფლობის საფუძველზე;¹⁵ და, 18-ე პუნქტში აღნიშნული კვალიფიკაციების შესაბამისად, მათ, ვისაც არა აქვთ აღიარებას დაქვემდებარებული რაიმე იურიდიული უფლებები ან პრეტენზია მათ მიერ დაკავებულ მიწაზე.

- ასეთი გადაადგილებულ პირებთან კონსულტაციების საფუძველზე კლიენტი უზრუნველყოფს ადგილმონაცვლეობაში დახმარებას, რომელიც მათთვის საკმარისია მათი ცხოვრების სტანდარტის აღსადგენად, და სადაც შესაძლებელია, გასაუმჯობესებლად ადეკვატური ალტერნატიულ ადგილზე.¹⁶

33. იმ შემთხვევებში, თუ დაზარალებული პირები უარს ამბობენ კომპენსაციის შეთავაზებებზე, რომლებიც აკმაყოფილებს ამ PR-ის მოთხოვნებს და, ამის შედეგად, დაწყებულია ექსპროპრიაცია ან სხვა სამართლებრივი პროცედურები, კლიენტი შეისწავლის პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს და, თუ დაშვებულია ამ ორგანოს მიერ, აქტიურ როლს ითამაშებს განსახლების დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში.
34. კლიენტი განსაზღვრავს და შეფასებს პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას მასპინძელ თემებზე, რომლებზეც შეიძლება იმოქმედოს განსახლების პროცესმა. ნებისმიერი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც შეთანხმებულია მასპინძელ თემთან უნდა იყოს ჩართული RAP-ში.
35. როდესაც უნდა მოხდეს მკვიდრი მოსახლეობის თემების ფიზიკურად იძულებითი გადაადგილება კომუნალური ფლობის ტრადიციული ან ჩვეულებითი მიწებიდან, რომლებსაც ისინი იყენებენ, კლიენტი შეასრულებს ამ PR-ის, ისევე როგორც 7 PR-ის მოთხოვნებს.

ეკონომიკური გადაადგილება

36. 6-ე პუნქტში აღწერილი ოპერაციების შემთხვევაში, რომლებიც მოიცავს მხოლოდ ეკონომიკურ გადაადგილებას, კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს LRP-ს. LRP დაადგენს დაზარალებულ პირების და თემების უფლებებს და უზრუნველყოფს, რომ ისინი ხორციელდებოდეს გამჭვირვალე, თანმიმდევრული და სამართლიანი ფორმით.
37. თუ 6-ე პუნქტში აღწერილი სახის გარიგება იწვევს შემოსავლის ან საარსებო წყაროს დროებით ან მუდმივ დაკარგვას, მაგალითად, პირის სამუშაო ან პროდუქტიულ აქტივებზე წვდომის შეწყვეტის ან აღმოფხვრის გამო, მიუხედავად იმისა, მოსახლეობის ფიზიკურად იძულებით გადაადგილებულია თუ არა, კლიენტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

¹⁵ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენის მეთოდი ნორმატიული პერიოდის განმავლობაში ფლობის მეშვეობით გარკვეულ პირობებში.

¹⁶ არაოფიციალური მკვიდრების გადაყვანა ქალაქად, ხშირად კომპრომისთანაა დაკავშირებული. მაგალითად, გადაყვანილმა ოჯახებმა შეიძლება მოიპოვონ უვადო სარგებლობა, მაგრამ დაკარგონ ადგილმდებარეობის უპირატესობა.

- დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ეკონომიკურად გადაადგილებულ პირებს აქტივების ან აქტივების ხელმისაწვდომობის დაკარგვა. ეს პროცესი უნდა დაიწყოს გადაადგილებამდე. როდესაც კომპენსაცია უნდა გადაიხადოს პასუხისმგებელმა სამთავრობო სააგენტომ, კლიენტმა უნდა ითანამშრომლოს სააგენტოსთან, რათა დაეხმაროს გადახდების დაჩქარებაში.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის შეძენა ზემოქმედებას ახდენს კომერციულ სტრუქტურებზე, დაზარალებული ბიზნესის მფლობელისთვის კომპენსაცია: (i) კომერციული საქმიანობის აღდგენის ღირებულება სხვაგან; (ii) დაკარგული წმინდა შემოსავალი გარდამავალ პერიოდში; და (iii) ქარხნის, მანქანა-დანადგარების ან სხვა აღჭურვილობის გადატანის და ხელახლა დამონტაჟების ხარჯები, როგორც შეესაბამება.
- უზრუნველყოს თანაბარი ან უფრო დიდი ღირებულების ჩასანაცვლებელი ქონება (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ან კომერციული ობიექტები) ან ფულადი კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, მიწაზე სამართლიანი უფლებების ან პრეტენზიების მქონე პირებისთვის, რომლებიც აღიარებულია ან აღიარებას ექვემდებარება ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში (როგორც მოცემული პუნქტში 18 (i) და (ii)).
- ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათემო კოლექტიური რესურსების¹⁷ დანაკარგის ასანაზღაურებლად. ამან შეიძლება მიიღოს ინიციატივების ფორმა, რომლებიც მიმართულია დარჩენილი რესურსების პროდუქტიულობის გაზრდაზე, რომელთა წვდომა აქვს თემს, ნატურალური ან ფულადი კომპენსაცია წვდომის დაკარგვისთვის ან დაკარგული რესურსის ალტერნატიული წყაროების წვდომის უზრუნველყოფა.
- ეკონომიკურად გადაადგილებულ პირთა კომპენსაცია, რომლებსაც არა აქვთ იურიდიულად ცნობადი პრეტენზიები მიწაზე (პუნქტი 18 (iii)) დაკარგული ქონებისთვის (როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სარწყავი ინფრასტრუქტურა და მიწაზე განხორციელებული სხვა გაუმჯობესებები) გარდა მიწისა, ჩანაცვლების ღირებულებით. კლიენტს არ მოეთხოვება კომპენსაცია ან დახმარება გამორჩენის მამიებლებისთვის, რომლებიც იჭრებიან და სახლდებიან პროექტის ტერიტორიაზე ამოწურვის თარიღის შემდეგ.
- დამატებითი მიზნობრივი დახმარების (მაგალითად, საკრედიტო საშუალებები, ტრენინგი ან სამუშაო ადგილები) და მათი შემოსავლის გამომუშავების, წარმოების დონეების და ცხოვრების სტანდარტების აღდგენის, ხოლო, სადაც შესაძლებელია, გაუმჯობესების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ბიზნესის შემთხვევაში, რომელიც განიცდის დროებით ზარალს ან უწევს დახურვა პროექტთან დაკავშირებული გადაადგილების შედეგად, როგორც ბიზნესის მფლობელს, ისე თანამშრომლებს, რომლებიც კარგვენ ანაზღაურებას ან დასაქმებას, უფლება აქვთ ასეთ დახმარებაზე.

¹⁷ ამის მაგალითები მოიცავს ველებს და საძოვრებს, არამერქნული ტყის რესურსებს (მაგალითად, სამკურნალო მცენარეები, სამშენებლო და ხელოსნობის მასალები), ტყის უბნებს მერქნისა და შემისთვის; წყლის რესურსებს სოფლის მეურნეობისთვის, დასვენებას ან თევზაობას.

- გარდამავალი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ეკონომიკურად გადაადგილებულ პირთათვის, საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლის გამომუშავების, წარმოების დონეების და ცხოვრების სტანდარტების აღსადგენად საჭირო დროის გონივრული განსაზღვრის საფუძველზე.

38. კლიენტი შეაჯამებს ინფორმაციას, რომელიც მოცემულია LRP-ში საჯაროდ გასამჟღავნებლად, რათა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულ ადამიანებს ესმოდეთ კომპენსაციების გაცემის პროცედურები და იცოდნენ, რას ელოდონ პროექტის სხვადასხვა სტადიაზე.

39. როდესაც ხდება მკვიდრი მოსახლეობის თემების ეკონომიკურად გადაადგილება (მაგრამ არა ადგილმონაცვლეობა) მიწის პროექტთან დაკავშირებული შემენის შედეგად, კლიენტი შეასრულებს ამ PR-ის, ისევე, როგორც იმ PR 7 გამოსაყენებელ პრინციპებს.

საჯარო კეთილმოწყობის დაკარგვა¹⁸

40. თუ პროექტი მოიცავს საჯარო კეთილმოწყობის დაკარგვას, კლიენტმა უნდა ჩაატაროს კონსტრუქციული კონსულტაცია PR 10 შესაბამისად, ადგილობრივად დაზარალებულ თემთან შესაფერისი ალტერნატივის გამოსავლენად და, შეძლებისდაგვარად, შესათანხმებლად.

კერძო სექტორის ვალდებულებები ხელისუფლების მიერ მართულ განსახლებასთან დაკავშირებით

41. შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც მიწის შემენასა და განსახლებაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი მთავრობაა. ასეთ შემთხვევებში, კლიენტი ითანამშრომლებს პასუხისმგებელ სამთავრობო სააგენტოსთან, რამდენადაც ეს დაშვებულია სააგენტოს მიერ, იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც შეესაბამება ამ PR-ის მიზნებს. გარდა ამისა, როდესაც მთავრობის შესაძლებლობები შეზღუდულია, კლიენტი აქტიურ როლს ითამაშებს განსახლების დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის დროს. კლიენტი მოამზადებს გეგმას (ან ჩარჩოს), რომელიც პასუხისმგებელ სამთავრობო სააგენტოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებთან ერთად, დააკამოყოფილებს ამ PR-ის მოთხოვნებს. კლიენტს შეიძლება დასჭირდეს თავის გეგმაში შემდეგის ჩართვა: (i) გადაადგილებულ პირთა უფლებების აღწერა, რაც მოცემულია შესაბამის კანონებსა და წესებში; (ii) ღონისძიებები, რომლებიც შემოთავაზებულია ასეთ უფლებებსა და ამ PR-ის მოთხოვნებს შორის რაიმე ხარვეზების შესავსებად; და (iii) სამთავრობო ორგანოსა და/ან კლიენტის ფინანსური და განხორციელების პასუხისმგებლობები.

¹⁸ კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვა აღწერილია 8-ე PR-ში.

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 6:

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას¹ და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების² მდგრად მართვას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის თვალსაზრისით.
2. ეს PR აღიარებს ეკოსისტემების ძირითადი ეკოლოგიური ფუნქციების და მათთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელოვნებას. ყველა ეკოსისტემა ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმების კომპლექსურობას და განსხვავდება სახეობების სიმდიდრის, სიმრავლის და მნიშვნელოვნების თვალსაზრისით.
3. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ცოცხალი რესურსების მდგრადი მართვის მიზნების გაწონასწორება უნდა მოხდეს ბიომრავალფეროვნების და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მრავალჯერადი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფასეულობების პოტენციალის ოპტიმალური გამოყენებით.
4. აღიარებულია, რომ: (i) მკვიდრი მოსახლეობის და გარემოს ზეგავლენის ქვეშ მყოფი იმ თემების საარსებო პირობები, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია, ან რომელთა მიერ გამოიყენება ბიომრავალფეროვნება ან ცოცხალი ბუნებრივი რესურსები, შესაძლოა დაზარალებული იყოს პროექტიდან გამომდინარე საქმიანობის შედეგად; და (ii) მათ შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიონ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფისთვის.

ამოცანები

5. ამ PR-ის ამოცანებია:
 - დაიცვას და შეინარჩუნოს ბიომრავალფეროვნება პრევენციულ მიდგომაზე დაყრდნობით
 - მიიღოს შემარბილებელი იერარქიის³ მიდგომა, რათა თავიდან იქნას აცილებული ბიომრავალფეროვნების წმინდა ზარალი და სადაც შესაძლებელია, მიღწეულ იქნას ბიომრავალფეროვნების წმინდა მოგება

¹ ამ PR, მიზნებისთვის, ბიომრავალფეროვნება განსაზღვრულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის შესაბამისად - „ცვალებადობა ცოცხალ ორგანიზმებს შორის, რომლებიც გავრცელებულია ხმელეთზე, ზღვასა და წლის სხვა ეკოსისტემებსა და ეკოლოგიურ კომპლექსებში. აღნიშნული მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობების შიგნით, სახეობებს შორის და ეკოსისტემების ფარგლებში“.

² „ცოცხალი ბუნებრივი რესურსები“ განისაზღვრება, როგორც „მცენარეები ან ცხოველები, რომლებიც მოშენებულია ადამიანის ან ცხოველთა საკვებად ან გამოსაყენებლად, გარეულ და კულტივაციის პირობებში. ის მოიცავს სატყეო მეურნეობის ყველა ტიპს, ბიოსაწვავს, მიწათმოქმედებას, როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან კულტურების, მეცხოველეობას, თევზჭერას, ზღვის და მტკნარი წყლის ორგანიზმების ჩათვლით, ხერხმლიანებს და უხერხემლოებს“.

³ შერბილების იერარქია მოიცავს იმ ზომებს, რომლებიც გატარებულია ბიომრავალფეროვნებაზე შესაბამისი საქმიანობიდან გამომდინარე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად; და სადაც ეს არ არის შესაძლებელი, დამატებითი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, შერბილებას და როგორც უკიდურეს ზომას, ასეთი ზემოქმედების კომპენსირებას.

- ხელი შეუწყოს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მდგარდი მართვის მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელებას

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია

გამოყენების სფერო

6. კლიენტმა, თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში, უნდა მოახდინოს წინამდებარე PR შესაბამისი მოთხოვნების, და აგრეთვე მათი გამოყენებისა და მართვის განსაზღვრა პროექტის მსვლელობის დროს. წინამდებარე PR-ის შესრულებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება უნდა მოხდეს კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ფარგლებში და პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავს ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმებს ან, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას,⁴ რათა პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნეს წინამდებარე PR-ის შესრულებისთვის მისაღები ვადები. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მართვის მოთხოვნები განსაზღვრულია 1 PR -ში.

ზოგადი მოთხოვნები

პრობლემების და ზემოქმედების შეფასება

7. შეფასების პროცესი განსაზღვრავს ძირითადი პრობლემების მახასიათებლებს იმ ხარისხით, რომელიც პროპორციული და სპეციფიკურია მოსალოდნელი რისკებისა და ზემოქმედების მასშტაბისთვის. საბაზისო შეფასება გულისხმობს და არა მხოლოდ, ჰაბიტატის მოსპობას,⁵ დეგრადაციას და ფრაგმენტაციას, ინვაზიურ სახეობებს, ჭარბ ექსპლუატაციას, მიგრაციულ ბარიერებს, ჰიდროლოგიურ ცვლილებებს, ბიოგენურ ნივთიერებებს და დაბინძურებას და აგრეთვე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია კლიმატური ცვლილებების და ადაპტაციის შედეგად. ბიომრავალფეროვნების საბაზისო და ზემოქმედების შეფასების დაგეგმარებისა და განხორციელებისას, კლიენტმა უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისი, უკვე დანერგილი პრაქტიკით, რომელიც მოიცავს სამაგიდო და სავსე მდგომარეობას, საჭიროების მიხედვით. იქ, სადაც აუცილებელია შემდგომი გამოკვლევა პოტენციური ზემოქმედების მნიშვნელოვნების განსაზღვრისთვის, კლიენტმა უნდა ჩაატაროს დამატებითი კვლევა და/ან მონიტორინგი იქამდე, ვიდრე განხორციელებული იქნება პროექტთან დაკავშირებული ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს შეუქცევადი ხასიათის ზემოქმედება.

⁴ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები (BAP), როგორც წესი, მოიცავენ მიზნების, ამოცანების და მართვის ღონისძიებებს სერიას, რომლებიც მოწოდებულია ნარჩენი ზემოქმედების შესარბილებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების ან კრიტიკული ჰაბიტატების წმინდა ზარალი/მოგება. მიზნები უნდა იყოს რეალისტური და გეგმაზომიერი. თითოეულ მიზანი უნდა განსაზღვრავდეს მთელ რიგ ქმედებებს და მოიცავდეს დასრულების მაჩვენებლებს ან მონიტორინგის სამიზნე ობიექტებს, პასუხისმგებელ მხარეს და ვადებს. BAP უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამის დანტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, სამთავრობო, საერთაშორისო ექსპერტების, ადგილობრივი / საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების ჩართულობით.

⁵ ჰაბიტატი (საარსებო გარემო) განისაზღვრება, როგორც ხმელეთის, მტკნარი წყლების ან საზღვაო გეოგრაფიული ერთეული, რომელიც ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმების არსებობას და მათ ურთიერთქმედებას გარემოსთან.

8. შეფასების პროცესის დროს, პროექტის საწყის ეტაპზე, კლიენტმა უნდა მოახდინოს ბიომრავალფეროვნებაზე პროექტთან დაკავშირებული შესაძლებლობების, რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება და მახასიათებლების განსაზღვრა. შეფასების ხარისხი საკმარისი უნდა იყოს ზემოქმედების აღწერისთვის, რომელიც დაფუძნებული იქნება მის ხანგრძლივობასა და მნიშვნელოვნებაზე/სიძლიერეზე და აგრეთვე გაითვალისწინებს, პოტენციურად დაზარალებული თემების და ზოგ შემთხვევაში, სხვა მხარეების ინტერესებსაც. შეფასებაში ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პირდაპირი, ირიბი და კუმულაციური ზეგავლენები და პროექტის ფარგლებში გამოყენებული შემარბილებელი ზომების ეფექტურობა და მიზანშეწონილობა. შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს ლანდშაფტის დონეზე პოტენციური ზემოქმედების განხილვას და ასევე ეკოსისტემების ეკოლოგიური მთლიანობის საკითხს, მათი დაცულობის სტატუსისგან დამოუკიდებლად და მიუხედავად მათი დაშლისა ან დეგრადაციისა.
9. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ეკოსისტემების გამოყენებას და მათზე დამოკიდებულობას პოტენციურად ჩართული თემის და მკვიდრი მოსახლეობის მხრიდან, რომელთა მიერ ბიომრავალფეროვნების რესურსების გამოყენებაზე შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს პროექტის განხორციელებამ. შეფასებაში აგრეთვე განხილული უნდა იყოს საკუთრივ პროექტის დამოკიდებულობა ამ ეკოსისტემებზე. იქ, სადაც პროექტის ფარგლებში არსებობს ეკოსისტემაზე პოტენციური ზემოქმედების ალბათობა, და სადაც კლიენტს გააჩნია პირდაპირი კონტროლის საშუალება ან მნიშვნელოვანი ზემოქმედების მექანიზმი, თავიდან უნდა იქნას აცილებული არაკეთილსაიმედო ზემოქმედება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, კლიენტმა მინიმუმამდე უნდა შეამციროს ის და/ან გაატაროს შესაბამისი შემარბილებელი ზომები იმ მიზნით, რომ შენარჩუნებული იქნას ამ ეკოსისტემების სრული ფუნქციონალობა.
10. იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ მკვიდრ მოსახლეობასა ან ადგილობრივ თემებზე, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ათვისებისგან მიღებული მოგებების სამართლიანი და თანაზომადი განაწილება, თანახმად: (i) ეკონომიკურ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მოთხოვნებისა, რომლებიც მოცემულია 5 PR-ში; (ii) პოტენციური პრობლემების და მკვიდრ მოსახლეობაზე ზეგავლენის შედეგების მართვის კონკრეტული მოთხოვნებისა, რომლებიც მოცემულია 7 PR-ში; და (iii) დაინტერესებული პირების ჩართულობისადმი მოთხოვნებისა, რომლებიც მოცემულია 10 PR-ში.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მოთხოვნები

11. როდესაც შეფასებისას მოხდება პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების განსაზღვრა ბიომრავალფეროვნებაზე, კლიენტმა უნდა განახორციელოს რისკების მართვა შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კლიენტმა უნდა მიიღოს პრევენციული მიდგომა და გამოიყენოს ადაპტური მართვის პრაქტიკა, რომლითაც შემარბილებელი და მართვის ღონისძიებები, პასუხობენ ცვალებად პირობებს და პროექტის მონიტორინგის შედეგებს პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში.

12. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთი რეგიონი, რომლებსაც მოიცავს პროექტი შეიძლება ჩაითვალოს „პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების“⁶ მქონედ, რომელიც მოიცავს: (i) საფრთხის ქვეშ მყოფ საარსებო გარემოს; (ii) მოწყვლად სახეობებს; (iii) ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის მქონე მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრულია დაინტერესებული პირების ფართო სპექტრის და მთავრობების მიერ (როგორცაა ბიომრავალფეროვნების საკვანძო ადგილები და მნიშვნელოვანი ორნიტოლოგიური ტერიტორიები); და (iv) ეკოლოგიური სტრუქტურები და ფუნქციები, რომლებიც აუცილებელია იმ პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის, რომლებიც აღწერილია წინამდებარე პუნქტში.
13. როდესაც შეფასების შედეგად გამოვლინდება, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან უარყოფით და შეუქცევად ზემოქმედებას პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებზე, კლიენტმა არ უნდა განხორციელდეს პროექტთან დაკავშირებული ღონისძიებები, თუ:
- არ არსებობს ტექნიკური და ეკონომიკური ალტერნატივა
 - საერთო სარგებელი აჭარბებს პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებაზე
 - დაინტერესებულ მხარეებს მიღებული აქვთ კონსულტაციები 10 PR-ის შესაბამისად
 - პროექტი ნებადართულია მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად და აღიარებს პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებს.
 - შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ტარდება, შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის⁷ თანახმად, რათა თავიდან იქნას აცილებული წმინდა ზარალი და სასურველია პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებისგან მიღებული იქნას წმინდა მოგება გრძელვადიანი პერსპექტივით, კონსერვაციის გეგმაზომიერი შედეგების მიღწევის მიზნით.
14. ყველაზე მგრძნობიარე ბიომრავალფეროვნების მახასიათებლები განისაზღვრება, როგორც კრიტიკული საარსებო გარემო, რომელიც მოიცავს ერთ-ერთს ქვემოთ ჩამოთვლილიდან: (i) მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ან უნიკალური ეკოსისტემები; (ii) საფრთხის ქვეშ მყოფი⁸ ან გადაშენების პირას მყოფი სახეობებისთვის

⁶ ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლები, წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების ისეთ ქვეჯგუფს, რომელიც განსაკუთრებული ან მოწყვლადია, მაგრამ უფრო დაბალი პრიორიტეტულობით ვიდრე კრიტიკული ჰაბიტატი (როგორც ეს განსაზღვრულია მე-14 პუნქტში)

⁷ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება, კლიენტს შესაძლოა დასჭირდეს ისეთი საკომპენსაციო ზომების მიღება, როგორცაა ბიომრავალფეროვნების ჩანაცვლება.

⁸ როგორც მითითებულია გარემოსდაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების წითელ წიგნში. კრიტიკული ჰაბიტატის (საარსებო გარემოს) აღწერა სხვა ჩამონათვალზე დაყრდნობით მოიცავს შემდეგს: (i) თუ სახეობა შეტანილია ჩამონათვალის როგორც საფრთხის / გადაშენების საშიშროების ქვეშ მყოფი ეროვნულ/რეგიონულ დონეზე. იმ ქვეყნებში, რომლებიც ხელმძღვანელობენ IUCN, კრიტიკული ჰაბიტატის დეტერმინაცია ხდება პროექტებზე დაფუძნებით და კომპეტენტურ პროფესიონალებთან კონსულტაციების შემდგომ; და (ii) ისეთ შემთხვევაში, თუ ეროვნულ/რეგიონულ დონეზე ჩამონათვალში შეტანილი სახეობების კატეგორიზაცია ზუსტად არ ემთხვევა IUCN განსაზღვრებებს (მაგ, რაც ქვეყანებში სახეობები ზოგადად განისაზღვრება როგორც „დაცული“ ან „შეზღუდული“), შეფასება

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საარსებო გარემო; (iii) ენდემური ან გეოგრაფიულად შეზღუდული სახეობებისთვის მნიშვნელოვანი საარსებო გარემო; (iv) ჰაბიტატები, რომლებიც აუცილებელია გლობალური მნიშვნელობის მიგრაციული ან კრებითი სახეობებისთვის; (iv), ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად ეკოლუციურ პროცესებთან; ან (v) ეკოლოგიური ფუნქციები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წინამდებარე პუნქტში აღწერილი ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების ქმედუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

15. როდესაც შეფასების შედეგად განისაზღვრება, რომ პროექტმა შესაძლოა მავნე ზემოქმედება ოქონიოს კრიტიკულ ჰაბიტატზე, კლიენტმა უნდა მიმართოს გამოცდილ გარე ექსპერტებს კრიტიკულ ჰაბიტატზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის შეფასების განსახორციელებლად.

16. კრიტიკული ჰაბიტატი არ უნდა იყოს შემდგომში უფრო დანაწევრებული, შეცვლილი ან დეგრადირებული იმ დონემდე, რომ დარღვეული იქნას მისი ეკოლოგიური მთლიანობა ან ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა. შესაბამისად, კრიტიკული ჰაბიტატის ადგილებში, კლიენტმა არ უნდა განახორციელოს პროექტის არცერთი აქტივობა, თუ არ იქნება გათვალისწინებული ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

- რეგიონში არ არსებობს სხვა რეალური ალტერნატივა ბიომრავალფეროვნების კუთხით ნაკლებად ფასეული ჰაბიტატების სახით, რომლებიც აუცილებელია პროექტის განხორციელებისთვის
- დაინტერესებულ მხარეებს მიღებული აქვთ კონსულტაციები PR 10-ის შესაბამისად
- პროექტი ნებადართულია მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აღიარებს პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებს
- პროექტს არ ექნება გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება იმ ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებზე, რომლებისთვისაც განსაზღვრულია კრიტიკული ჰაბიტატი (მითითებულია მე-14 პუნქტში)
- პროექტი გამიზნულია წმინდა მოგებაზე⁹ იმ კრიტიკული ჰაბიტატისთვის, რომელზეც ის მოახდენს ზემოქმედებას
- არ არის მოსალოდნელი, პროექტის შედეგად რომელიმე საფრთხის ქვეშ მყოფი ან გადაშენების პირას მყოფი სახეობების პოპულაციის¹⁰ შემცირება გონივრული პერიოდის განმავლობაში¹¹

ხდება ჩამონათვალის ლოგიკისა და მიზნების დასადაგენად. ასეთ შემთხვევაში, კრიტიკული ჰაბიტატის განსაზღვრება დამოკიდებულია ამ შეფასებაზე.

⁹ წმინდა მოგება წარმოადგენს დამატებით კონსერვაციულ შედეგს, რომელიც შესაძლოა მიღწეულ იქნას ბიომრავალფეროვნების ღირებულებებისთვის, რომლებისთვისაც კრიტიკული ჰაბიტატი იყო გამიზნული. წმინდა მოგება შესაძლოა მიღებულ იქნას ბიომრავალფეროვნების ჩანაცვლების შედეგად და/ან იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეძლებს შეასრულოს საქმიანობისადმი წინამდებარე მოთხოვნის მე-16 პუნქტის ბიომრავალფეროვნების ჩანაცვლების გარეშე, მას შეუძლია წმინდა მოგების მიღება ისეთი პროგრამების განხორციელების გზით, რომლებიც შესაძლოა შესრულდეს ადგილზე, ჰაბიტატის გამდიერებით და ბიომრავალფეროვნების დაცვითა და კონსერვაციით.

¹⁰ სუფთა რედუქცია არის ინდივიდების სინგულარული ან კუმულაციური დანაკარგი, რომლითაც ხდება სახეობების უნარის პრევენცია, გადარჩეს გლობალური და/ან რეგიონულ/ეროვნული მასშტაბით, მრავალი თაობის ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში. პოტენციური სუფთა რედუქციის მასშტაბის (მაგ, გლობალური და/ან რეგიონულ/ეროვნული) განსაზღვრა ხდება სახეობათა ჩამონათვალის საფუძველზე ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გლობალურ ჩამონათვალზე დაყრდნობით ან რეგიონულ/ეროვნული ჩამონათვალის მიხედვით. იმ სახეობებისთვის, რომლებიც შეტანილია საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გლობალურ ჩამონათვალსა და რეგიონულ/ეროვნულ ჩამონათვალში, სუფთა რედუქცია ეფუძნება რეგიონულ/ეროვნულ პოპულაციას.

- ძლიერი და სათანადოდ შემუშავებული, გრძელვადიანი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა კრიტიკული ჰაბიტატის სტატუსის შეფასებას, ინტეგრირებულია კლიენტის ადაპტაციური მართვის პროგრამაში.

17. ისეთ შემთხვევებში, როდესაც კლიენტს შეუძლია დააკმაყოფილოს მე-16 პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნები, პროექტის ზემოქმედების შერბილების სტრატეგია აღწერილი იქნება ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში ან ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში, საჭიროების მიხედვით.
18. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოთავაზებულია ბიომრავალფეროვნების კომპენსაცია პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების ან კრიტიკული ჰაბიტატებისთვის, კლიენტმა შეფასების მეშვეობით უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ პროექტის მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე ადეკვატურად იქნება შერბილებული თანახმად მე-13 და მე-15-17 პუნქტებისა, შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში, კლიენტმა უნდა მიმართოს გამოცდილ გარე ექსპერტებს, რომლებსაც აქვთ სათანადო ცოდნა ურთიერთჩათვლის გამოთვლისა და განხორციელების საქმეში.

კანონით დაცული და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით აღირებული ტერიტორიები

19. როდესაც პროექტი ხორციელდება იმ ტერიტორიის ფარგლებში ან მას პოტენციურად შეუძლია დააზიანოს ის ტერიტორია, რომელიც დაცულია კანონმდებლობის საფუძველზე ან სხვა ეფექტური ინსტრუმენტებით,¹² და/ან საერთაშორისოდ აღიარებულია,¹³ ან შემოთავაზებულია ასეთი სტატუსის მქონედ ეროვნული მთავრობების მიერ, ასეთ შემთხვევებში, კლიენტმა უნდა გამოავლინოს და შეაფასოს პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენები და გამოიყენოს შერბილების იერარქია, ისე, რომ პროექტიდან გამომდინარე ზემოქმედების შედეგად არ მოხდეს ასეთი ტერიტორიების მთლიანობის, გარემოსდაცვითი მიზნების და/ან ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის საფრთხის ქვეშ დაყენება.
20. თუ შეფასება გამოავლენს, რომ პროექტს, პოტენციურად, შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს პრიორიტეტულ ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებზე და / ან კრიტიკულ ჰაბიტატზე კანონით დაცული ან ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ღირებული საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების ფარგლებში, კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს ასეთი ზემოქმედების დადგომა, თანახმად მე-13 და მე-15-17 პუნქტებისა, შესაბამისად. გარდა ამისა, კლიენტმა უნდა:
 - მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ნებისმიერი შემოთავაზებული აქტივობა, ნებადართულია კანონმდებლობით და დაცულ ტერიტორიაზე პროექტთან

¹¹ ვადა, რომლის დროსაც კლიენტმა უნდა აჩვენოს, რომ ადგილი არ აქვს საფრთხის ქვეშ ან გადაშენების პირას მყოფი სახეობების „სუფთა რედუქციას“, განისაზღვრება შემთხვევების გათვალისწინებით და გარე ექსპერტებთან კონსულტაციის გზით.

¹² ეს PR თანხვედრაშია IUCN დეფინიციასთან - „დაცული ტერიტორია“

¹³ ადგილები, რომლებსაც შეეხება საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, მოიცავს, და არა მხოლოდ, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილებს, რამსარის ჩამონათვალს და ა.შ.

დაკავშირებული ზემოქმედების კონკრეტული შეფასება განხორციელდა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად

- იმოქმედოს მთავრობის მიერ მიღებული ასეთი ტერიტორიების მართვის გეგმების შესაბამისად
- მიიღოს კონსულტაციები დაცული ტერიტორიების მენეჯერების, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების, ადგილობრივი თემებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებით, PR 10-ის თანახმად
- განახორციელოს დამატებითი პროგრამები, საჭიროების მიხედვით, დაცული ტერიტორიების კონსერვაციის მიზნების ხელშეწყობისა და გაძლიერებისთვის.

ინვაზიური უცხო სახეობები

21. კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს და აქტიურად შეეცადოს არ დაუშვას უცხო სახეობების შემთხვევითი ან განზრახ შემოჭრა, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა ბიომრავალფეროვნებაზე, კერძოდ:

- კლიენტმა არ უნდა მოახდინოს უცხო სახეობების განზრახ შეყვანა ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ჩვეულებრივ არ სახლობენ, თუ აღნიშნული არ ხდება შესაბამისი მარეგულირებელი ნორმის თანახმად. დაუშვებელია ინვაზიური სახეობების შეყვანა ახალ გარემოში.
- კლიენტმა უნდა მოახდინოს პოტენციური რისკების, ზემოქმედებების და შემარბილებელი აქტივობების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია უცხო სახეობების¹⁴ შემთხვევით გადაყვანასა ან გავრცელებასთან.
- როდესაც შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში არსებული ქვეყნის ან რეგიონის შიგნით უკვე დადგენილია უცხო სახეობები, კლიენტი უნდა შეეცადოს, რომ არ დაუშვას ინვაზიური სახეობების გავრცელება იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არიან განსაზღვრული. პრაქტიკულად, კლიენტმა უნდა მიიღოს ზომები, რათა აღკვეთოს ასეთი სახეობების მოხვედრა ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის მქონე იმ ტერიტორიებზე, სადაც მას გააჩნია კონტროლის მექანიზმი.

ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

გამოყენების სფერო

22. წინამდებარე PR ეხება იმ პროექტებს, რომლებიც გულისხმობს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების პირველად წარმოებას, ან როდესაც ასეთი რესურსები ცენტრალურია პროექტის ძირითადი ფუნქციისთვის.¹⁵

23. კლიენტმა, თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში უნდა მოახდინოს წინამდებარე PR-ის შესაბამისი მოთხოვნების, და

¹⁴ რაც შეეხება საქონლისა და მომსახურებების საერთაშორისო ტრანსპორტირებას, წინამდებარე PR ხელმძღვანელობს გემის წყლის ბალასტის და ნალექის მართვის და კონტროლის საერთაშორისო კონვენციით. კლიენტებს, რომლებსაც სურთ მიიღონ EBRD დაფინანსება ისეთი პროექტისთვის, რომელიც მოიცავს აღნიშნული სახის ტრანსპორტირებას, მოეთხოვებათ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონვენციის ფარგლებში.

¹⁵ პროექტები, რომლებიც მოიცავს მემცენარეობას ან მეცხოველეობას, ბუნებრივ ან გაშენებულ სატყეო მეურნეობას, მიწათმოქმედებას ან თევზჭერას და ბიომასების წარმოებას და გამოყენებას ენერგეტიკული თვალსაზრისით, წარმოადგენენ წინამდებარე PR საგანს.

აგრეთვე მათი გამოყენებისა და მართვის განსაზღვრა პროექტის მსვლელობის დროს. კლიენტმა უნდა მიიღოს და გაატაროს ზომები, რომლებიც თანხვედრაშია წინამდებარე PR–თან, და წარმოადგენს კლიენტის ზოგად ESMS და/ან ESMP ნაწილს. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მოთხოვნები განსაზღვრულია 1 PR–ში.

მოთხოვნები

ზოგადი მოთხოვნები

24. კლიენტებმა უნდა განახორციელონ ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მართვა ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების და ევროკავშირის შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტების გამოყენებით, მოქმედი პროექტის აუცილებლობიდან გამომდინარე.
25. კლიენტებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ შესაბამის გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარებული სტანდარტების მიღებასა და განხორციელებას, რომლებიც ექვემდებარება დამოუკიდებელ სერტიფიცირებას ან შემოწმებას გონივრულ ვადებში. სადაც არ არსებობს შესაბამისი სტანდარტები კონკრეტულ ცოცხალ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით, პროექტის ფარგლებში, კლიენტმა უნდა მიმართოს სათანადო, კონკრეტულ მდგრადი მართვის პრაქტიკას.

პრობლემების და ზემოქმედების შეფასება

26. კლიენტებმა, რომელთა პროექტები მოიცავს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, უნდა შეაფასონ რესურსის მდგრადობა, ეკოსისტემებსა და მათთან დაკავშირებულ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების და შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:
 - ნებისმიერი ცოცხალი ბუნებრივი რესურსის გამოყენება განხილული უნდა იქნას იმ ძირითადი ეკოლოგიური ფუნქციების კონტექსტში, რომლებსაც ის უზრუნველყოფს ეკოსისტემის¹⁶ ფარგლებში.
 - გათვალისწინებული უნდა იქნას პირდაპირი, ირიბი და კუმულაციური ზემოქმედება
 - ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენების თანმდევი უნდა იყოს შერბილების იერარქიის მიდგომა და სხვა მომხმარებლისთვის სარგებლის ოპტიმიზირება.
 - იმ სახეობების და პოპულაციების წარმოება ან / და გამოყენება, რომლებიც არ არიან ამ ადგილ-მდებარეობისთვის ბუნებრივი და არ არიან შემოწმებული ინვაზიურობაზე და/ან ადგილობრივ სახეობებზე დომინირებაზე უნდა შეიზღუდოს ან დაექვემდებაროს სათანადო კვლევებს და ნებართვას შესაბამისი ადგილობრივი კომპეტენტური ორგანოების მიერ, იქმდე, ვიდრე დაიწყება მათი წარმოება ან გამოყენება.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოება

¹⁶ მაგალითად, ხეების პირწმინდად ჭრამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სხვა ბიომრავალფეროვნებაზე, ნიადაგის ეროზიაზე, წყლის ბასეინების ჰიდროლოგიაზე, წყლის ხარისხსა და მეთევზეობაზე. ასევე, ჭარბი თევზჭერა გავლენას ახდენს ეკოლოგიურ ბალანსზე და ეკოსისტემის მთლიანობაზე.

27. კლიენტები, რომლებიც ჩართულნი არიან მემცენარეობასა ან მეცხოველეობაში, ვალდებული არიან უზრუნველყონ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება, რათა თავიდან აიცილონ ან მინიმუმამდე შეამცირონ უარყოფითი ზემოქმედება და რესურსების ათვისება.
28. კლიენტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობაში, ცხოველების ტრანსპორტირებასა და მათ დაკვლაში, ხორცისა და სუბპროდუქტების მისაღებად (მაგალითად, რძე, კვერცხი, მატყლი) უნდა მიიღონ და შეასრულონ ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნები, ევროკავშირის შესაბამისი ცხოველთა დაცვის სტანდარტები და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის ნორმები, რომლებიც განსაკუთრებით მკაცრია მეცხოველეობის დარგში.

თევზჭერა და აკვაკულტურა

29. კლიენტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან თევზის ან წყლის სხვა სახეობების დაჭერასა და გადამუშავებაში, უნდა მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ მათი საქმიანობა მიმდინარეობს, ან წარიმართება მომავალში, მდგრადი ბაზისით, რაც მიიღწევა დამოუკიდებელი სერტიფიცირების¹⁷ გზით, ან კვლევების მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ შეფასების პროცესის ნაწილს. არ არის აუცილებელი, რომ მეთევზეობა მხოლოდ თევზჭერით შემოიფარგლებოდეს. პოპულაციების განახლება ანუ სხვადასხვა სახეობების და პოპულაციების შეყვანა, განსაკუთრებით დახურულ გარემოში, როგორიცაა მაგ. ტბა, უნდა უზრუნველყოფდეს, არსებული ადგილობრივი ენდემური / ბუნებრივი თევზის სახეობების დაცვას.
30. აკვაკულტურის პროექტებთან დაკავშირებით, კლიენტებმა უნდა შეაფასონ და შეამცირონ წყლის გარემოში უცხო სახეობების გავრცელების რისკი. კლიენტებმა ასევე უნდა შეაფასონ და მინიმუმამდე შეამცირონ გარემოში დაავადებათა და/ან პარაზიტების გავრცელების შესაძლებლობა.

ბუნებრივი და გაშენებული სატყეო მეურნეობა

31. კლიენტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან სატყეო მეურნეობის პირველად წარმოებაში, თავიანთი საქმიანობა ისეთნაირად უნდა დაგეგმონ, რომ თავიდან აიცილონ ან მინიმუმამდე შეამცირონ ეკოსისტემებსა და მათთან დაკავშირებულ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და შეასრულონ მე-11 და/ან 13-15 პუნქტებში ასახული შესაბამისი მოთხოვნები, იმ შემთხვევაში, თუ მათი პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად შესაძლოა მოხდეს პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების ან კრიტიკული ჰაბიტატების გარდაქმნა, ფრაგმენტაცია ან დეგრადაცია.
32. კლიენტებმა უნდა გაიარონ დამოუკიდებელი სერტიფიცირება, რომელიც შეესაბამება ტყეებისა და/ან პლანტაციების მდგრადი მართვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. როდესაც შეფასება გამოავლენს, რომ ტყის მართვის¹⁸

¹⁷ მაგალითად, საერთაშორისოდ აღიარებული მდგრადი მეთევზეობის პროგრამები მოიცავენ საზღვაო სამეურვეო საბჭოს სერტიფიკაციის სქემას.

¹⁸ საერთაშორისოდ აღიარებული სატყეო მეურნეობის სერტიფიკაციის პროგრამები მოიცავენ სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) და სატყეო სერტიფიკაციის დანერგვის პროგრამას (PEFC).

პრაქტიკა არ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტებს, კლიენტები შეიმუშავებენ ისეთ მართვის გეგმას, რომლითაც გაივლიან სერტიფიცირებას გონივრულ ვადებში.

ბიომასის საწვავის გამოყენება და ბიოსაწვავის წარმოება

33. კლიენტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ბიომასის წარმოებასა და გამოყენებაში, მინიმუმამდე უნდა შეამცირონ უარყოფითი ზეგავლენა ეკოსისტემებსა და მათთან დაკავშირებულ ბიომრავალფეროვნებაზე (i) ნარჩენების, როგორც ბიომასის საწვავის ძირითადი წყაროს გამოყენების მეშვეობით, როდესაც ეს შესაძლებელია ტექნოლოგიურად, ფინანსურად და ეკონომიკურად მომგებიანია; და (ii) ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტებისა და პრინციპების მიღებით და განხორციელებით და როდესაც შესაძლებელია, გაიარონ აღნიშნული სტანდარტების შესაბამისი სერტიფიცირება გონივრულ ვადებში.
34. კლიენტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ბიოსაწვავის წარმოებაში, უნდა გამოიყენონ ნედლეული, რომელიც მიღებულია მდგრად საფუძველზე. ისე, რომ მინიმუმამდე იქნება შემცირებული უარყოფითი ზეგავლენა ეკოსისტემებსა და მათთან დაკავშირებულ ბიომრავალფეროვნებაზე, ასევე მიწაზე, წყალსა და სხვა რესურსებზე, რომლებიც საჭიროა ენერგიის თითოეული ერთეულის წარმოებისთვის. კლიენტი მიიღებს და განახორციელებს ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიოსაწვავის ნედლეულის წარმოებასთან და როდესაც შესაძლებელია, გაივლიან აღნიშნული სტანდარტების შესაბამის სერტიფიცირებას გონივრულ ვადებში.

მიწოდების ჯაჭვი

35. როდესაც: (i) პროექტი იყენებს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გარე მომწოდებლებს, რომლებზეც კლიენტს არ გააჩნია პირდაპირი მართვის კონტროლი; (ii) ეს რესურსები ცენტრალურია პროექტის ძირითადი ფუნქციებისთვის; და (iii) მომწოდებლებს აქვთ პოტენციალი მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეთ ეკოსისტემებსა და მათთან დაკავშირებულ ბიომრავალფეროვნებაზე, კლიენტმა, როგორც მისი ESMS ან ESMP ნაწილი, უნდა მიიღოს და განახორციელოს რესურსების შესყიდვების მდგრადი პოლიტიკა, მართვის პროცედურები და კონტროლის სისტემა მისი პირველადი მომწოდებლების შეფასების უზრუნველსაყოფად. პოლიტიკა, პროცედურები და შემოწმების სისტემები უნდა მოიცავდნენ კონკრეტულად შემდგეს:
- მოხდება მხოლოდ კანონით ნებადართული და მდგრადი წარმოშობის ცოცხალი ბუნებრივი რესურსების შეძენა;
 - განხორციელდება ცოცხალი ბუნებრივი რესურსების წყაროს მონიტორინგი და დოკუმენტირება;
 - ცოცხალი ბუნებრივი რესურსების წყაროს არ აქვს უარყოფითი ზემოქმედება ეკოსისტემების ძირითად ეკოლოგიურ ფუნქციებზე, კანონით დაცულ ტერიტორიებსა, ბიომრავალფეროვნების კუთხით ღირებულ საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიებსა, პრიორიტეტულ ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებსა ან კრიტიკულ ჰაბიტატებზე.
36. კლიენტებმა უპირატესობა უნდა მიაანიჭონ ისეთი ცოცხალი ბუნებრივი რესურსების შეძენას, რომლებიც წარმოებულია მდგრადი მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად. სადაც ხელმისაწვდომია

საერთაშორისოდ აღიარებული დარგობრივი მდგრადი სერტიფიცირების სისტემები, კლიენტი შეეცდება საკუთარი საქმიანობა და მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ასეთ სტანდარტებთან, გონივრულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სერტიფიცირების სისტემა არ იქნება ხელმისაწვდომი, კლიენტი გამოიყენებს მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას და ტექნოლოგიებს.

გენმოდირებული ორგანიზმები (გმო)

37. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დაუშვებელია გენმოდირებული ორგანიზმების გამოყენება ან გარემოში გავრცელება, კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული თანხმობის გარეშე. სხვა EBRD ქვეყნებში, დაუშვებელია გენმოდირებული ორგანიზმების გამოყენება ან გარემოში გავრცელება რისკების შეფასების გარეშე, რომელიც ტარდება ევროკავშირის ძირითადი სტანდარტების შესაბამისად.

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 7:

მკვიდრი მოსახლეობა

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ პროექტებმა შეიძლება შექმნას შესაძლებლობები მკვიდრი მოსახლეობისთვის, რათა მონაწილეობა და სარგებელი მიიღონ პროექტთან დაკავშირებული საქმიანობიდან, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართ სწრაფვაში. ვინაიდან მთავრობა ხშირად ასრულებს ცენტრალურ როლს მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხების მართვაში, კლიენტებმა სათანადოდ უნდა ითანამშრომლონ უფლებამოსილ ორგანოებთან და შესაბამის თემებთან მათ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების და ზემოქმედების მართვის თვალსაზრისით.
2. არ არის ტერმინის „მკვიდრი მოსახლეობა“ საყოველთაოდ მიღებული განმარტება. მკვიდრ მოსახლეობას შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად უწოდებდნენ. ასევე, ფაქტია, რომ ჯგუფები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ კლასიფიცირებული როგორც მკვიდრი მოსახლეობა ერთ ქვეყანაში ან რეგიონში, შეიძლება ასეთა მიიჩნეოდნენ სხვა ქვეყანასა თუ რეგიონში.
3. პოლიტიკასა და ამ PR-ში, ტერმინი „მკვიდრი მოსახლეობა“ გამოიყენება ტექნიკური თვალსაზრისით ეხება სოციალურ და კულტურულ ჯგუფს, რომელიც განსხვავდება დომინანტი ჯგუფებისგან ეროვნული საზოგადოებების ფარგლებში, რომელსაც გააჩნია ყველა შემდეგი მახასიათებელი სხვადასხვა ხარისხით:
 - თვითიდენტიფიკაცია, როგორც განსხვავებული მკვიდრი ეთნიკური ან კულტურული ჯგუფის წევრებისა და ამ იდენტობის აღიარება სხვების მიერ
 - კოლექტიური კავშირი გეოგრაფიულად გამოყოფილ ჰაბიტატებთან, ტრადიციულ მიწებთან ან საგვარეულო ტერიტორიებთან პროექტის ტერიტორიაზე და ბუნებრივ რესურსებთან ამ ჰაბიტატებში და ტერიტორიებში¹

¹ ჯგუფი, რომელმაც დაკარგა „კოლექტიური კავშირი გეოგრაფიულად განსხვავებულ ჰაბიტატებთან ან საგვარეულო ტერიტორიებთან პროექტის ზონაში“, იძულებითი მოცილების გამო, ექვემდებარება ამ PR-ს, თუ მოსალოდნელია, რომ პროექტი მოახდენს ზემოქმედებას. „იძულებითი მოცილება“ ეხება კოლექტიური კავშირის დაკარგვას გეოგრაფიულად გამოყოფილ ჰაბიტატებთან ან საგვარეულო ტერიტორიებთან კონფლიქტის, მთავრობის განსახლების პროგრამების, მიწების ჩამორთმევის, ბუნებრივი კატასტროფების, ან ასეთი ტერიტორიების ქალაქის ფარგლებში შესვლის გამო. ამ PR-ის მიზნებისთვის, „ქალაქის ზონა“, ჩვეულებრივ, ნიშნავს ქალაქს ან დიდ ქალაქს და ითვალისწინებს ყველა შემდეგ მახასიათებელს, რომელთაგან არც ერთი არ არის განმსაზღვრელი: (i) ზონის იურიდიული დანიშნულება არის არა სასოფლო-სამეურნეო ეროვნული კანონით; (ii) მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე; და (iii) არა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობის შედარებით მაღალი წილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან შედარებით.

- წარმოშობა მოსახლეობისგან, რომელიც ტრადიციულად იყენებდა არასახელმწიფო საარსებო სტრატეგიებს (და ხშირად ეწეოდა მომთაბარე ცხოვრებას / საქონლის გადარეკვას)² და რომელთა სტატუსი რეგულირდებოდა საკუთარი ადათებით ან ტრადიციებით ან სპეციალური კანონებით ან რეგულაციებით
 - ჩვეულებრივი კულტურული, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც განცალკევებულია დომინანტური საზოგადოების ან კულტურის ასეთი ინსტიტუტებისგან
 - განსხვავებული ენა ან დიალექტი, რომელიც ხშირად განსხვავდება ქვეყნის ან რეგიონის ოფიციალური ენისა თუ დილექტისგან.
4. ის ფაქტი, რომ ჯგუფი ან ჯგუფის წევრები ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას ან საქონლის გადარეკვას შერეულ და ურბანულ თემებში და/ან მხოლოდ სეზონურად ეწევიან მათ ტრადიციულ მიწებს, იძულებითი მოცილებისას არ არის პირველი რიგის წინააღმდეგობა წინამდებარე PR-ის გამოყენებისთვის.
 5. ეს PR უდგება მკვიდრ მოსახლეობას, როგორც პარტნიორებს, პატივს სცემს მათ, როგორც ადამიანებს და ხალხებს, რომელთა ფასეულობებმა შეიძლება დიდად შეუწყონ ხელი საკუთარ და ეროვნულ სოციო-ეკონომიკურ განვითარებას. ეს PR აღიარებს, რომ მკვიდრი მოსახლეობა, როგორც სოციალური ჯგუფები, რომელთა იდენტობა განსხვავდება დომინანტური ჯგუფებისგან ეროვნულ საზოგადოებებში, შეიძლება იყოს მოსახლეობის ყველაზე მარგინალიზებულ და დაუცველ სეგმენტებს შორის. მათი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტატუსი ხშირად ზღუდავს მათ შესაძლებლობას დაიცვან მათი ინტერესები და უფლებები (რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური და/ან კოლექტიური) მიწებზე და ბუნებრივ და კულტურულ რესურსებზე, და შეიძლება შეზღუდოს მათი შესაძლებლობა მონაწილეობა და სარგებელი მიიღონ განვითარებიდან. ისინი განსაკუთრებით დაუცველნი არიან, თუ ხორციელდება მათი მიწების და რესურსების გარდაქმნა ან შეჭრა მათ მიერ, ვინც არ არიან მათი თემების წევრები.
 6. ეს PR აღიარებს, რომ მკვიდრი მოსახლეობის იდენტობები, კულტურები, მიწები და რესურსები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და განსაკუთრებით დაუცველია ცვლილებების მიმართ, რომლებიც გამოწვეულია ზოგიერთი სახის ინვესტიციებით ისე, რომ მათ ენას, კულტურას, რელიგიას, სულიერ რწმენას და ინსტიტუტებს შეიძლება საფრთხე შეექმნას. ეს მახასიათებლები უქვემდებარებს მკვიდრ მოსახლეობას სხვადასხვა სახის რისკებსა და მძიმე ზემოქმედებას, მათ შორის: იდენტურობის, კულტურის და ბუნებრივი რესურსებზე დაფუძნებული საარსებო წყაროების დაკარგვა, ასევე გაღატაკებას და დაავადებას. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ მამაკაცების, ქალების და ბავშვების როლები მკვიდრ კულტურებში შეიძლება

² ეს მიესადაგება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამას აღარ ეწევიან, როგორც მოცემულია წინა სქოლიოში.

განსხვავებული იყოს როლებისგან დომინანტურ ჯგუფებში; მამაკაცებისა და ქალების მიმართ შეიძლება იყოს დიფერენცირებული მოპყრობა, როგორც მათ თემებში, ისე უფრო ფართო საზოგადოებაში, რაც შეიძლება უტოლდებოდეს დისკრიმინაციას. ბავშვები შეიძლება განსაკუთრებით მარგინალიზებული იყვნენ მათი, როგორც ბავშვების, სტატუსის გამო, და ასევე განიცდიან დისკრიმინაციას მათი მკვიდრი სტატუსის გამო. ამ რეალობის გამო, მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხები ხშირად კომპლექსურია. უფრო მეტიც, დომინანტური კულტურისთვის ზოგჯერ შეიძლება არ იყოს ცნობილი და არ უნდოდეს მკვიდრი სტატუსის აღიარება ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისთვის. ამდენად, განსაკუთრებული ზომებია საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ მკვიდრი მამაკაცები და ქალები არ იყვნენ დაუცველები და ჩართულნი იყვნენ და სარგებელს იღებდნენ ბანკის მიერ დაფინანსებულმა პროექტებიდან, სათანადოდ.

7. ეს PR აღიარებს, რომ მკვიდრი მოსახლეობის გარემოებები იმ ქვეყნებში, სადაც EBRD ახორციელებს ოპერაციებს, უნიკალურია მათი კონკრეტული ისტორიის გამო. მკვიდრი მოსახლეობა აღარ შეიძლება ჩართული იყოს მხოლოდ ჩვეულებრივი საარსებო წყაროს გამოყენებაში და აღარც ის შეიძლება, რომ მათი თვითმყოფადობა დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ეწევიან ასეთი ტრადიციული საარსებო წყაროების გამოყენებას და ცხოვრების ტრადიციულ წესს. უფრო მეტიც, ცნობილია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ცხოვრობს შერეულ ეთნიკურ დასახლებებში. მომთაბარეობის ან საქონლის გადარეკვის დღემდე არსებობამ და იძულებითი განსახლების ისტორიამ გამოიწვია მოლოდინი, რომ გაგრძელდება ფიქსირებული ბმულები კონკრეტული ტერიტორიებთან, რაც ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. ამ PR-ის მიერ გაგებულია, რომ მკვიდრი მოსახლეობის საარსებო საშუალებები და შაბლონები შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს დომინანტი კულტურისგან და შეიძლება ასევე განიცადონ ცვლილება დროთა განმავლობაში.

ამოცანები

8. კონკრეტული ამოცანები:
 - უზრუნველყოფა, რომ გარდამავალი პროცესი ხელს უწყობდეს მკვიდრი მოსახლეობის ღირსების, ადამიანის უფლებების, მისწრაფებების, კულტურის და ბუნებრივი რესურსებზე დაფუძნებული საარსებო წყაროების სრულ პატივისცემას
 - მკვიდრი მოსახლეობის თემების სიცოცხლეზე და საარსებო წყაროებზე პროექტის უარყოფითი ზემოქმედების მოლოდინი და თავიდან აცილება ან, როდესაც თავიდან აცილება შეუძლებელია, ასეთი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, შერბილება თუ კომპენსაცია
 - საშუალების მიცემა მკვიდრი მოსახლეობისთვის, სარგებელი მიიღონ პროექტებიდან კულტურულად შესაბამისი წესით

- კლიენტისთვის ხელშეწყობა პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში პროექტთან შეხებაში მყოფ მკვიდრ მოსახლეობასთან მიმდინარე ურთიერთობის შექმნასა და შენარჩუნებაში
- კლიენტსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის კეთილსინდისიერი მოლაპარაკების და ინფორმირებული მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა, როდესაც პროექტები უნდა განხორციელდეს ტრადიციულ მიწებზე ან მიწებზე, რომლებსაც, ჩვეულებრივ, იყენებს მკვიდრი მოსახლეობა, როდესაც პროექტი ზემოქმედებას მოახდენს ჩვეულებრივ ან არატრადიციულ საარსებო წყაროებზე, ან მკვიდრი მოსახლეობის კულტურული რესურსების კომერციული ექსპლუატაციის შემთხვევაში.
- მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა დაცვის გაეროს დეკლარაციაში³ ასახული პრინციპის აღიარება, რომ პროექტების უარყოფითი ზემოქმედებისგან მკვიდრი მოსახლეობის სპეციფიკური დაუცველობის გათვალისწინებით, საჭიროა მკვიდრი მოსახლეობის წინასწარი ინფორმირებული თანხმობა ასეთ პროექტთან დაკავშირებული საქმიანობისთვის, რომელიც განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ 30-34 პუნქტებში⁴
- მკვიდრი მოსახლეობის მამაკაცების, ქალების და ბავშვების კონკრეტული საჭიროებების აღიარება გენდერული საკითხების გათვალისწინების და პროექტის შესაძლო არაპროპორციული გენდერული ზემოქმედების შერბილების მეშვეობით
- მკვიდრი მოსახლეობის ჩვეულებითი კანონების და ადათების აღიარება და პატივისცემა მათი სრულად გათვალისწინებით
- მკვიდრი მოსახლეობის კულტურის, ცოდნისა და პრაქტიკის პატივისცემა და შეინარჩუნება მათი სურვილების შესაბამისად.

გამოყენების სფერო

9. ეს PR გამოიყენება, როდესაც პროექტი, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს მკვიდრ მოსახლეობაზე. იმის დასადგენად, ჩაითვლება თუ არა კონკრეტული ჯგუფი მკვიდრ მოსახლეობად ამ PR მიზნებისთვის, კლიენტს შეიძლება დასაჭიროდეს ექსპერტის კონსულტაცია.
10. ამ PR-ის გამოყენებადობის დადგენა მოხდება გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში ქვემოთ, 2-7 პუნქტებში ასახული კრიტერიუმების მიხედვით. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ქმედებების განხორციელება უნდა იმართებოდეს ამ PR-ის და 1, 5, 8 და 10 PR-ების შესაბამისად, როგორც მიესადაგება.

³ მკვიდრი მოსახლეობის უფლებების გენერალური ასამბლეის დეკლარაცია, მიღებული 2007 წლის 13 სექტემბერს.

⁴ ILO (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) კონვენცია #169 (მკვიდრი მოსახლეობის და ტომების კონვენცია), რომელიც მოიცავს მკვიდრი მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის მიწასთან, დასაქმებასთან, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვასთან და ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს. კონსულტაცია და მონაწილეობა წარმოადგენს ამ კონვენციის ქვაკუთხედს.

მოთხოვნები

11. პროექტებში, რომლებიც, სავარაუდოდ, შეეხება მკვიდრ მოსახლეობას,⁵ კლიენტი ვალდებულია განახორციელოს მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასება. მისი შედეგის მიხედვით, კლიენტისგან, პირველ რიგში მოელიან უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას, ხოლო სადაც ეს არ არის მიზანშეწონილი, მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმის მომზადებას, როგორც მითითებულია 19-ე პუნქტში ქვემოთ, ნებისმიერი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანისთვის ან/და შემცირებისთვის და სარგებლის იდენტიფიცირებისთვის. კლიენტისგან ასევე მოელიან ჩართვას შეხებაში მყოფ მკვიდრ თემებთან ინფორმირებულ კონსულტაციებში და მონაწილეობაში, საჩივრების განხილვის სპეციფიკური მექანიზმის განხორციელებას და თემების მიერ კომპენსაციის შესაბამისი პირობების და სარგებლის მიღების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და განსაზღვრას. კონსულტაციების ჩატარებისას, კლიენტი მხედველობაში მიიღებს იმ ფაქტს, რომ ზოგ შემთხვევაში, მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროების სტრუქტურასთან დაკავშირებით არის სეზონურობა, და კლიენტმა უნდა შეიმუშავოს კონსულტაცია ისე, რომ საკმარისი დრო იყოს მკვიდრი მოსახლეობის მოსაზრებების მისაღებად, შემუშავების პროცესში სათანადო წვლილის შეტანის უზრუნველსაყოფად.
12. თუ კლიენტმა დაიწყო საპროექტო საქმიანობა, რომელმაც მოახდინა ან/და შეიძლება მოახდინა ზემოქმედება მკვიდრ მოსახლეობაზე, შეფასება გამოავლენს: (i) ნებისმიერ ხარვეზებს; და (ii) მაკორექტირებელ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ამ PR-თან შესაბამისობის უზრუნველყოფად. შემდეგ შეთანხმებულ უნდა იქნეს სამოქმედო გეგმა.
13. თუ შესაბამისი რესურსი არ არის ხელმისაწვდომი კლიენტის ორგანიზაციაში, მან უნდა მოიძიოს გამოცდილი და დამოუკიდებელი სოციალური სპეციალისტების რჩევა პროექტის შემუშავებისა და განხორციელების მთელი კურსის განმავლობაში.

შეფასება

14. თუ არსებობს ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნა კონკრეტული ტიპის სოციალურ შეფასებაზე, კლიენტმა უნდა ჩაატაროს ის, გარდა იმისა, რომ ჩაატარებს ამ PR-ით მოთხოვნილ ნებისმიერ დამატებით სოციალურ შეფასებას..
15. იმ შემთხვევებში, თუ პროექტი ჯერ არ არის დაწყებული, კლიენტი, სოციალური შეფასების პროცესის მეშვეობით, მოახდენს მკვიდრი

⁵ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობა ისაა, რომლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და/ან ტრადიციულ კულტურასა და ცხოვრების წესზე უარყოფითად მოქმედებს საპროექტო საქმიანობა.

მოსახლეობის ყველა თემის იდენტიფიცირებას, რომლებზეც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროექტის როგორც დადებით, ისე უარყოფით პირდაპირ თუ ირიბ ზემოქმედებას და ასევე მათზე მოსალოდნელი სოციალური, კულტურული (კულტურული მემკვიდრეობის ჩათვლით) და გარემოზე ზემოქმედების ბუნებას და ხარისხს. ეს შეფასება მხედველობაში მიიღებს მკვიდრი მოსახლეობის თემების სპეციფიკურ მოწყვლადობას გარემოს და ცხოვრების წესის ცვლილებების მიმართ. კლიენტი დაგეგმავს: (i) უარყოფითი ზემოქმედებიდან თავიდან აცილების ან შერბილების; და (ii) პროექტთან დაკავშირებული რაიმე სარგებლის გაზიარების ღონისძიებებს.

16. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა, პროექტთან დაკავშირებული საქმიანობა ან ოპერაციები უკვე დაწყებულია პროექტთან დაკავშირებით, კლიენტი უზრუნველყოფს ყველა შესაბამის ინფორმაციას და დოკუმენტს (მათ შორის, ისეთს, რომელიც შეეხება კლიენტის წარსულ საქმიანობას) ხელისუფლებისთვის უკვე წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალის ჩათვლით, იმის დემონსტრირებისთვის, რომ ცდილობდა და მოქმედებდა პროექტთან შეხებაში მყოფი მკვიდრი მოსახლეობის მოსაზრებების საფუძველზე, შეძლებისდაგვარადად, PR-ში მოცემული პროცესის მიხედვით..
17. თუ 16-ე პუნქტის მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული, კლიენტი განახორციელებს ობიექტურ და დამოუკიდებელ კვლევას როგორც პროექტის ზემოქმედებისა მკვიდრ მოსახლეობაზე, ისე მათი მოსაზრებებისა პროექტის შესახებ. ეს კვლევა, რომელიც უნდა ჩატარდეს კულტურის თვალსაზრისით სათანადო წესით, მიმოიხილავს არსებულ ეფექტს მკვიდრი მოსახლეობის სიცოცხლესა და საარსებო წყაროზე, კლიენტის ძალისხმევას როგორც უარყოფითი შედეგების შესამცირებლად, ისე პროექტის სარგებლის განსაზღვრის და გაზიარების თვალსაზრისით და მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობის დონეს პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება

18. ყველა ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს მკვიდრ მოსახლეობაზე პროექტის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. როდესაც უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არ არის მიზანშეწონილი, კლიენტს მინიმუმამდე შეამცირებს, შეარბილებს ზემოქმედებას და უზრუნველყოფს კომპენსაციას სამართლიანი, შესაბამისი და პროპორციული წესით.

მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმის მომზადება

19. კლიენტის მიერ შემოთავაზებული ქმედებები, რომლებიც მიმართულია უარყოფითი შედეგების შემცირებაზე, შერბილებაზე და კომპენსაციაზე და სარგებლის განსაზღვრასა და გაზიარებაზე, შემუშავებული იქნება შეხებაში მყოფი მკვიდრი მოსახლეობის ინფორმირებული მონაწილეობით და შევა დროში გაწერილ გეგმაში, როგორიცაა მკვიდრი მოსახლეობის განვითარების

გეგმა (IPDP), ან უფრო ფართო სათემო განვითარების გეგმა ცალკეული კომპონენტებით, რომლებიც ეხება მკვიდრ მოსახლეობას. კლიენტს ეყოლება შესაბამისი და სათანადო ტექნიკური გამოცდილების მქონე კვალიფიციური სოციოლოგები IPDP-ს მოსამზადებლად. IPDP სისტემატურად შეაფასებს პროექტის დიფერენცირებულ ზემოქმედებას გენდერული და სხვადასხვა თაობის თვალსაზრისით და მოიცავს ღონისძიებებს თემებში ჯგუფებზე ამ ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის.

IPDP-ს დეტალიზაციის დონე და ფარგლები იცვლება კონკრეტული პროექტის და საპროექტო საქმიანობის ხასიათის და ფარგლების მიხედვით. ზოგადად, IPDP მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

I სექცია – სოციალური ზემოქმედების შეფასების შეჯამება

- საბაზისო ინფორმაცია: მნიშვნელოვანია, რომ საბაზისო ინფორმაცია უზრუნველყოფდეს როგორც მკვიდრი მოსახლეობის თემის სოციალურ სტრუქტურას, ისე შიდა საკომლო როლების და პასუხისმგებლობის გაგებას. ეს ხელს შეუწყობს განხორციელების სათანადო გეგმის შემუშავებას.
- ძირითადი დასკვნები: ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების ანალიზი.

II სექცია – კონსულტაციები და მონაწილეობა

- კონსულტაციების შედეგი და მომავალი ჩართულობის გეგმა.

განხორციელების გეგმა

- ღონისძიებები უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად და შესარბილებლად და დადებითი ზემოქმედების გასაძლიერებლად.
- ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების სათემო მართვის გაგრძელების უზრუნველსაყოფად.
- ღონისძიებები პროექტიდან სარგებლის მისაღებად შესაძლებლობებში მონაწილეობის მისაღებად.
- გასაჩივრების მექანიზმი.
- ხარჯები, ბიუჯეტი, განრიგი და ორგანიზაციული პასუხისმგებლობა.
- მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება.

ინფორმაციის გავრცელება, შინაარსიანი კონსულტაცია და ინფორმირებული მონაწილეობა

20. კლიენტი ჩამოაყალიბებს მიმდინარე ურთიერთობას მკვიდრი მოსახლეობის პროექტთან შეხებაში მყოფ თემებთან რაც შეიძლება ადრე პროექტის დაგეგმვის პროცესში და პროექტის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში. ჩართვის პროცესი უზრუნველყოფს მათ კონსტრუქციულ კონსულტაციებს, რათა ხელი შეუწყოს ზემოქმედების ბუნების და ხანგრძლივობის საერთო გაგებას; ინფორმირებულ მონაწილეობას იმ საკითხებთან დაკავშირებით,

რომლებიც უშუალოდ მოქმედებს მათზე; შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებებს; განვითარების სარგებლის და შესაძლებლობების გაზიარებას; და განხორციელების საკითხებს.

21. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მკვიდრი მოსახლეობა სათანადოდ ინფორმირებულია კულტურის თვალსაზრისით მისაღები წესით შესაბამისი PR-ის შესახებ და პროექტის გეგმების შესახებ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მათზე, საჭიროების შემთხვევაში, თემის ყველა ნაწილის ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
22. თემის ჩართულობის პროცესი იქნება კულტურულად შესაფერისი, პატივს სცემს მკვიდრი მოსახლეობის კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და მკვიდრი მოსახლეობის მიმართ რისკების და მათზე შესაძლო ზემოქმედების შესაბამისი. კლიენტი უზრუნველყოფს ადეკვატურ დოკუმენტირებულ მტკიცებულებას იმის საჩვენებლად, რომ ეს პროცესი სათანადოდ ხორციელდება.
23. კერძოდ, ჩართულობის პროცესი მოიცავს შემდეგს:
 - მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლობითი ორგანოების (მაგალითად, უზუცესთა საბჭოების ან სოფლის საკრებულოს, სხვათა შორის), მკვიდრი მოსახლეობის ორგანიზაციებს, ისევე, როგორც შეხებაში მყოფი ინდივიდუალური მკვიდრი პირების ჩართულობა
 - ნებისმიერი შესაბამისი ჩვეულებითი კანონის გაგება და პატივისცემა
 - საკმარისი დროის უზრუნველყოფა მკვიდრი მოსახლეობის კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის
 - მკვიდრი მოსახლეობისთვის მათი შეხედულებების, პრობლემების და წინადადებების გამოხატვის ხელშეწყობა მათი არჩევანის ენაზე და გარე მანიპულირების, ჩარევის და დაშინების გარეშე და კულტურულად შესაბამისი წესით
 - მკვიდრი მოსახლეობისთვის ყველა შესაბამისი გეგმისა და პოტენციური სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც გავლენას ახდენს მკვიდრ თემებზე კულტურის თვალსაზრისით სათანადო წესით და ენაზე და ჟარგონის გარეშე
 - თემის მრავალფეროვნების აღიარება, შემდეგის გათვალისწინებით:
 - რომ მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობს შერეულ თემებში არამკვიდრ ადამიანებთან ერთად
 - რომ მკვიდრი თემები მრავალფეროვანია - კონსულტაცია და მონაწილეობა უნდა მოიცავდეს სქესის, თაობათა და გამონაკლის ჯგუფებს
 - სათანადო ინფორმაციის გამჟღავნება EBRD-თვის და EBRD-ს ჩართულობა კონსულტაციების პროცესში, სადაც ეს შესაძლებელია
 - კონსულტაციების პროცესის სრული დოკუმენტირება.⁶

⁶ ეს შეიძლება შეიცავდეს სტენოგრამებს და ჩანაწერებს და/ან აუდიო ჩანაწერებს.

გასაჩივრების მექანიზმი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია

24. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ პროექტისთვის შექმნილი გასაჩივრების მექანიზმი, როგორც ეს აღწერილია 10 PR–ში კულტურული თვალსაზრისით მისაღებია და ხელმისაწვდომი მკვიდრი მოსახლეობისთვის; ამან შეიძლება გამოიწვიოს ნაკლები დამოკიდებულება წერილობითი პროცედურებზე და უფრო მეტად სიტყვიერი მოხსენების არხების გამოყენება.
25. ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სადაც არსებობს ფარული ფაქტორი, რომელიც გამორიცხავს მკვიდრ მოსახლეობას და პირების სარგებლიდან, როგორიცაა დასაქმების შესაძლებლობები, ეთნიკური ნიშნით, პროექტის საქმიანობა მოიცავს ისეთ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, როგორიცაა: (i) მკვიდრი მოსახლეობის ორგანიზაციების და კერძო პირებს ინფორმირება მათი უფლებების შესახებ შრომითი, სოციალური, ფინანსური და ბიზნეს კანონმდებლობის შესაბამისად და რესურსები ხელმისაწვდომი მექანიზმების შესახებ; (ii) სათანადო და ეფექტური ინფორმაციის გავრცელება, ტრენინგი და ზომები სარგებლის და რესურსების მიმართ ბარიერების მოსახსნელად, როგორიცაა კრედიტი, დასაქმება, ბიზნეს მომსახურება, სამედიცინო მომსახურება და საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა შეღავათები, რომელთა გენერირება ან ხელშეწყობა მოხდა პროექტებით; და (iii) მკვიდრი თანამშრომლების, მეწარმეებისა და ბენეფიციარებისთვის იმავე დაცვის მინიჭება, რაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ სხვა პირებს მსგავს სექტორებში და კატეგორიებში, გენდერული საკითხების და საქონლისა და შრომის ბაზრებზე ეთნიკური სეგმენტაციის, ისევე, როგორც ენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით.

კომპენსაცია და სარგებლის გაზიარება

26. მონაწილეობითი მიდგომები შექმნის საფუძველს შემარბილებელი ღონისძიებების, სარგებლის გაზიარების და ტრადიციული ცხოვრების წესის მხარდამჭერი ღონისძიებების განსაზღვრისთვის. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ შეხებაში მყოფ მკვიდრ მოსახლეობას პირდაპირ ეძლევა კომპენსაცია საარსებო წყაროს რაიმე დაკარგვისთვის (როგორც გამოითვლება ამ PR–ის მიხედვით), რომელიც წარმოადგენს საპროექტო საქმიანობის შედეგს და რეაბილიტაციას ადგილობრივ თემთან შეთანხმებით. უფლება კომპენსაციაზე შეიძლება იყოს ცალკე ან ერთობლივი ან ამ ორის კომბინაცია. კომპენსაცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც უარყოფითი ზემოქმედებისთვის ჩვეულებით საარსებო წყაროებზე, ისე უარყოფითი ზემოქმედებისთვის ხელფასზე ან მოგებაზე დამოკიდებული ეკონომიკურ ინიციატივებზე. „ჩვეულებრივი საარსებო წყაროების“ ბუნების ინტერპრეტაცია მოქნილი უნდა იყოს (ისე, რომ მოიცავდეს თანამედროვე ადაპტაციებს, როგორიცაა ეთნო ტურიზმი და საკვების გადამუშავება). კომპენსაციის გაანგარიშებისას, კლიენტები ადეკვატურად გაითვალისწინებენ პროექტის უარყოფით სოციალურ ეფექტს ცხოვრების

ტრადიციულ წესსა და მკვიდრი მოსახლეობის ოჯახურ ცხოვრებაზე. ეს უნდა განხორციელდეს თანამშრომლობით მკვიდრი ხალხების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან. ამ პუნქტის დებულებები აგრეთვე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც კლიენტმა უნდა გადაუხადოს კომპენსაცია ადგილობრივ ან რეგიონულ სახელისუფლებო ორგანოებს.

27. კომპენსაციის და IPDP-ბის განხორციელების მისაღები და სამართლებრივად შესაძლებელი გზები უნდა განიხილონ კონსულტაციებზე მკვიდრ მოსახლეობასთან. ამ კონსულტაციების საფუძველზე უნდა შემუშავდეს და შეთანხმდეს კომპენსაციის და/ან რესურსების გადაცემის მექანიზმი. შეიძლება ამის უზრუნველყოფა საჭირო იყოს კოლექტიურ საფუძველზე, სადაც მიწას და რესურსებს ერთობლივად ფლობენ. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყო ხელშეწყობა/მხარდაჭერა ისე, რომ მართვის შესაბამისი სისტემების შექმნის საშუალება იყოს.
28. კლიენტი, კონსტრუქციული კონსულტაციების პროცესის და ინფორმირებული მონაწილეობის მეშვეობით, ზემოთ მოყვანილი 20 – 23 პუნქტების მიხედვით უზრუნველყოფს შეხებაში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის თემებს განვითარებიდან კულტურულად შესაფერისი სარგებლის შესაძლებლობით. ასეთი შესაძლებლობები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის ზემოქმედების ხარისხს; მიზანია მათი ცხოვრების სტანდარტის და საარსებო წყაროების სათანადო წესით გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსების გრძელვადიანი მდგრადობის ხელშეწყობა, რომლებზეც ისინი შეიძლება იყვნენ დამოკიდებული. კლიენტი დოკუმენტურად დაასაბუთებს განვითარების გამოვლენილ სარგებელს, რომელიც შეესაბამება ამ PR-ის მოთხოვნებს, და დროულად უზრუნველყოფს მათ. ძლიერი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს ჩვეულებითი საარსებო საქმიანობის ჩანაცვლებას, მათ შორის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა და მისი თანამედროვე წარმოებულები, როგორცაა ხელნაკეთი ნივთები და ეთნო ტურიზმი.

სპეციალური მოთხოვნები

29. ვინაიდან მკვიდრი მოსახლეობა შეიძლება განსაკუთრებით მოწყვლადი იყო პროექტის გარემოებებში, რომლებიც აღწერილია ქვემოთ, ზემოთ მოყვანილი ზოგადი მოთხოვნების გარდა ასევე ვრცელდება შემდეგი სპეციალური მოთხოვნები. საერთო ამ მოთხოვნებისთვის ისაა, რომ კლიენტმა უნდა გააკეთოს შემდეგი:
- მკვიდრ მოსახლეობასთან კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებში შესვლა
 - მკვიდრი მოსახლეობის ინფორმირებული და ინკლუზიური მონაწილეობის უზრუნველყოფა
 - მკვიდრი მოსახლეობის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის (FPIC)⁷ მიღება ქვემოთ (პუნქტებში 30-35) აღწერილი საქმიანობის დაწყებამდე.

⁷ არ არსებობს FPIC-ის საყოველთაოდ მიღებული განმარტება; თუმცა, ამ PR-ის მიზნებისთვის, თანხმობა ეხება პროცესს, რომლის მეშვეობით მკვიდრი მოსახლეობის ზემოქმედების ქვეშ მყოფი

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს რომელიმეს შემდეგი გარემოებებიდან, კლიენტი მიიწვევს კვალიფიციურ დამოუკიდებელ სოციოლოგებს ამ PR-ის 30-35 პუნქტებში აღწერილი საქმიანობის ჩატარების და დოკუმენტირების ხელშესაწყობად.

ზემოქმედება ტრადიციული ან ჩვეულებით მიწებზე, რომლებიც გამოიყენება

30. მკვიდრი მოსახლეობა ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ჩვეულებით მიწებთან და მის ტყესთან, წყალთან, ველურ ბუნებასთან და სხვა ბუნებრივ რესურსებთან და, ამიტომ, განსაკუთრებული მოსაზრებები ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტი გავლენას ახდენს ასეთი კავშირებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწები შეიძლება არ იყოს კანონიერ მფლობელობაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ მიწების გამოყენება, სეზონური ან ციკლური გამოყენების ჩათვლით, მკვიდრი მოსახლეობის თემების მიერ, საარსებო წყაროს სახით, კულტურული, ცერემონიული, ან სასულიერო მიზნებისათვის, რაც განსაზღვრავს მათ იდენტობას და თემს, ხშირად შეიძლება დასაბუთებული და დოკუმენტირებული იყოს.
31. თუ კლიენტი სთავაზობს პროექტის განთავსებას, ან ბუნებრივი რესურსების კომერციულად განვითარებას გამოყენებული ჩვეულებრივ მიწების ფარგლებში და შეიძლება მოსალოდნელი იყოს და უარყოფითი ზემოქმედება⁸ საარსებო წყაროებზე, ან კულტურულ, ცერემონიულ, ან სასულიერო გამოყენებაზე, რაც განსაზღვრავს მკვიდრი მოსახლეობის იდენტობას და თემს, კლიენტმა პატივი უნდა სცეს მათ გამოყენებას შემდეგნაირად:
- კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებში შესვლა შეხებაში მყოფ მკვიდრი მოსახლეობის თემებთან და მოლაპარაკებების შედეგად მათი თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული მონაწილეობის და თანხმობის დოკუმენტურად დადასტურება
 - მათი ძალისხმევის დოკუმენტურად დადასტურება მკვიდრი მოსახლეობის მიერ დაკავებული და/ან მათ მფლობელობაში მყოფი მიწის გამოყენების თავიდან აცილების ან მიწის ზომის შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც შემოთავაზებულია პროექტისთვის.
 - მკვიდრი მოსახლეობის მიერ მიწის გამოყენების დოკუმენტირება ექსპერტების მიერ შეხებაში მყოფ მკვიდრი მოსახლეობის თემებთან თანამშრომლობით, მიწასთან დაკავშირებით მკვიდრი მოსახლეობის რაიმე სხვა პრეტენზიისთვის ზიანის მიყენების გარეშე

თემი მიიღებს გადაწყვეტილებას მათი კულტურული ტრადიციების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაბამისად.

⁸ უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზემოქმედებით, რომელიც გამოწვეულია აქტივების და რესურსების დაკარგვით, მიწის გამოყენების ან ტრადიციული ცხოვრების წესთან დაკავშირებული საქმიანობის შეზღუდვით, რაც პროექტის განხორციელების შედეგს წარმოადგენს.

- შეხებაში მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ ამ მიწებთან მიმართებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ეროვნული კანონის ჩათვლით, რომელიც აღიარებს ჩვეულებით უფლებებს ან გამოყენებებს
- შეხებაში მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემებისთვის, როგორც მინიმუმ, სამართლიანი კომპენსაციის და სათანადო პროცედურის შეთავაზება მიწასთან დაკავშირებით, მათი მიწის კომერციული განვითარების შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, კულტურულად შესაფერისი განვითარების შესაძლებლობებთან ერთად; სადაც შესაძლებელია შეთავაზებული იქნება მიწით კომპენსაცია ან შესაბამისი კომპენსაცია ფულადი კომპენსაციის ნაცვლად
- მკვიდრი მოსახლეობის თანხმობით, კომპენსაციის სახით, მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე კოლექტიური საკუთრების უფლების შესთავაზების უზრუნველყოფა, თუ კანონით არ არის აკრძალული
- საკმარისი დროის მიცემა შეხებაში მყოფი მკვიდრი თემებისთვის შიდა შეთანხმების მისაღწევად კლიენტის მიერ მისი ნების პირდაპირ ან არა პირდაპირ თავს მოხვევის გარეშე
- ისეთი ფუნქციების გამოყენება, როგორიცაა სახალხო დამცველი და/ან სხვა მსგავსი საჯარო დაწესებულებები შესაბამისი ეროვნული სისტემის ფარგლებში რათა ხელი შეუწყოს თემის თანხმობას პროექტზე და/ან კლიენტის მიერ მიწის შემოთავაზებულ გამოყენებაზე და შერბილების ღონისძიებების პაკეტზე
- ბუნებრივ რესურსებზე უწყვეტი წვდომის უზრუნველყოფა, რესურსების ეკვივალენტური ჩანაცვლების იდენტიფიკაცია ან, როგორც საბოლოო ვარიანტი, კომპენსაციის უზრუნველყოფა
- სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების უზრუნველყოფა, რომელიც მიღებულია პროექტის ფარგლებში რესურსების გამოყენებიდან, რომლებიც შეხებაში მყოფი მკვიდრი თემების საარსებო წყაროების და იდენტურობის განუყოფელი ნაწილია.
- შეხებაში მყოფი მკვიდრი თემებისთვის წვდომის, გამოყენებისა და ტრანზიტის უზრუნველყოფა მიწაზე, რომელსაც ავითარებს კლიენტი, ჯანდაცვის, დაცულობის და უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მოსაზრებებიდან გამომდინარე.

32. პროექტის განხორციელებისას, კლიენტი დაუყოვნებლივ მიაპყრობს EBRD-ის ყურადღებას ნებისმიერ კონფლიქტებზე მკვიდრ მოსახლეობასა და კლიენტს შორის, რომლებიც გადაუჭრელი რჩება, მიუხედავად პროექტის გასაჩივრების მექანიზმის გავლისა; კლიენტს ასევე შეაფასებს ფაქტებს და შეიმუშავებს შესაბამის მიდგომას ამ საკითხის მოგვარების მიმართ.

მკვიდრი მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა ტრადიციული თუ ჩვეულებითი მიწებიდან

33. კლიენტი შეისწავლის შესაძლებელ ალტერნატიულ პროექტებს, რათა თავიდან აიცილოს მკვიდრი მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა მათი

კომუნალური ტრადიციული ან ჩვეულებითი მიწებიდან. როდესაც გადაადგილება გარდაუვალია, კლიენტს არ განახორციელოს ასეთი ადგილმონაცვლეობა ამისთვის კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების შედეგად შეხებაში მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემებისგან FPIC მოპოვების გარეშე. ამ მოლაპარაკებებისას უნდა გაითვალისწინონ მკვიდრი მოსახლეობის კანონები, ტრადიციები, ადათები და მიწათსარგებლობა და ეს უნდა მოიცავდეს მათ სრულფასოვან მონაწილეობას. მკვიდრი მოსახლეობის ნებისმიერი ადგილმონაცვლეობა შესაბამისობაში იქნება განსახლების დაგეგმვასა და PR 5 მოთხოვნათა განხორციელებასთან. მკვიდრმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს სამართლიანი და თანაბარი კომპენსაცია მიწების, ტერიტორიების და რესურსებისთვის, რომლებსაც ისინი ტრადიციულად ფლობდნენ, ან სხვაგვარად იკავებდნენ და იყენებდნენ, და რომელთა კონფისკაციას, ჩამორთმევას, დაკავებას, გამოყენებას ან დაზიანებას ჰქონდა ადგილი პროექტის შედეგად მათი FPIC გარეშე.

34. სადაც შესაძლებელია, გადაადგილებულ მკვიდრ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება, დაუბრუნდეს მათი ტრადიციულ ან ჩვეულებით მიწებს, თუ მათი ადგილმონაცვლეობის მიზეზი აღარ არსებობს და მიწა სრულად უნდა იყოს აღდგენილი.

კულტურული მემკვიდრეობა

35. თუ პროექტი სთავაზობს მკვიდრი მოსახლეობის კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებას, კლიენტმა უნდა აცნობოს მკვიდრ მოსახლეობას შემდეგის შესახებ: (i) მათი უფლებები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; (ii) შემოთავაზებული კომერციული განვითარების ფარგლები და ბუნება; და (iii) ამგვარი განვითარების პოტენციური შედეგები. კლიენტი არ გააგრძელებს ასეთ კომერციალიზაციას იმ შემთხვევების გარდა, როდესაც: (i) შედის კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებში შეხებაში მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემებთან; (ii) დოკუმენტურად ასაბუთებს მათ ინფორმირებულ მონაწილეობას და მათ თავისუფალ, წინასწარ ინფორმირებულ თანხმობას ასეთ საქმიანობაზე; და (iii) უზრუნველყოფს მათ ასეთი ცოდნის, ინოვაციის ან პრაქტიკის კომერციალიზაციისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილებით, რომელიც შეესაბამება მათი ადათებსა და ტრადიციებს.

EBRD საქმიანობისადმი მოთხოვნა 8:

კულტურული მემკვიდრეობა

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას არსებული და მომავალი თაობებისთვის. მისი მიზანია, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა, და უხელმძღვანელოს კლიენტებს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შერბილებაში ბიზნეს საქმიანობის მსვლელობაში. კლიენტებისგან მოელიან უსაფრთხოების ზომების დაცვას კულტურული მემკვიდრეობის მართვის და მდგრადი გამოყენების მიდგომით.
2. როგორც მატერიალური ისე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან აქტივებს წარმოადგენს ის და კულტურული თვითმყოფადობისა და პრაქტიკის (ტრადიციული უნარების, ცოდნის, რწმენის და/ან მცირე დიალექტების და ენების ჩათვლით) ერთიანობის განუყოფელი ნაწილია.
3. დაცვისა და კონსერვაციის ამგვარი მიზნების შესრულებაში ეს PR ხელმძღვანელობს მოქმედი საერთაშორისო კონვენციებით და სხვა დოკუმენტებით. ის ასევე მიიჩნევს, რომ აუცილებელია ყველა მხარემ დაიცვას კანონები და წესები, რომლებიც ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც შეიძლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცეს და ვალდებულებების შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიხედვით, რომლებიც რატიფიცირებულია მიმღები ქვეყნების მიერ. ეს კანონები შეიძლება ეხებოდეს კულტურულ მემკვიდრეობას ან სიძველეებს, დაგეგმვისა ან მშენებლობის თანხმობას, ნაკრძალებს, დაცულ ტერიტორიებს, და სხვა კანონები და დებულებები, რომლებიც არეგულირებს აშენებულ ისტორიულ გარემოს, ან კანონები, რომლებიც ეხება მკვიდრი მოსახლეობის კულტურების დაცვას. დეტალური მოთხოვნები მკვიდრი მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებით მოცემულია 7-ე PR-ში.

ამოცანები

4. ამ PR-ის ამოცანებია:
 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და კონსერვაციის მხარდაჭერა
 - შერბილების იერარქიის მიდგომის მიღება კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად პროექტის უარყოფითი ზემოქმედებისგან
 - კულტურული მემკვიდრეობის ბიზნეს საქმიანობაში გამოყენებისგან მიღებული სარგებლის თანაბარი განაწილების ხელშეწყობა
 - კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ცოდნის და მისი აღიარების ხელშეწყობა, სადაც შესაძლებელია.

გამოყენების სფერო

5. კლიენტი, მისი ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების პროცესის ფარგლებში, გამოავლენს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს და მათ შესრულებას, როგორც კლიენტის საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემის (ESMS) და/ან პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) განუყოფელი ნაწილი. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა მოცემულია 1 PR-ში. გარდა ამისა, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს ეს PR პროექტის განხორციელების დროს, თუ პროექტი ზემოქმედებას ახდენს ან შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კულტურულ მემკვიდრეობაზე (მატერიალური და არამატერიალური), რომელიც მანამდე არ იყო განსაზღვრული.
6. ამ PR-ის მიზნებისათვის, ტერმინი კულტურული მემკვიდრეობა განისაზღვრება, როგორც რესურსების ჯგუფი, რომელიც წარსულიდან მემკვიდრეობით არის მიღებული, და რომელიც ხალხის მიერ განისაზღვრება, დამოუკიდებლად საკუთრებისგან, როგორც მათი ფასეულობების, რწმენის, ცოდნისა და ტრადიციების ანარეკლი და გამოხატვა. იგი მოიცავს მატერიალურ (ფიზიკურ) და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც აღიარებულია ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ან საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.
- ფიზიკური კულტურული მემკვიდრეობა გულისხმობს უძრავ ან მოძრავ ობიექტებს, ადგილებს, ნაგებობათა ჯგუფებს, ასევე, მათთან დაკავშირებულ კულტურულ ან წმინდა ადგილებს და ბუნებრივი მახასიათებლები და ლანდშაფტები, რომლებსაც გააჩნია არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული, რელიგიური, ესთეტიური ან სხვა კულტურული მნიშვნელობა.
 - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ეხება პრაქტიკას, წარმოდგენას, გამოხატვას, ცოდნას და უნარებს, რომლებსაც საზოგადოებები, ჯგუფები და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირები, აღიარებენ, როგორც მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს და რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას.
7. აღიარებს რა, რომ ადგილები, ობიექტები ან კულტურული ტრადიციები, რომლებიც წარმოადგენს ღირებულებას ან მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, შეიძლება აღმოჩენილი იქნეს მოულოდნელ ადგილებში, პროექტი ექვემდებარება ამ PR-ის დებულებებს, თუ იგი:
- მოიცავს მნიშვნელოვან გათხრებს, დანგრევას, მიწის გადაადგილებას, დატბორვას ან ფიზიკური გარემოს სხვა ცვლილებებს
 - მდებარეობს ოპერაციების ჩატარების ქვეყნის მიერ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე
 - შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება ჰქონდეს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ფორმებზე, მკვიდრი მოსახლეობის ჩათვლით.

მოთხოვნები

შეფასების პროცესი

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სკრინინგი

8. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების საწყის ეტაპზე კლიენტი გამოავლენს, იქნება თუ არა რაიმე კულტურული მემკვიდრეობა, სავარაუდოდ, პროექტთან შეხებაში და შეაფასებს შემთხვევითი აღმოჩენის შესაძლებლობას. ამ დროს კლიენტი კონსულტაციებს გაივლის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივი თემებსა და სხვა დაინტერესებული პირებთან, შესაბამისად. კულტურული რესურსების კვლევის ინტენსივობა ადეკვატური უნდა იყოს პროექტის პოტენციური ზემოქმედების და საკითხების დასახასიათებლად და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების პრობლემების ასახვად.

ზემოქმედების თავიდან აცილება

9. კლიენტი, სკრინინგის პროცესის შედეგების საფუძველზე, შეარჩევს ადგილმდებარეობას და შეიმუშავებს პროექტებს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მნიშვნელოვანი ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე. სადაც კლიენტის სკრინინგის პროცესი გამოავლენს პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილებას პროექტის შემუშავების და ადგილის შერჩევის ეტაპებზე.

ზემოქმედების შეფასება, რომელიც არ შეიძლება იქნეს აცილებული

10. სადაც ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, კლიენტი, წინასწარი სკრინინგის შედეგების საფუძველზე კისრულობს კვლევების და კონსულტაციების ვალდებულებას შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში საჭირო ცვლილების შესატანად. ამ კვლევების და კონსულტაციების ფარგლები განისაზღვრება თითოეული შემთხვევის მიხედვით, კონსულტაციის საფუძველზე ეროვნულ ან ადგილობრივ მარეგულირებელ ორგანოებთან, რომლებსაც ევალებათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. კვლევებს ჩაატარებენ კულტურული მემკვიდრეობის დარგის კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები, საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ნაწილის სახით ან ცალკე.
11. კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება და შერბილება ჩატარდება ეროვნული და/ან ადგილობრივი კანონების, შესაბამისი დებულებების, დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმების და წესების, საერთაშორისო კანონების მიხედვით ეროვნული ვალდებულებების და GIP შესაბამისად.

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების მართვა

12. კლიენტს მოეთხოვება შეიმუშაოს შესაბამისი ზომები კულტურულ მემკვიდრეობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად და შესარბილებლად. შემარბილებელი ღონისძიებები პასუხობს სავსე დათვალიერებების შედეგებს, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის

საექსპერტო შეფასებას, ეროვნული კანონმდებლობას და შესაბამის საერთაშორისო კონვენციებს და კონსულტაციების შედეგებს შეხებაში მყოფ თემებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. შერბილების ასეთი ღონისძიებები უნდა შედიოდეს კლიენტის საერთო ESMS-ში და პროექტის ESMP-ში, ან კულტურული მემკვიდრეობის მართვის სპეციფიკურ გეგმაში, რომელიც ასევე მოიცავს განხორციელების ვადებს და რესურსების საჭიროების წინასწარ შეფასებას თითოეულ შემარბილებელ ღონისძიებაზე. კლიენტი ასევე უზრუნველყოფს მომზადებული და კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობას შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ზედამხედველობისთვის, და რომ ნებისმიერ მესამე მხარეს, როგორცაა პროექტზე მომუშავე კონტრაქტორები, აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება და ხორციელდება მათი მართვა და მონიტორინგი PR 1 შესაბამისად.

13. სადაც პროექტის ადგილმდებარეობა ასოცირდება კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედებასთან ან ხელს უშლის ადრე ხელმისაწვდომი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ხელმისაწვდომობას, კლიენტი შეაფასებს ადგილის გამოყენებას შეხებაში მყოფი თემების მიერ. თუ ეს ადგილი გამოიყენებოდა შეხებაში მყოფი თემების მიერ ცოცხალი მეხსიერების პერიოდში, გრძელვადიანი კულტურული მიზნებისთვის, კლიენტი, კონსულტაციების საფუძველზე, დაუშვებს კულტურის ობიექტის მუდმივი წვდომას ან უზრუნველყოფს ალტერნატიულ მისასვლელ მარშრუტს, ჯანდაცვის, დაცულობის და უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მოსაზრებებიდან გამომდინარე.

პროცედურა შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში

14. კლიენტი უზრუნველყოფს დებულებებს, რომლებიც მართავს შემთხვევით აღმოჩენას, რაც განისაზღვრება, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მოულოდნელად ნაპოვნი პროექტის განხორციელების დროს. ასეთი დებულებები უნდა მოიცავდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების შეტყობინებას ნაპოვნი საგნების და ობიექტების შესახებ; პროექტის პერსონალის გაფრთხილებას შემთხვევითი აღმოჩენების შესაძლებლობის შესახებ; და აღმოჩენის ადგილის დაცვა რაიმე შემდგომი დარღვევის ან განადგურებისგან. კლიენტი არ შეეხება რაიმე შემთხვევით აღმოჩენას დანიშნული და კვალიფიციური სპეციალისტის მიერ შეფასებამდე და ეროვნული კანონმდებლობისა და ამ PR-ის შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრამდე.

კონსულტაციები შეხებაში მყოფ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

15. თუ პროექტმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კულტურულ მემკვიდრეობაზე, კლიენტი ჩაატარებს კონსულტაციებს შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებთან მასპინძელ ქვეყანაში, რომლებიც, ცოცხალი მეხსიერების ფარგლებში, იყენებენ ან იყენებდნენ კულტურულ მემკვიდრეობას ხანგრძლივი კულტურული მიზნებისათვის, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის დასადგენად და კლიენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასეთი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ შეხებაში მყოფი თემების შეხედულებების ჩასართავად. კლიენტი გამჭვირვალედ და შესაბამისი

ენით მიაწვდის ინფორმაციას შეხებაში მყოფ თემებს პროექტის ფარგლების, ადგილმდებარეობისა და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციას და ნებისმიერი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ზემოქმედებას კულტურულ მემკვიდრეობაზე. ასეთი კონსულტაცია უნდა იცავდეს 10-ე PR-ის მოთხოვნებს და შეიძლება იყოს პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უფრო ფართო კონსულტაციების პროცესის ნაწილი. კონსულტაცია ასევე მოიცავს სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებსაც ევალება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ექსპერტები კულტურული მემკვიდრეობის დარგში და არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობაზე სათანადოდ იქნება შერბილებული შეხებაში მყოფი თემების თავწინისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული მონაწილეობით.

პროექტის მიერ კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება

16. თუ პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი თემების კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის, რომლებიც მისდევნ ცხოვრების ტრადიციულ სტილს, კომერციული მიზნებისთვის გამოყენებას, კლიენტმა უნდა აცნობოს ამ თემებს შემდეგის შესახებ: (i) მათი უფლებები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; (ii) შემოთავაზებული კომერციული განვითარების ფარგლები და ბუნება; და (iii) ამგვარი განვითარების პოტენციური შედეგები. კლიენტის გააგრძელებს ასეთ კომერციალიზაციას მხოლოდ მაშინ, როდესაც: (i) შედის კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებში შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებთან, მისდევნ ცხოვრების ტრადიციულ სტილს; (ii) დოკუმენტურად ასაბუთებს მათ ინფორმირებულ მონაწილეობას და მოლაპარაკებების წარმატებულ შედეგს; და (iii) უზრუნველყოფს შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებს ასეთი ცოდნის, ინოვაციის ან პრაქტიკის კომერციალიზაციისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილებით, რომელიც შეესაბამება მათი ადათებსა და ტრადიციებს. სადაც პროექტი სთავაზობს მკვიდრი მოსახლეობის კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის გამოყენებას, ვრცელდება 7-ე PR-ის მოთხოვნები.

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 9:

ფინანსური შუამავლები

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ ფინანსური შუამავლები (FI) ძირითადად ინსტრუმენტს წარმოადგენენ მდგრადი ფინანსური ბაზრების ხელშესაწყობად და უზრუნველყოფენ საშუალებას დაფინანსების მისამართად მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა (SME) სექტორში. ასეთი შუამავლები მოიცავს ფინანსური მომსახურების სხვადასხვა პროვაიდერებს, მათ შორის, კერძო საინვესტიციო ფონდებს, ბანკებს, სალიზინგო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს და საპენსიო ფონდებს. ფინანსური შუამავლები ჩართულნი არიან საქმიანობის ფართო სპექტრში, როგორცაა მიკროსაფინანსო, SME დაკრედიტება, ვაჭრობის დაფინანსება, მასშტაბური ინფრასტრუქტურული დაფინანსება, საშუალო და გრძელვადიანი კორპორაციული ან პროექტების დაფინანსება, საბინაო დაფინანსება.
2. საშუამავლო დაფინანსება ნიშნავს, რომ შუამავლები აიღებენ დელეგირებულ პასუხისმგებლობას გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაზე, რისკების მართვაზე და მონიტორინგზე, ისევე როგორც საერთო პორტფელის მართვაზე. დელეგირებამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, რაც დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, როგორცაა უზრუნველყოფილი დაფინანსების ტიპი. ფინანსური შუამავლების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შეფასება და მონიტორინგი განხორციელდება მუდმივად მთელი პროექტის განმავლობაში.

ამოცანები

3. ამ PR-ის ამოცანებია:
 - ფინანსური შუამავლებისთვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის საშუალების უზრუნველყოფა და მათ კლიენტებს შორის კარგი გარემოსდაცვითი და სოციალური ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობა
 - პრაქტიკული გზის შექმნა, რომლითაც ფინანსური შუამავლები შეძლებენ ხელი შეუწყონ და მიაღწიონ ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით მდგრად ბიზნეს პრაქტიკას, რომელიც შეესაბამება ამ PR-ს, მათი ინვესტიციების მეშვეობით, კომერციული საფინანსო სექტორში მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად
 - ფინანსურ შუამავლებში კარგი გარემოსდაცვითი და ადამიანური რესურსების მართვის ხელშეწყობა.

გამოყენების სფერო

4. ამ PR-ის მიზნებისთვის, სიტყვა „პროექტი“ ეხება ბიზნეს საქმიანობების განსაზღვრულ ერთობლიობას, რომლისთვისაც ცდილობენ EBRD-ის დაფინანსების მოპოვებას, ან სადაც დაფინანსება უკვე მიღებულია, ბიზნეს

საქმიანობების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრულია დაფინანსების ხელშეკრულებებში და დამტკიცებულია EBRD-ის დირექტორთა საბჭოს მიერ, ხოლო „ქვეპროექტი“ ნიშნავს ფინანსური შუამავლების მიერ დაფინანსებულ პროექტებს.

5. თუ პროექტი მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრული ბიზნეს საქმიანობის ერთობლიობას (მაგალითად, საკრედიტო ხაზი ან სხვა მიზნობრივი დაფინანსების საშუალება), ამ PR-ის სპეციფიკური მოთხოვნები გამოიყენება ყველა ქვეპროექტისთვის.
6. თუ პროექტი მოიცავს ზოგად კორპორაციულ ფინანსებს, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს კონკრეტული ქვეპროექტების დაფინანსებას, როგორიცაა სააქციო კაპიტალი, შუალედური დაფინანსება ან დაქვემდებარებული ვალი, ამ PR-ის მოთხოვნები გამოიყენება FI ყველა მომავალი ქვეპროექტისთვის.
7. თუ FI პროექტს, სავარაუდოდ, ექნება მინიმალური ან არ ექნება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, როგორიცაა სამომხმარებლო სესხები და სავალუტო-საპროცენტო სვოპები, FI-ს არ სჭირდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის რაიმე პროცედურის გამოყენება.
8. ფინანსურ შუამავალს შეიძლება მოეთხოვებოდეს დამატებითი ან ალტერნატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების მიღება და განხორციელება, რაც დამოკიდებულია FI ბუნებაზე და მის ბიზნეს საქმიანობაზე, პორტფელზე და საქმიანობის განხორციელების ქვეყანაზე.

ორგანიზაციული შესაძლებლობები ფინანსური შუამავლის ფარგლებში

9. ფინანსური შუამავალი შეინარჩუნებს საკადრო პოლიტიკას, მართვის სისტემებს და პრაქტიკას 2 PR-ის შესაბამისად: 4-ე PR-ის შრომისა და სამუშაო პირობები და შესაბამისი პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, და ამის შეტყობინება მისი თანამშრომლებისთვის. ფინანსური შუამავალი უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის.
10. ფინანსური შუამავალი დანიშნავს FI-ის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელს, რომელსაც ექნება საერთო პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და სოციალური საკითხებზე, ამ PR-ის, PR 2 და PR 4 (როგორც მითითებულია ზემოთ) განხორციელების ჩათვლით. უმაღლესი მენეჯმენტის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა უნდა: (i) დანიშნოს პერსონალის წევრი პასუხისმგებლად გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების ყოველდღიურ განხორციელებაზე და უზრუნველყოს განხორციელების მხარდაჭერა; (ii) გამოავლინოს გარემოსდაცვითი და სოციალური ტრენინგების საჭიროებები და საჭირო ბიუჯეტი; და (iii) უზრუნველყოს, რომ ხელმისაწვდომია ადეკვატური ტექნიკური გამოცდილება, შიდა ან გარე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე

პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მქონე ქვეპროექტების შეფასებისა და მართვისთვის.

მოთხოვნები

11. ფინანსური შუამავალი შექმნის მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემას (ESMS), გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების¹ ჩათვლით, რომლებიც შეესაბამება ფინანსური შუამავლის ბუნებას, მის ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დონეს და პროექტების და ქვეპროექტების ტიპს.
12. სადაც ფინანსურ შუამავალს შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ მას უკვე აქვს ESMS, ის ადეკვატურ დოკუმენტურ მტკიცებულებას უზრუნველყოფს ასეთი ESMS-თვის.
13. გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურები უნდა შეიცავდეს რისკის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს, საჭიროების შემთხვევაში, შემდეგისთვის:
 - ყველა კლიენტის / ქვეპროექტის სკრინინგი ფინანსური შუამავლის გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების ჩამონათვალის მიხედვით, რომელიც ჩართულია ESP-ში, როგორც დანართი 1
 - შემოთავაზებული ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაცია (დაბალი / საშუალო / მაღალი) ფინანსური შუამავლებისთვის EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიზაციის ჩამონათვალის შესაბამისად
 - თავისი შეფასების მეშვეობით, სუბპროექტების სტრუქტურირების უზრუნველყოფა ისე, რომ შესრულდეს ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმების განახორციელების მოთხოვნა კლიენტების მიმართ
 - უზრუნველყოფა, რომ დაფინანსებული სუბპროექტები აკმაყოფილებს EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში (ESP) 2 დანართის სახით ჩართული A კატეგორიის პროექტების მისათითებელი ჩამონათვალის კრიტერიუმებს, ასეთი ქვეპროექტები უნდა აკმაყოფილებდეს 1–8 და 10 PR-ებს
 - ქვეპროექტებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი და სოციალური ჩანაწერების რეგულარულად წარმოება და განახლება
 - ქვეპროექტების მონიტორინგი გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და შრომით ეროვნულ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

¹ ფინანსური შუამავლების ხელშესაწყობად ESMS და პროცედურების პრაქტიკაში გამოყენებაში, EBRD-მ შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს სხვადასხვა სახის ფინანსური შუამავლების და ფინანსური სამსახურებისთვის. ფინანსური შუამავლები, რომლებსაც არა აქვთ ექვივალენტური პროცედურები, ვალდებული არიან გამოიყენონ სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილები შესაბამის ქვეპროექტებთან მიმართებაში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

14. ფინანსური შუამავალი შექმნის სისტემას გარე კომუნიკაციისთვის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე, მაგალითად, გამოყოფს საკონტაქტო პირს საჯარო გამოკითხვებისთვის, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების ჩათვლით. ფინანსური შუამავალი დროულად მოახდენს რეაგირებას ასეთ გამოკითხვებსა და პრობლემებზე. ფინანსურ შუამავლებს ასევე ურჩევენ გამოაქვეყნონ მათი კორპორაციული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა ან მათი ESMS-ის შეჯამება მათ ვებ-საიტზე, თუ შესაძლებელია. სადაც შესაძლებელია, ფინანსური შუამავლები ჩამოთვლიან მათ ვებ საიტზე ბმულებს ნებისმიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგშ) ანგარიშებზე A კატეგორიის ქვეპროექტებისთვის, რომლებსაც ისინი აფინანსებენ.

EBRD-ის მიმართ ანგარიშგება

15. ფინანსური შუამავალი წარუდგენს EBRD-ს წლიურ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებს თავისი ESMS-ის, ამ PR-ის, 2 PR-ის, 4 PR-ის პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების, ისევე როგორც მისი ქვეპროექტების პორტფელის მიხედვით გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის განხორციელების შესახებ.

მოხალისეობრივი ინიციატივები

16. ფინანსურ შუამავლებს ურჩევენ დაიცვან GIP გარემოსდაცვით და სოციალურ მართვაში მთელ მათ საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციებში, მიუხედავად იმისა, არის ეს თუ არა პროექტის ნაწილი. კერძოდ, ფინანსურ შუამავლებს ურჩევენ:

- განაგრძონ ESMS-ის და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურების გამოყენება ყველა მათი საქმიანობაზე, მათ შორის, იმაზე, რომელზეც ეს PR არ ვრცელდება
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობების იდენტიფიცირება ფინანსური პროდუქტების შემუშავებისთვის მაღალი გარემოსდაცვითი და / ან სოციალური შედეგებით (მაგალითად, ფინანსები ინვესტიციებისთვის ენერგოეფექტურობაში, განახლება ენერგიაში ან პრო-ბიომრავალფეროვნების ბიზნესში, მეწარმე ქალებზე ორიენტირებული პროდუქტები, მიკრომეწარმეების დაკრედიტების წვდომა).

ფინანსურ შუამავლებს ასევე ურჩევენ მხედველობაში მიიღონ შეერთება შესაბამის არსებულ საერთაშორისო ინიციატივებთან, რომლებიც ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას ფინანსურ სექტორში, როგორიცაა „ეკვატორის პრინციპები“, „UNEP ფინანსური ინიციატივა“ და „პასუხისმგებელი საინვესტიციის პრინციპები“.

EBRD სამოქმედო მოთხოვნა 10:

ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

შესავალი

1. ეს სამოქმედო მოთხოვნა (PR) აღიარებს კლიენტს, მის თანამშრომლებს, პროექტთან პირდაპირი შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის (GIP) და კორპორაციული მოქალაქეობის ძირითად ელემენტს.¹ ასეთი ჩართულობა ასევე წარმოადგენს პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის გაუმჯობესების გზას. კერძოდ, პროექტის ხასიათის და მასშტაბის შესაბამისი ეფექტური სათემო ჩართულობა ხელს უწყობს ჯანსაღ და მდგრად გარემოსდაცვით და სოციალური საქმიანობას და შეიძლება გამოიწვიოს გაუმჯობესებული ფინანსური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგები, საზოგადოებრივი სარგებლის ზრდასთან ერთად. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ძლიერი, კონსტრუქციული და საპასუხისმგებლო ურთიერთობების მშენებლობისთვის, რომლებიც აუცილებელია პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების და საკითხების წარმატებული მართვისთვის. იმისთვის, რომ ეფექტური იყოს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უნდა დაიწყოს პროექტის ციკლის ადრეულ ეტაპზე.
2. ეს PR განსაზღვრავს GIP-ს, რომელიც ეხება დაინტერესებული მხარეების მიმდინარე ჩართულობას, როგორც მიმდინარე პროცესს, რომელიც მოიცავს: (i) შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას; (ii) კონსტრუქციულ კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან; და (iii) ეფექტურ პროცედურას ან მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ კომენტარების გაკეთება ან საჩივრების წამოჭრა. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესი უნდა დაიწყოს პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და გაგრძელდეს პროექტის მთელი ვადის განმავლობაში. ეს არის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებისა და საკითხების შეფასების, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ეს PR უნდა წაიკითხონ ერთობლიობაში 1 PR-თან და 2 PR-ის მოთხოვნებთან თანამშრომლებთან ჩართულობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ პროექტები მოიცავს იძულებითი განსახლებას და/ან ეკონომიკური გადაადგილებას, რაც გავლენას ახდენს მკვიდრ მოსახლეობაზე ან რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს კულტურულ მემკვიდრეობაზე, კლიენტი ასევე გამოიყენებს განხილვისა და კონსულტაციების სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია PR-ში 5, PR-ში 7 და PR-ში 8.

¹ საქმიანობისადმი ეს მოთხოვნა ხელმძღვანელობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის, გარემოს დაცვის საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციის სულით, პრინციპებით და საჯაროობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საბოლოო მიზნებით.

ამოცანები

3. ამ PR-ის ამოცანებია:

- გამოიკვეთოს სისტემური მიდგომა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმართ, რაც დაეხმარება კლიენტებს კონსტრუქციული ურთიერთობების შექმნასა და შენარჩუნებაში დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, უშუალოდ შეხებაში მყოფ თემებთან
- ხელი შეუწყოს კლიენტების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესებას პროექტის დაინტერესებული მხარეების ეფექტური ჩართულობის მეშვეობით
- ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს საშუალებები შეხებაში მყოფ თემებთან ადეკვატური ჩართულობისთვის პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათზე და უზრუნველყოს, რომ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია გასაჯაროებული იყოს პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის
- უზრუნველყოს, რომ შეხებაში მყოფი თემებისგან და და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე რეაგირება და მართვა სათანადოდ ხდება.

გამოყენების სფერო²

4. ეს PR ვრცელდება ყველა პროექტზე, რომელიც, სავარაუდოდ, გამოიწვევს უარყოფით გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას და შედეგებს გარემოზე, თანამშრომლებზე და პროექტთან უშუალო შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებზე. კლიენტებისგან მოვლიან დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და მათთან ჩართულობას, როგორც საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემის (ESMS) პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შეფასების პროცესის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) განუყოფელი ნაწილი, როგორც მითითებულია PR-ში 1.

მოთხოვნები

5. კლიენტები განახორციელებენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას პროექტთან უშუალო შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის დროულ, შესაბამის, გასაგებ და ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფით კულტურულად შესაბამისი ფორმით და მანიპულირების, ჩარევის, ზეწოლის და დაშინების გარეშე.

² გარდა ამისა, 4-ე PR-ში მოცემულია სპეციალური დებულებები საგანგებო მდგომარეობისათვის მზადყოფნისა და რეაგირებისთვის.

6. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა და ანალიზი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დაგეგმვა, ინფორმაციის გამჟღავნება, კონსულტაცია და მონაწილეობა, საჩივრების მექანიზმი, და მიმდინარე ანგარიშგება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიმართ.
7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხასიათი და სიხშირე უნდა იყოს პროექტის ხასიათისა და მასშტაბების და შეხებაში მყოფ თემებზე მისი პოტენციური უარყოფითი გავლენის, გარემოს მგრძოზიარობისა და საზოგადოების ინტერესის პროპორციული. ჩართულობის მოსარგებად კლიენტის პროექტის სპეციფიკაზე, აუცილებელია, რომ კლიენტებმა განახორციელონ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, როგორც მოცემულია ქვემოთ. ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები საჯარო ინფორმირების და კონსულტაციების თვალსაზრისით, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის ვალდებულებების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად განხორციელების კანონები, ყოველთვის უნდა შესრულდეს.
8. კლიენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას, ასევე დანიშნავს შესაბამის პერსონალს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებასა და მონიტორინგზე.

ჩართულობა პროექტის მომზადებისას

დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა

9. კლიენტი განახორციელებს სხვადასხვა ფიზიკური პირების ან ჯგუფების იდენტიფიცირებას და დოკუმენტირებას, რომლებიც (i) პროექტის ზემოქმედების ქვეშ არიან ან, სავარაუდოდ, იქნებიან (პირდაპირ ან არა პირდაპირ) (შეხებაში მყოფი მხარეები); ან (ii) შეიძლება ჰქონდეთ ინტერესი პროექტში (სხვა დაინტერესებული მხარეები).
10. კლიენტი განახორციელებს ფიზიკური პირების ან ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებზეც პროექტმა შეიძლება განსხვავებულად ან არა პროპორციულად მოახდინოს ზემოქმედება მათი უნარშეზღუდულობის ან დაუცველობის გამო (იხ. PR 1, 5, 7) და განსაზღვრავს იმ პირებს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებიც სავარაუდოდ გამოირიცხება, ან ვერ მიიღებს მონაწილეობას კონსულტაციების პროცესში ან ამისთვის სპეციალური ღონისძიებები და/ან დახმარება დასჭირდება. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი ასევე განსაზღვრავს განსხვავებულ ინტერესებს ჯგუფების შიგნით. ეს შეიძლება იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა განსხვავებული ასაკი, სქესი და ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება, რაც წამოჭრის სხვადასხვა პრობლემებს და პრიორიტეტებს პროექტის ზემოქმედებასთან, შემარბილებელ ღონისძიებებთან და შედავათებთან დაკავშირებით. ამიტომ, ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ჩართულობის სხვადასხვა და/ან ცალკეული ფორმები. კლიენტი

ასევე განსაზღვრავს, თუ რა ზემოქმედება შეიძლება იყოს დაინტერესებულ მხარეებზე და პოტენციური (რეალური ან აღქმული) ზემოქმედების მასშტაბს. სადაც ზემოქმედება აღქმულია, შეიძლება საჭირო იყოს დამატებითი კომუნიკაცია და დამშვიდება ზემოქმედების შეფასებულ დონეებთან დაკავშირებით. დაინტერესებული მხარეების განსაზღვრაში ჩადებული უნდა იყოს დეტალიზაციის სათანადო დონე, ამ პროექტისთვის შესაბამისი კომუნიკაციის დონის დასადგენად.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

11. პროექტებისთვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და საკითხები, კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს პროექტის ხასიათის და მასშტაბის ან რისკების, ზემოქმედებების და განვითარების ეტაპის შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP). ნებისმიერი პროექტისთვის, რომლისთვისაც საჭიროა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ბსგზშ), SEP გულისხმობს საჯარო განხილვისა და კონსულტაციების მოთხოვნას, რომელიც მოცემულია ქვემოთ, პუნქტებში 21–25. SEP ისე იქნება მორგებული, რომ გაითვალისწინოს შეხებაში მყოფი მხარეების ძირითადი მახასიათებლები და ინტერესები და სხვადასხვა დონის ჩართულობა და კონსულტაციები შეიძლება იყოს საჭირო შეხებაში მყოფი მხარეების და სხვა დაინტერესებულ მხარეებისთვის. SEP განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იმართებოდეს კონსულტაციები განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მომზადების და განხორციელების მთელ პერიოდში, გასაჩივრების გათვალისწინებული პროცედურის ჩათვლით (იხ. ქვემოთ). დეტალიზაციის საჭირო დონე განისაზღვრება თითოეული შემთხვევის საფუძველზე. საჯარო ინფორმაციისთვის და კონსულტაციისთვის ხელმისაწვდომი რესურსები, პირველ რიგში, უნდა ფოკუსირებოდეს შეხებაში მყოფ მხარეებზე.
12. SEP დოკუმენტურად უნდა ასახავდეს, როგორ განხორციელდება კონსულტაციები სხვადასხვა ჯგუფებთან თემში, იმის განსაზღვრით, თუ რა ღონისძიებები განხორციელდება მონაწილეობისთვის ბარიერების მოსახსნელად. ეს შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სქესი, ასაკი, ან სხვა განსხვავებები, და თუ როგორ იქნება დოკუმენტირებული სხვადასხვაგვარი შეხებაში მყოფი ჯგუფების შეხედულებები. საჭიროების შემთხვევაში, SEP მოიცავს დიფერენცირებულ ღონისძიებებს იმათი ეფექტიანი მონაწილეობისთვის, ვინც განისაზღვრა, როგორც უნარშეზღუდული და დაუცველი. სპეციალური მიდგომები და რესურსების გაზრდილი დონე შეიძლება იყოს საჭირო ასეთ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის. როდესაც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა არსებითად დამოკიდებულია თემის წარმომადგენლებზე,³ კლიენტი გონივრულ ზომებს მიიღებს, რათა შეამოწმოს, რომ ასეთი პირები, ფაქტობრივად, გამოხატავენ შეხებაში მყოფი თემების შეხედულებებს და რომ ისინი ხელს უწყობენ კომუნიკაციის პროცესს,

³ მაგალითად, თემის და რელიგიური ლიდერები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მასწავლებლები და/ან სხვები, რომლებიც წარმომადგენენ დაზარალებული დაინტერესებული მხარეების ერთ ან მეტ ჯგუფს.

ინფორმაციის გადაცემით თემის შემადგენელი მოსახლეობისთვის და მათი შენიშვნები გადმოცემით კლიენტისთვის ან ხელისუფლებისთვის, საჭიროების შემთხვევაში.

13. სადაც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა შესაბამისი სამთავრობო ორგანოების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, კლიენტი ითანამშრომლებს პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოსთან, რამდენადაც ეს ნებადართულია, რათა მიაღწიოს შედეგებს, რომლებიც შეესაბამება ამ PR-ს. სადაც არის განსხვავებები ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და ამ PR-ს შორის, კლიენტი განსაზღვრავს ჩართულობის ღონისძიებებს ოფიციალური მარეგულირებელი პროცესის შესავსებად და, საჭიროების შემთხვევაში, აიღებს დამატებითი ქმედებების ვალდებულებას.
14. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზუსტი ადგილმდებარეობის არ არის ცნობილი, SEP მიიღებს ჩარჩო მიდგომის ფორმატს, როგორც კლიენტის საერთო ESMS ნაწილი, რომელშიც მოცემულია ზოგადი პრინციპები და სტრატეგია შეხებაში მყოფი დაინტერესებული მხარეების განსასაზღვრად და ჩართულობის დასაგეგმად ამ PR-ის შესაბამისად, რომელიც განხორციელდება ადგილმდებარეობის გარკვევის შემდეგ.
15. კლიენტები, რომლებიც მრავალ ადგილზე ახორციელებენ ოპერაციებსა და პროექტებს, რაც მოიცავს ზოგად კორპორაციულ ფინანსებს, საბრუნავ კაპიტალს ან კაპიტალის დაფინანსებას მიიღებენ და განახორციელებენ კორპორაციულ SEP-ს. კორპორაციული SEP იქნება კლიენტების ბიზნესის და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების და საზოგადოების ინტერესის დონის შესაბამისი. SEP დროულად უნდა იყოს შევიდეს ობიექტებზე. იგი მოიცავს პროცედურებს და რესურსებს, რათა დარწმუნდეს, რომ ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ადეკვატური ჩართულობა ობიექტის დონეზე, და რომ დაინტერესებულ მხარეები, რომლებიც მისი ობიექტების სიახლოვეში არიან, მიიღებენ ინფორმაციის შესაბამისი ობიექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ.

ინფორმაციის გასაჯაროება

16. პროექტის შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს პროექტის რისკების, ზემოქმედების და შესაძლებლობების გაგებაში. თუ თემები შეიძლება დაზარალებულნი პროექტის უარყოფით გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გამო, კლიენტი უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის (ინფორმაცია) წვდომას:
 - საპროექტო საქმიანობის მიზანი, ხასიათი, მასშტაბი და ხანგრძლივობა
 - დაინტერესებული მხარეების მიმართ რისკები და მათზე პოტენციური ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებების შემოთავაზებული გეგმები
 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გათვალისწინებული პროცესი, არსებობის შემთხვევაში, და შესაძლებლობები და გზები, რომლებიც შესაძლებელია საზოგადოების მონაწილეობა

- დრო და ადგილი ნებისმიერი გათვალისწინებული საჯარო საკონსულტაციო შეხვედრისთვის და შეხვედრების შესახებ შეტყობინების, მათი შეჯამების და ანგარიშების პროცესი
- პროცესი, რომლითაც განხორციელდება რაიმე პრეტენზიის მართვა.

17. ინფორმაცია გავრცელდება ადგილობრივ ენაზე (ენებზე), როგორც განსაზღვრულია SEP-ში და ისე, რომ ხელმისაწვდომი და კულტურულად შესაბამისი იყოს. მხედველობაში იქნება მიღებული იმ ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები, რომლებზეც შეიძლება სხვადასხვაგვარი ან უკუპროპორციული ზემოქმედება განხორციელდეს მათი სტატუსის გამო, ან მოსახლეობის ჯგუფები სპეციფიკური ინფორმაციის საჭიროებებით.

კონსტრუქციული კონსულტაცია

18. კონსტრუქციული კონსულტაცია ორმხრივი პროცესია. კონსულტაციის პროცესი შეხებაში მყოფ მხარეებთან განხორციელდება ისე, რომ ინკლუზიური და კულტურული თვალსაზრისით მისაღები იყოს, და წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფების შეხედულებებს და სპეციფიკურ საჭიროებებს, როგორც განსაზღვრულია SEP-ში ან შეატყობინებენ კლიენტს SEP განხორციელების დროს. კონსულტაციები ასევე მოიცავს, შეხებაში მყოფი მხარეების გარდა, ნებისმიერ ჯგუფებს ან პირებს, რომლებიც განსაზღვრულნი იყვნენ, როგორც სხვა დაინტერესებული მხარეები. კლიენტი გაითვალისწინებს შეხებაში მყოფი მხარეების ძირითად ენობრივ პრიორიტეტებს, გადაწყვეტილებების მიღების მათ პროცესს და უნარშეზღუდული და დაუცველი ჯგუფების საჭიროებებს. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ კონსულტაცია გარე მანიპულირების, ჩარევის, ზეწოლის ან დაშინებისგან თავისუფალი იქნება.
19. რაიმე კონკრეტული კონსულტაციის საჭიროება და ხასიათი განისაზღვრება დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრის საფუძველზე და დამოკიდებულია შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებზე პროექტის პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების ბუნებასა და მასშტაბზე. სადაც შეხებაში მყოფი თემები შეიძლება დაექვემდებარონ პროექტის მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მომავალში, კლიენტი ჩაატარებს კონსტრუქციული კონსულტაციების პროცესს ისე, რომ უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეები შესაძლებლობით გამოხატონ თავისი შეხედულებები პროექტის რისკებზე, ზემოქმედებებზე და შემარბილებელ ღონისძიებებზე და საშუალებას აძლევს კლიენტს მხედველობაში მიიღოს და რეაგირება მოახდინოს მათზე. კონსტრუქციული კონსულტაცია განხორციელდება მიმდინარე საფუძველზე, საკითხების, ზემოქმედებების და შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად. თუ კლიენტები უკვე ჩართულნი არიან ასეთ პროცესში, ისინი ასეთი ჩართვის ადეკვატურ დოკუმენტურ მტკიცებულებას წარმოადგენენ.
20. კლიენტი დროულად შეატყობინებს მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო საჯარო კონსულტაციების პროცესში, პროექტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების, გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების და პროექტისგან ადგილობრივი თემებისთვის რაიმე სარგებლის

შესახებ იმ მოსაზრებებთან და დასაბუთებასთან ერთად, რომლებიც საფუძვლად უდევს პროექტს და აგრეთვე გასაჩივრების ან პრეტენზიების წარდგენის ხელმისაწვდომი მექანიზმის ან პროცესის შესახებ.

საჯარო განხილვა და კონსულტაციები A კატეგორიის პროექტებთან დაკავშირებით

- 21.A კატეგორიის პროექტებმა ⁴ შეიძლება გამოიწვიოს პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი მომავალი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება ადვილად ვერ განისაზღვროს და საჭირო იქნება კლიენტის მიერ ფორმალიზებული, მონაწილეობითი ESIA პროცესის განახორციელება. საჯარო განხილვისა და კონსულტაციების მოთხოვნები ჩართული იქნება ESIA პროცესის თითოეულ ეტაპზე, თითოეული შემთხვევის მიხედვით. ინფორმირებული მონაწილეობა გულისხმობს ორგანიზებულ და განმეორებით კონსულტაციას, რაც იწვევს კლიენტის მიერ მისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეხებაში მყოფი მხარეების შეხედულებების ჩართვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს პირდაპირ, როგორცაა შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები, პროექტების სარგებლისა და შესაძლებლობების თანაბარი განაწილება და განხორციელების საკითხები.
22. კლიენტი ჩაერთვება ფარგლების დადგენის პროცესის დაინტერესებულ მხარეებსა და განსაზღვრულ მონაწილეებთან ერთად ESIA პროცესის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეფასდეს, როგორც ESIA ნაწილი. ფარგლების დადგენის პროცესის ნაწილის სახით, დაინტერესებულ მხარეებს უნდა შეეძლოთ შენიშვნების და რეკომენდაციების შეთავაზება SEP-ის წინასწარ პროექტთან და ფარგლების დადგენის სხვა დოკუმენტებთან დაკავშირებით.
23. თუ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) უკვე შეთანხმებულია პროექტისთვის, რომლისთვისაც საჭიროა ESIA, კლიენტი გაუმჟღავნებს ESAP-ს დაზარალებულ მხარეებს SEP-ის შესაბამისად.
24. გარდა ამისა, კონსულტაციების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული კანონების და სხვა შესაბამისი კანონების ნებისმიერ მოქმედ მოთხოვნას. კლიენტმა საჯაროდ უნდა შეინარჩუნოს ESIA პროექტის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში, მაგრამ ის შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, დამატებითი ინფორმაციის მიწოდებით, ან არქივირებული იყოს პროექტის დასრულების შემდეგ, იმდენად, რამდენადაც ხელმისაწვდომი იქნება მოთხოვნისამებრ, დროულად.
25. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს რეგულარული ანგარიშების მიწოდება მისი დაინტერესებულ მხარეებისთვის გარემოსდაცვით და სოციალურ

⁴ A კატეგორიის პროექტების მისათითებელი ჩამონათვალი მოცემულია EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის 2-ე დანართში.

საქმიანობასთან დაკავშირებით, ცალკე პუბლიკაციის სახით, ან თავის ვებ-საიტზე, როგორც მოცემულია SEP-ში. ეს მოხსენებები იქნება შეხებაში მყოფი თემებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატში და მათი სიხშირე იქნება შეხებაში მყოფი თემების პრობლემების პროპორციული, მაგრამ არაუიშვიათეს, ყოველწლიურად.

ჩართულობა პროექტის განხორციელების მიმდინარეობისას და გარე ანგარიშგება

26. ყველა პროექტისთვის, კლიენტი მიაწვდის ინფორმაციას განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეებს, მიმდინარე საფუძველზე, პროექტის ხასიათისა და მისი უარყოფითი გარემოსადაცვითი და სოციალური ზემოქმედების და საკითხების და საზოგადოების ინტერესის შესაბამისად პროექტი მთელი მიმდინარეობის განმავლობაში. შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროება პროექტის ციკლის ძირითად ეტაპებზე, მაგალითად დაწყების ოპერაციებამდე, და რაიმე კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვლენილია საჯარო განხილვისა და კონსულტაციების პროცესში, ან განსაზღვრულია საჩივრების მექანიზმის მეშვეობით, როგორც პრობლემა შეხებაში მყოფი თემებისთვის.
27. თუ ადგილი აქვს პროექტის არსებით ცვლილებებს, რომელიც გამოიწვევს დამატებით უარყოფით ზემოქმედებას და პრობლემურ საკითხებს შეხებაში მყოფი თემებისთვის, კლიენტი შეატყობინებს მათ, თუ როგორ ხდება რეაგირება ამ ზემოქმედებებზე და საკითხებზე და გაუმჟღავნებს განახლებულ ESMP-ს SEP-ის შესაბამისად. თუ ეს დამატებითი უარყოფითი ზეგავლენა შეხებაში მყოფ თემებზე მნიშვნელოვანია, კლიენტს შეიძლება, თითოეული შემთხვევის მიხედვით, მოეთხოვებოდეს დამატებითი ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციების განხორციელება 16–20 პუნქტების შესაბამისად.

გასაჩივრების მექანიზმი

28. კლიენტი უნდა იცნობდეს და დროულად უნდა მოახდინოს რეაგირება დაინტერესებული მხარეების პრობლემებზე პროექტთან დაკავშირებით. ამ მიზნით, კლიენტმა უნდა ჩამოაყალიბოს საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი, პროცესი ან პროცედურა დაინტერესებული მხარეებისგან პრობლემების და საჩივრების მისაღებად და მათი გადაჭრის ხელშესაწყობად, კერძოდ, კლიენტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. საჩივრის განხილვის მექანიზმის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს პროექტის რისკების და შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბს.
- საჩივრების მექანიზმის პროცესი ან პროცედურები უნდა რეაგირებდეს პრობლემებზე სწრაფად და ეფექტურად, გამჭვირვალედ, ისე, რომ კულტურის თვალსაზრისით მისაღები და ადვილად ხელმისაწვდომი იყოს დაზარალებული თემის ყველა სეგმენტისთვის, რაიმე ღირებულების და სასჯელის გარეშე. მექანიზმი, პროცესი ან პროცედურა არ უნდა

აცილებდეს სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაცვის საშუალებების წვდომას. კლიენტი აცნობებს შეხებაში მყოფი თემებს გასაჩივრების პროცესის შესახებ საზოგადოებასთან ჩართულობის მისი საქმიანობის ფარგლებში და რეგულარულად მოახსენებს საზოგადოებას მისი განხორციელების შესახებ დაზარალებული პირების კონფიდენციალურობის დაცვით.

- საჩივრების მართვა უნდა განხორციელდეს სათანადო წესით კულტურის თვალსაზრისით და უნდა იყოს გონივრული, ობიექტური, მგრძნობიარე და გულისხმბიერი დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების და პრობლემების მიმართ. ეს მექანიზმი ასევე უნდა იძლეოდეს ანონიმურად საჩივრების წამოყენების და მათზე რეაგირების საშუალებას.